

033208

1885

№ I, 093260

1885
1885
1885

თბილისი.
ეჭვიმე ხელაძის სტამბა.
1885

შ 0 6 1 5 6 ს ი:

I.	ასული ფარაონისა (იატორიული რომანი) გეორგ ებერსისა, ნაწილი შირველი,	3
II.	«მართლის-ცხოვრების» პირველ-გარდმოცემათა წყარონი და მათი ხასიათი, წერილი დიმ. ბაქრა- ძისა	45
III.	სახალხო ლექსები არა მართლის	67
IV.	პედაგოგიური მოსაზრებანი. «არითმეტიკა», სა- ხელმძღვანელოდ სოფლის სასწავლებელთათვის, შედგე- ნილი მიხეილ ზაალას-ძის ყიფიანისაგან. თბილისი 1883 წ.	69
V.	მართველთ ძველებური საერთო გართობა-ასპა- რეზობანი, შეტერბულებულის სტუდენტისა. . .	89
VI.	მართველი თეატრი ზამთრის სეზონი. საზოგადოების ურადღების მიეცევა. ანტრეპრიზა ყაყანი, მისი უსაფუძ- ვლობა და უსარგებლობა განხილვა კერძოობითი: 1, მოთა- ვება და მართვა სცენისა. 2, აქციონები და აქტრისები. 3, რეპერტუარი. 4, პებლიკა.—დრამატულის საზოგა- დოების მომავალი საზრუნველი საქმე. 3-სი. . . .	122
VII	მიხრწნილი (ლექსი) თ. რაფ. ერისთავისა . . .	136
VIII	შარაჩულელი ლოთი (ლექსი) ავ. ცაგარლისა. . .	137

7. 92

ԱՅԵԽՈՅ

ԿԱՐՈԼԻՆԵԱՆ ՀԱ ՍԱԼՈՒՅԻԿԱՑՄԱՆ
ԺԱՌԵՆԱԾՈ

ՎԵԼՈՇԻՃՈ ԹԵՐԵՒՆ

6053

№ I



ԵՂԱՋԱԾՈ

ԵՎՐՈՊԵԱ ԵԿԱԴՈՒՆԻ ՏՐԻԱԾԱ, ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՎԵԼՈՇԻՃՈ ՀԱՅԻ ՀԵ

1885



Дозволено цензурою. Тифлисъ 17 Января 1885 г.

განცხადებანი.

მიიღება ხელის-მოწერა გაზეთს
„ღრმებაზე“
1885 წლისათვის

თბილისში — «დროების» რედაქციაში; ქუთაისში — მმ.
ჭილაძების წიგნის მაღაზიაში; ბათუმში — მსაქ ნათაძესთან;
თელავში — კანო რესტორამაშვილთან; გორიში — აღალო თუ-
თავეთან.

ფასი გაზეთისა მთელის წლით — 9 მან., 6. თვით 5 მან.

იქვე და იმავე პირებთან, რომელნიც ზემოდ არიან
გამოცხადებულნი, მიიღება აგრეთვე ხელის-მოწერა
ქურნალს

„ივერიაზე“

ვინც ცალკე დაიბარებს მთელის 1885 წლით უურნალს
«ივერიას», უნდა გამოგზავნოს წლის ხვედრი ფული შვიდი
მანათი (სოფლის მასწავლებელთავის ხეთი მანათი) «დროე-
ბის» რედაქციაში ამ ადრესით: Въ Тифлисъ въ Редакцію
«Дроэба» аნუ Въ Редакцію журнала «Иверія».

გისაც უფრო ემარჯვებოდეს, შეუძლიან «დროება» და
«ივერია» ერთიან წერილით დაიბაროს და ამისთვის ხვედრი
ფული 16 მანათი გამოგზავნას «დროებისგე» ადრესით.

რედაქცია «ივერიასა» ჭისთხოვს მათ, კისაც წერილების
და სტატიების გამო საჭმე ეჭმნება რედაქციასთან, მაჭმართონ
თვითონ რედაქტორს უოკელ-დელე დილის რეა საათიდამ დი-
ლისკე ათს საათაშედე გარდა კვირა დღეებია და უქმებია —
ასალ ბებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 1.

რედაქტორი «ივერიისა» ილია ჭავჭავაძე.

იურ შეზავებული. მაღალი ხეების გინწიროებზედ გარეული მტრე-
ლები და სხვა მფრინველები გათინდული ის სდენ, შელიკანები, უ-
არესტები და წეროები ნილოსის ნაპირებზედ მდგარს
ხებს; შეჭრარებოდენ; შელიკანებს თავეთი გრძელ-ხისკარ-
ტიანი თავები იქრთებში ამოქათ და ისე უძრავად ის სდენ,
წეროები კი მაღ-მაღ ფრთხილობდენ, რამწამს გარგებდენ რი-
სამე ხმაურობას, ან მესავეთა სიმდერას, მაშინკე წაიგრძელებ-
დენ ვრმელს კისრებს და შეშინებული შორის გაიცემორებოდენ.
მოვარის სხივებზედ, რომელიც წელის სივრცეზედ კამკამებდენ,
გარეად სჩანდა, რომ ნილოსი, რომელიც ზემო ეგვიპტის უზარ-
მაზარი ტაძრების ახლოს გაშემაგებული მორბოდა, იქ უფრო
მდოკრდებოდა და მშვიდდებოდა, სადაც იგი რაგდენსამე ტო-
ტად იყოთოდა და ზღვას უახლოვდებოდა.

ამ მოვარის ღამეში 528 წლის წინად ქრისტეს დაბა-
დებამდის ნილოსის ტოტში ნაკი დასცურაობდა. იმის ჩარდახის
ბანზედ ეგვიპტელი იჯდა და იქადამ ნიჩის უსკამდა. თვით
ნავში ნახევრად გატირვლებული მომსმელი მღეროდენ და
თავისთ მოვალეობას ასრულებდენ. ნაკის ჩარდახის ქეშ ბალი-
შეზედ რომ კაცი წამოწოლიდეო. ეტუთბოდათ, რომ იგი-
ნი ეგვიპტელი არ იყვნენ. მოვარის შეჭრედ მათ ადვილად
შეკრებდით ბერძნის, ჩამომავლობას. უფროსი ძალიან მა-
დალი და ლონიერი კაცი იყო, არმოც-და-ათის წლისა მეტი-
სა იქნებოდა, მოსულს მხრებზედ თბები სქლად გუარა, ტან-
ზედ უბრალო მანტია ესხა და წეალს დაფიქრებული დასცემ-
და; მეორე ამხანაგი პირველზედ ოცის წლით პატარა იყო,
უფრო შეოდანი და მოუკანილი ტანისა, იგი ხან ცას შესცემ-
როდა და ხან თავის მშენებელს ტანისამოსს, წახლის ვერ-
ტმებს და წვერს ისწორებოდა.

ამ ნახევარ საათის წინად ნავი ნაუგრატისიდამ წამოვიდა. მხოლოდ ეს ერთი ზღვის ნაპირის ქალაქი ეკუთვნოდა ბერძნებს მაშინდელს ეგვიპტეში. ჭალარა და დაფიქრებულს კაცს მოგზაურობის დროს არც ერთხელ ხმა არ ამოუდა, ამხანაგმაც მას ფიქრი არ შეუშალა. ორდესაც ნავი ნაპირის უახლოვდებოდა, მოუსკენარი მოგზაური წამოდგა და უთხრა თავს ამხანაგს:

— ამ საათში მივალოთ დანიშნულს ადგილას, არისტომის. აგრე მარწენავ ის მსარელი სახლი თავის ბალით ჩემი მეგობარი ქალის როდობისის სადგური არის. ის სახლი იმისმა განსვენებულმა ქმარმა ხარაჭებმა ააშენა და ასლა უკელა იმ ქალის მეგობრები და თვით მეუეც ცდილობენ ის სახლი უკირო და უფრო გაამშვენიერონ. ტყუილი შრომა! მთელი ქვეუნის საუნჯეც რომ შეჭრიბონ იქა, იმ სახლის დამამშვენებელი მაინც თვით იმის მშენერი ჰატრინი იქნება.

მოხუცი ზეზე წამოდგა, სახლს თვალი "გადავდო, გაისწორა სქელი თეთრი წევრი, რომელიც ნიკაპსა და ლოუებს უფარავდა და არა ტუჩებს და ჭიდოხა:

— შენ რა ძალან აქებ, ჭანეს, ამ როდობის? როდის აქეთ მოსწონთ ათინებულს მოხუცი ქალები?

ამხანაგმა გაიღიმა და გმაუიყიდებით მიუიღ:

— მე მგონა, რომ ხალხს კარგად ვიცნობ და განსაკუთრებით უფრო ქალებს; გარწმუნებ, რომ მთელს ეგვიპტეში ამ მოხუცებულს ქალზედ უკეთესს არავის ვიცნობ. ორდესაც ნახავ ძეს და იმის მშენიერს შვილის-შვილს — ქალს და მოისმენ შენს საუგარელს სიმღერებს, რომლებსაც კარგად გაწვრთნილი ტყეებალები იმღერებენ, უსათუოდ მადლობას გადამისდი.

— მაინცა და მაინც, უთხრა სპარტანებმა: — მე შენ არ წა-

მოგუებოდი, თუ იმედი არა შეონოდა, რომ დელტიკის ჭრიქს
აქ შეახვდები.

— შენ მას ნახავ. მეც აგრეთვე იმედი მაქსი, რომ სიმღე-
რა შენზედ კარგად იმოქმედებს და გაჟიანტავს შენს ბნელის
ფიქრებს.

არისტომასმა გაძინდა თავი და უთხრა:

— შენ, ჰერა სუბუქ ათინელს, ადგილად გაგამხიალების,
შენი ქმუნის სიმღერა; მაგრამ მე როდესაც ალგმინის სიმღე-
რას გავიგონებ — იგივე მემართება, რაც დამე უძილობის
დროს: ჰმუნეარება კი არ მიმცირდება, კრთა-ლორად უფრო
მიცხოველდება.

— ნუ თუ შენა გდონა, ჰერთხა ჭანესმა — რომ მე ჩემი
საუკარელი ათინძეავენ არ მაგისტრათებოდეს, იმ ადგილებისკენ,
სადაც მე ჩემი სიუმწოდე გაატარე? მართალია ჩემთვისაც
ტკბილი არ არის განდევნილობაში ნაშთვინი ლუკმა პური, მაგ-
რამ იგი მაინც სასიამოენოა ამისთანა სახლობის გაცნობის
წყალობით, და როდესაც გავიგონებ ჩემ საუკარელს ელინურს.
სიმღერებს, რომლებისაც ასე მშენივრად მღერიან, მაშინ სამ-
შობლო ჩემს ფრნებას თვალ-წინ უდიბაა. მე გსედავ იმის ტე-
თის-ხილის და ნაძვის ჭალებს, იმის ცივს ზურმუხსტის ფე-
როვან წყლებს, მას ლურჯად მოკამკაშუ ზღვას, მის ბრწეინ-
კალე ქალაქებს, თოვლიანს შთებს და მარმარილობის დარბაზებს.
ტკბილ-მწუხარე ცრემლები გადმომცვივა სოლმე, როდესაც სიმ-
ღერა სწერება და კედავ, რომ ეპიზეტში კიმუოთები, ამ ცხელ-
სა და საკვირველს მსარეში, რომელსაც მე, დმერთთა. წყალო-
ბით, მალე დაგროვებ. მაგრამ არისტომას, ნუ თუ შენ გზას
აუმცირ გრძელებს (ააზისებს) საშუალ უდაბნოისა მხოლოდ იმისა
თვის, რომ მათ შემდეგ შენ მოგიხდება. უდაბნოებში გავლა,

სადაც დასალეგს წეალს კერ იშოვნი? ნუ თუ მეზ გინდა თავი
მოარიდო ერთიას საათის სიამოვნებას, იძისთვის, რომ შავ-
დღეები მოგეფის? ამ ჩვენც მივედით. ეცალე განგებ მაინც გაა-
მხარელე, ჩემი მეგობარო, რადგანაც საკადრისა არ არის
დაფონებულის სახით სხვის სახლში შესვლა:

ამ დროს ნავი მიდგა ბათის კედელთან, რომელსაც გასრ-
დით ნილოსი მოუდიოდა. ათინელი მეკირცხლად გადახტა ნაგა-
დამ, სპარტასელი კი დინჯად გადავიდა. არისტომანეს ერთი
ფეხი სისა ჭრინდა, მაგრამ ასჭრის მტკიცის ნაბიჯით მიდობუ-
და მკვირცხლი ჭანესის გვერდით, რომ გატანტოდა. ჭრებად
ხის ფეხით დაბადებულა.

როდოპისას ბაღი სრულიად უკავილურში იყო შთანთქმუ-
ლი და ათას ნაირი სურნელებით ფშვინავდა. წელიდამ სიმღერ-
ება და სიციდია მოისმოდა.

ეს ბაღი ეგვიპტელისგან იყო აშენებული; შირამიდების
აშენებული ძეგლადაც ნაქები მეტალებიც იუკნენ. იგინი სუთთაჭ
აკეთხბდენ კვლებს, ხებსა და ბუჩქებს რიგ-რიგზედ რგავდენ,
გაჟუავდათ წელები და აშენებდენ აუზებს, რომლებმდაც ოქროს
თევზებს აჩენდნენ.

ჭანესი შედგა ბაღის კარების ახლოს, უურადღებით მით-
ხედ-მოიხედა და უური დაუგდო; შემდეგ თავი გაიქნა და-
თქვა:

— არ ვიცი, კა რასა ნიშნავს, მე არავის ხმა არ მეტამოსა-
რც სინათლეს კხედავა ნაკებიც გაჭქრენ, ბაირალს კი ჭარი აფ-
რიალებს. როდოპისი უსათუოდ სხვაგან იქნება. ნუ თუ მას
დავიწყდა?...

კერ სიტუაა არ გაეთავებინა, რომ ვიდასიც ხმამ მაც-
ლაპარაკი გააწევატინა:

— ოჯ, ქეშიკების უფროსო!

— სადამთ მშევიდობისა კნავის! მიესალმა ჭანესა მომავალს მოხუცს თავის დაკრით. რას ნიშნავს ამისთანა სიჩუმე, მამინ, როდესაც წევულების ნიშანს დროშას ჭარი აფრიალებს? როდის აქეთა, რაც დროშა ტუყილად იწყებს სტუმრებს?

— როდის აქეთა? სინამ პარკები ჩემს ქალ-ბატონს მოარ-კელად ჰყავს, დროშა უსათურად იძღენს სტუმრებს მოიწყევს, რამდენიც ამ სასლში დაუტევა. როდობისი შინ არ არის, მაგრამ მალე დაბრუნდება. ისეთი მუედრო ღამე იყო, რომ მან თავის სტუმრებთან ერთად ნილოსზედ გასეირნება მოისურვა. ორი საათის წინად, სინამ შზე არ ჩასულიყო, იგინი ჩასხდენ ნავ-ში და წავიდნენ. ეხლა კასშამი უკავ მზად არის, დიდ-სანს ალარ დაიგვიანებენ. გეთაყვა ჭანეს, შენს მოუთმენელობას თავი დაანებე და შინ წამომუევ. როდობისი თავის დღეში არ მაპატივებს, რომ შენისთანა ძვირდებას სტუმარი გაკუშეა. შენც, უცნო ქვეულო, განაგრძო მან და მიუბრუნდა სპარტა-ნელს: — დიდათა გთხოვთ დარჩეთ: ჩემი ქალბატონისთვის შენც სასამოვნო სტუმარი იქნები, როგორც მეგობარი მისი მე-გობრისა.

ორივე ბერძენი მოსამსახურეს გაჭუნენ და ერთ ხეივნის ქვეშ დასხდენ.

არისტომისმა, როდესაც მთვარით გაბრწყინვებული არ მარე დაათვალიერა, სთქმა:

— გეთაყვა ჭანეს, გამაგებინე, გასის წყალობით არის, რომ როდობისი, რომელიც წინად მონა იყო, ეხლა ასე მეოურადა სცხოვრობს და სტუმრებისაც მეფურად ჭვატივების?

— მე დადი ხანა ვიცოდი, რომ მაგას მკითხავდი, მიუგო ათინელმა: მალიან სასიამოვნოა ჩემთვის, რომ, სინამ ამ ქა-

ჭის სახლში შეხვად, გაგაცნა მისი წარსული. ოთდესაც ჩვენ
ნიღოსზედ მოკცურავდით, მე არაივერთ არ მინდოდა შენთვის
მეამბნა. ეს ძველი მდინარე საკუროვლად აფიქტებს კაცს. ოთ-
დესაც მეც შესსავით ღამე ჰირკელად მოკცურავდი ნიღოსზედ,
თვით ჩემი დაუკენებელი ენაც კი სალაპარაკოდ არ იძროდა.

— გმადლობთ, მიუგო სპარტანელმა: — ოთდესაც კრიტზედ
ჰირკელად ვნახე ას ორმოც-და-ათი წლის კნოსელი ქურუმი
ეპიტენიდი, ამისმა მოსუცუმულებამ რაღაც საკუროვლად შიში მა-
გრძნობინა; რამდენად უფრო მოსუცია და წმინდა ეს უდიდესი
მდინარე ეგვიპტოსი! ვინ არ დაემორჩილება ამ მდინარის
მომხიბლელს ძალას? გთხოვთ ოთდოპისზედ მიამირთ რამე.

— ოთდოპისი, დაიწყო ჭანესმა: — ოთდესაც ჯერ ისევ
ბავშვი იყო და სხვა ემაწვილებთან ერთად ჭრავის ნაპირზედ
თამაშობდა, ფინიკიელმა მეგემებმა მოიპარეს და სამოსში წ-
იყვანეს, სადაც იგი ბაჭყარმა იადმონმა იყიდა. ქალი დღითი-
დღე ლამაზდებოდა, თან-და-თან მიმზიდველობა და გონიერება
ემატებოდა, ასე რომ ვინც კი იცნობდა უკელას აკვირვებდა და
უკარდებოდა.

მსეუების ზღაპრების მოჭმელი ეზოპი, ოთმელიც იმა-
კე დროს იადმონს მონათ ჭეავდა, განსაკუთრებით უფრო
ალტირებული იყო ბავშვის საღამიზით და ჭეავთ. იგი ბავშვის
უკუკელისვერს ასწავლადა და ისე ზრუნავდა მაზედ, ოთგორც
შედაგოდ, ოთმელიც ათინელებს ბავშვებისთვის ჭეავთ. გეთალ-
მა მასწავლებელმა იშოვა ბეჭითი და ძალიან გონიერი მოწაფე,
პატარა მონა უფრო გარკად ლაპარაკობდა, მღეროდა და უკ-
რავდა საკავას, სინამ თვით იადმონის შვილები. ოთმლებისაც
დიდის უურადღებით ზრდადნენ. თოთხმეტის წლისა რომ
გასდა ოთდოპისი ისე დამშენდა და განვითარდა, რომ ეჭვიანს

დადმონის ცოლს აღარ უნდოდა იგი სახლში შეენასა და თადმონიც იძულებული შეიქმნა თავისი საყვარელი ბავშვი ქან-
ჭუსთვის მიეკიდნა. ქსანტა თავის ძვიროვასის საუნკით ნაუკ-
რატისში წავიდა, და აქ თავის მონის მშენიერებით დიდ ფულ-
სა მოულობდა. ოთდოპისმა საბი წლის განმავლობაში დიდი
შეერაცხება გამოიარა, ასე რომ ესლა იმ დროს დიდის მწე-
სარებით იგონებს სოლმე.

ოთდოპისის სიღამაზის სმა მთელს ელადაში გავარდა და უცხო ქვეუნელები ნაუკრატისში მსოლოდ იმის სახასავად მდ-
დიოდნენ; ნაუკრატისშივე მოვიდნენ აღგეი თავის დროს. უდი-
დესი პოეტი და სარაქსი, საჭოს მმა. ხარაქსმა ოთდოპისი
ნახა და ისე ძალიან შეუკარდა, რომ დიდ-ძალი ფული მისცა
ქსანტას და იყიდი იცი. საჭომ თავის ლექსებში სასაცილოდ
აიღდო თავის მმა ამ ყიდვისათვის; ძარღამ ალტემ გამართდა
სარაქსი და აღტაცებულის დაქმით შეაქო როდოპისი.

პოეტი-ქალის საჭოს მმა ხარაქი, რომელსაც ნაუკრატის-
ში უცხო ქვეუნელები წინად არ იწნოდნენ, ესლა როდოპი-
სის წელობით, უკელასაგან ცხობილი შეიქმნა. იმის სახლში
უკელა უცხო ქვეუნელები იკრიბებოდნენ და აძლევდნენ როდოპისს
სახუჭრებს. მეფე გოტრამ, რომელსაც ბევრი რამ გაეკონა
იმის სიღამაზეზედ და სიბრძნეზედ მიიწვია მემჭიდისში და უნდოდა
იგი სარაქსისაგან უყიდნა; ძარღამ ხარაქსს თავის გულში დიდი
ხახა იგი მოხობისაგან გაენთავისუფლებინა და ისე ძალიან უკ-
რატდა, რომ მნელად თუ იგი მას დასტომობდა. როდოპისსაც
არ უნდოდა მას განშორებოდა, თუმცა უფლების მსრიდამ დიდის
დიდებას ჰქონდებოდენ. ბოლოს ხარაქსმა გახადა როდოპისი
თავის განონიერ ცოლად და დარჩა ნაუკრატისში მასთან და მის
ქადა გლეიძთან იქამდის, სინამ იმ ქვენის მიართველმა პიტ-

ტაგმა განდევნილებს სამშობლოში დაბრუნების ნება არ მისცა.

«მაშინ სარაჭსი თავის ცოდით ლესბოში წავიდა. გზაზედ იგი აკად გახდა და მიტილესში მისვლის შემდეგ მაღე გარდაცვალა. საჭო, რომელიც წინად დასცინოდა თავის მმას შეუტერებელი ცოლის შერთვისათვის, ესლა თვით გახდა გუჯლ მსურვალე თაუკანის მცემელი მშეუნერის ქვრივისა და თავის მეგობარ ალექსიან ერთად დამდერდა მის სიცუროვეს,

საჭოს სიკვდილის შემდეგ როდოპისი თავის ჭალით ნაუკრატისში დაბრუნდა, სადაც იგი დიდის ამბით მიიღეს. ეგვიპტის ესლანდელმა მეუკი ამაზისმა დაიპურო ფარაონების ტახტი და ეკირა იგი ჯარების შემწებით. მისმა მოაღილე მეფემ გოტრამ უფრო მათი მოუსწროფა დღენი თავის მეულებას, რომ მას უუკარდა ბერძნები და უცხო ქვეუნელები, რომელიც ეგვიპტელებს ეჯავრებოდათ, განსაკუთრებით უფრო ჭურუმები და ჯარები აუჯანყდენ მას. უკელას ეგანა, რომ ამაზისი უცხო ქვეუნელების ეგვიპტეში ადარ შეუშებდა, ბერძნების რჩევას უკის აღარ უგდებდა და ჭურუმების ბრძანებას კი გაიგონებდა. ესლა შენცა სედავ, რომ ეგვიპტელები მეფის ამორჩევაში მოსტიურებენ. ამაზისმა გოტრამე უფრო ძალიან შეიუკარა ბერძნები და საზოგადოდ უცხო ქვეუნელები. შეგრამ მე ჩემს საგანს ძალიან გრძაუხევი. როდოპისი ნაუკრატისში დიდის ამბით მიიღეს და ამაზისმაც დიდად დაასახუქრა იგი, როდესაც გაიცნო. იმის ჭალი კლეისიც, როგორც ესლა საჭო, არ ესწორებოდა სალსის კუბას, სასტიკ შეედეველობის შემ იზრდებოდა და ბოლოს გათხოვდა ერთს მდიდარს ჭოვიელს. ვაჭარს ზლაუზზედ, რომელმაც მამაცად დაბცვა თავის სამშობლო ჭალაში სპარსელებისაგან, შემდეგ გაჭურა მას კლეის ნაპირს ასლად კიარსებულს ჭალაჭა მასალაში. უმაწვილი ცოლ-ქმარნი მაღე

დაიხოცნენ იქაურის ჭიკისაგან შემდეგ იმისა, როდესაც მათ
დაბადათ ქალი საჭო. როდობისი თვით გაემგზავრა დასავლე-
თისები, თავის სახლში მოიყვანა პატარა ობოლი, დიდის უუ-
რადლებით ზრდიდა და ესლა, როდესაც გაიზარდა, უკრძალავს.
მას გაცების საზოგადოებაში ყოფნას. როდობისი ისე ძალიანა
გრძნობის თავის უმაწვილ-ქალისის შეურაცხებას, რომ თავის
შვილის-შვილი მოშორებითა ჭეაკს მამრობით სჭესზედ.. ჩემი მე-
გობარი როდობისისთვის კი საზოგადოება ისე საჭიროა, რო-
გორც წეალი თევზისათვის და ჭერს მორინველთათვის. უკელა
უცხო ჰკეუნელები მასთან მოდიან, და გინც ერთხელ იგემა მი-
სი სტუმრის მოყვარეობა, იგი, თუ დორ ნებას აძლევს, არ
დაიზარებს მეორედაც ესტუმროს, როგორც კი მისაპატიუე-
ბელს დორშას გაფრიალებულს დაინახავს. ამ სახლში უკელა
ელინელი დაიარება, რადგანაც აქ ხდება თათბირი, თუ როგორ
ეწინააღმდეგონ ქურუმთა მმულვარებას და როგორ დაითანხმონ.
მეუე რომელსამე განგარგულებაზედ, აქ გაიგებს კაცი თუ რა-
ხდება სამშობლო მხარეში და მთელს ჰკეუნაზედ; აქ პოულობს
დევნელი თავ-შესაფარს ადგილს, რადგანაც მეუემ. თავის მე-
გობარს ისეთი გრამატა მისცა, რომ პოლიციას არავთარი
უფლება არა აქვს მის სახლზედ; აქ გაიგონებ სამშობლოს
ენას და სიძლერას; აქ ხდება თათბირი, თუ როგორ დაიხსნან
ელადა ერთ-მთავრობისაგან, ერთი სიტუაცით ეს სახლი. არის
წარმომადგენელი ელინთა ინტერესებისა ეგვიპტიში. რამდენიმე
წამდს შემდეგ შენ ნახავ საკვირველს დიდედას,—და, თუ მარტო
ჩვენ ვიქებით,—შვილის-შვილსაც. აგრ ისინიც მოდიან! ეხლა
ჩვენ სახლისაგნ წავიდეთ და მოვისმინოთ, თუ მონა-ქალებით
როგორა მღერიან. აგრ იგინი შემოდიან. და ჯერ დასხდენ
და მერე მე გამომუებ. გამომშვიდობების დორს გთხოვ მით-

ხრა ნანობ ჩემთან წამოსვლას თუ არა და ორმ როდობისი მე-
ფეს უფრო ჭევის, სინამ განთავისუფლებულსმონას.

როდობისის სახლი ბერძნულს გემოვნებაზე იყო აშენე-
ბული. სახლის გარეგანი შეხედულობა უბრალო იყო, მაგრამ
შინაგანს მოწყობილებას კი ელინური სილამაზე ჰქოდა და ეს-
ვიპტური სიღრუინვალე. პირველი რთახის კარები განიერდ
იყო. ამ რთახის მარცხნივ სასადილო რთახი იმუოვებოდა,
რომლის ფანჯარებიც მდინარეს გადასცემულდენ. ქალებისა და
გაცების რთახები ერთო-ერთმანერთისაგან გაცალებებული იყვნენ.
შეელა რთახები სალებითა და სხვა მდიდრული მოწყობილობით
იყვნენ მორთულია; კედლებზედ სხვა-და-სხვა საკრავები ეკიდა.

ამ სახლის ერთს რთახში რამდენიმე გაცი იდგა სხვა-
და-სხვა შეხედულობისა და სხვა-და-სხვა ნაირის ტანისამოსით
მორთული. სირიელი ტირიდამ გრძელა წითელ ტანისამოსიანი
ერთს კაცი ელაპარაკებოდა, რომელსაც სახეზედ და ხუჭუჭუ თმა-
ზედ ეტუობოდა, რომ ქბრაელი იყო. იგი მოსულიყო თავის
სამშობლოდამ, რომ იუდიელთა მეფის ზოროვაკელისათვის
ეგვიპტური ცხენი და ეტლი ეუიდნა. მცირე აზიგლი სამი
ბერძენი, რომელთაც თავის ქეუნის მიღეთის მდიდრული განიე-
რი ტანისამოსი ეცვათ, ებრაელის გვერდით იდგნენ და ელაპა-
რაკებოდენ სადად ჩატმელს ქალაჭ დელფის ელჩს ჭრის, რო-
მელიც ეგვიპტეში მოსულიყო აპოლონის ტანისათვის ფუ-
ლის მოსაგროვებლად. პაჭიური ძეგლი ტამარი ამ ათის წლის
წინად ცეცხლს გადეწვა; ეხლა სხვა უფრო დადებული ტამრის
აშენება განეზრახათ.

მიღეთელები, ანაქსიმანდრის და ანაქსიმენის მოწაფენი,
ნილოსის ნაპირებზედ იმისთვის მოსულიყვნენ, რომ ეგვიპტური
მეცნიერება და კარსკვლაკო-მრიცხეულობა შეეწავლათ.

მესამე გემების შატრონი და მდიდარი კაჭარი იყო, სახელად ტეოპომპე, ომელიც ნაუკრატისში დასახლებულიყო. თვით ოღონშისი მხარელად ელაპარაკებოდა სამოსელს ორს ბერძენს, განთქმულს არსიტეკტორს, სკულპტორს და ოქროს ნივთების მკეთებელს თეოდორეს და ლექსთა მთხუკელს ოაღოუმელს ივაკოსს, ომელთაც რამდენიმე კვირით დაეტოვებინათ ბოლიკრატის სასახლე და მოსულიუმენ ეგვაპტის გასაცნობად. გერის ასლოს წამოწლილიყო სიბარისელი ჩასუებული ფალონიდ და ეთამაშებოდა თავის ხუჭუჭ თმებს და ოქროს ძერვებს.

ოღონშის ალექსანი სიტევა უკვლასტვის შზადა ჭრადა, მაგრამ ესლა კი საკუთრივ გამოჩენილს სამოსელებს ელაპარაკებოდა ხელოვნებაზედ და ბოეზიზედ.

ოღონშისი თვალები უმაწვილობის ცეცხლით იუნენ ალგზნებულნი, მაღალი ტანისა სრული და სწორე იყო, ჭალარა თმა მშვენივრად მოუკანიდს თავს უმშვენებდა. მაღალი შებლი ბრწყინვალე დიადებით ჭრანდა შემკობილი.

მისი კეთილ-შობილური ბერძნული სახე თუმცა იურმკრთალი იყო, მაგრამ მშვენიერი და შესანიშნავი იყო მით, რომ წლოვანებას თავის ნიშანი კერ დაედო; ამ ქალის შატრარა, ტურთად მოუკანილი პირი, დიდორინი, ჩაიგირებული და მშვიდი თვალები, მშვენიერი შებლი და ცხვირი უკვლა უმაწვილის პირის სახეს დამშვენებდა.

ოღონშისი ხნიერობის კვალობაზედ უფრო უმაწვილს ჰქიანდა, თუმცა თავის წლოვანებას არას დროს არა მაღავდა: უოკელს მის მოძრაობაში მისი ღირსება იხატებოდა და სიწერწეტე მისი არ იყო სიწერწეტე უმაწვილის ქალისა, ომელიც ცდილობს თავიდ მოაწონოს, არამედ სიწერწეტე ხნიერის ქა-

დისა, ოომელსაც უნდა ალექსიანად მოიჭეს, და ოდგახაც
თვით უკელას ალექსიანად უჩემა, უნდა ოომ მასაც უკელა
ალექსიანად მოეჭეს.

ესდა ოთახში ჩექნი ხაცნობი ჰითნი გამოჩნდნენ, უკელა
მათ დაუწეს ცემერა და ოოდესაც შევიდა ტანესი და თან
თავის მეგობარი შეიუგანა, უკელანი მეგობრულად მიესალმნენ;
ერთმა მიღეთელთაგანმა კადეც დაიძასა:

— მე კი თურმე არ ვიცოდი, ჩექნ რა გააგლდა. ესდა გა-
ვიგე რაშიაც არის საჭმე: უფანესოდ სრული მსიარულება
შეუძლებელია.

ტიღლოინმა ხმა მხარესა და მშვიდობიანად სთქვა:

— მსიარულება კარგი რამ არის და თუ შენ იგი თან მო-
გაჭეს, მაშინ მეც შენ მოგესალები, ათინელი!

— მე კი, სთქვა ოოდობისმა, ოოდესაც ახალ სტუმრებთან
მიყიდა: — სულით და გულით მოგესალმებით თქვენ, თუ რომ
მსიარულენი ხართ და მიგიღებთ არა ნაკლების გულ-წრთველობით,
თუ რომ მწერასარებითა სართ დატვირთული; მე იმაზედ დიდად
არა მესიამოვნება-რა ხრდომე, ლოგორცის, ოოდესაც მეგობრის
მოჯმუსკნილს შებლს სიხარულს მოვთენ. შენჯ აგრეთვე, სპარ-
ტინელო, ემეგობრადა გიწოდებ ამისთვის; რომ ამ სასელა
გრძემევ უკელას, ვინც კი ჩემი მეგობრისთვის საუკარელია.

— მაშ ასე, მე შემიძლიან თქვენ რონივე გასამოვნოთ,
ჩემო ძვირფასნო. შენ, ოოდობის, გემნება შემთხვევა ნუგეში
მცე მე, შენს მეგობარს, ამისთვის რომ მალე მომიხდება შე-
ნი და შენი ლამაზი სასლის დატვება; შენ კი, ტიღლინ,
გაიხარებ ჩემის სიხარულით, ოდგანაც მე ახლა მაინც არის
გნახავ ჩემს ელადას და ჩემს უნებურად დაუტევებ ამ შეუანას,

რომელსაც შეიძლება თაგვების უქროს მასე დაკარგებათ;

— შენ მიდიხსარ? შენ დაგითხოვეს? სად გინდა წახვიდე? ეპთხებოდენ აქეთ-იქიდამ.

— მოთმინება იქონიეთ, ჩემო მეგობარნო, უთხრა ჭანესმა: მე თქვენ უნდა გიამბოთ გრძელი ისტორია, რომელსაც კახში-მისთვის ვინახავ. ჩემო საუკარელო მეგობარო როდობის, ჩე-მი შიმშილი ისეთივე დადია, როგორც ჩემი მწუხარება შენ-თან განშორების გამო.

— სიმშილი გარეთ რამ არის, იმეცნიერა ჭიდოონმა: — რო-დესაც კარგს სადილს მოედი.

— დამშვიდდი ჭილიონ, მიუგო როდობისმა: — მე კუბრძანე მზარეულს, რაც შეიძლება კარგი საჭმელები მოამზადოს, რად-განაც უდიდესი გემოს კაცი, ჭილიონი, საჭმელებს სასტივად გაგიშინვას მეთვი. წალი გნავიას და უბრძანე კახშიმი მო-გვართვან! კხლა ხომ კმაყოფილნი ხართ, მოუთმენელნო სტუ-მანო? ოჯ, ჭანეს! შენი კამწუხარო ამბით გახშიმი სრულდად წამიხდინე.

ათინელმა თავი დაუკრა, ჭიდოონმა კი კვალად იფელო-სოუროსა.

— დაქმაუთვილება გარეთ რამ არის, როდესაც საშუალება გაქეს სურვილის ასასრულებლად. მეც აგრუთუ მაღლობელი გარ შენი, როდობის, მძისოვის, რამ ჰატრივი ეცი ჩემს შეუდარე-ბელს. სამძირბლოს ამბობს ანაკლეონი?

დღეგანდელ დღით ვისარგებლოთ;

ხვალ ვინ იცის რა იქნება?

ვითამაშოთ და ვიძლეროთ,

დარდი ალარ მოგვიზგება!

ებ, იყიგ! სწორედ ვსტკვი დეჭის. შენის მეგობრისა, რომე-

დაც შენთან ერთად პოლიკატის სადილზე მხიარულობს ხოლმე? გეუბნები, რომ, თუ ანაკრეონი კარგს ლექსებსა სწერს და ცხოვრებით სტეპებზე მე იძაზედ ნაკლებ არ მიყვარს სიცოცხლით დატებობა. იგი არც ეთრს თავის ლექსში ჭამას არ აქვს და განაჭამა ნაკლებად საჭიროა, სინამ თამაშობა და სიუკარული, თუმცა ეს რომელი — თამაშობა და სიუკარული — ჩემთვისაც ძვირფასნი არიან? უწმელად მე უნდა მოვმკვდარიყავ, უთამაშოდ და უსაუკარულოდ კა შემიძლიან ცხოვრება, თუმცა ასეთი ცხოვრება გაი-კაგლასისა იქნება.

ჭილობინმა, გმაუროფილმა თავის მახვილის სიტუაცით, ქალიან გაიხარხარა; სპარტინელი კი, ლაშარავის დროს, დელფინელს ჭრიას მიუბრუნდა, მიიუკანა კუთხეში და დიდის აღელებით ჭკითსა, — მოუტანა მას რაკულის პასუხი თუ არა. დელფინელის დარბაისლური სახე გამხიარულდა; მან ამოიღო უბირამ რაღაც გძლად დახვეული, რომელიც ეტრატისა ჭრადა და რომელზედაც სტრიქონები იყო დაწერილი.

ლონიერსა და მამაცს სპარტინელს ხელები, უკანვალებდა, სინამ დასკეულ ეტრატის აიღებდა, მერე გაშალა იგი და რაჭებსამე სას თვალი უკ მოაშორა მის სტრიქონებს; შემდეგ უგმაუროფილოდ გაიწია თავი, ეტრატი ჭრიას დაუბრუნა და უთხრა:

— ჩვენ სპარტანელები სსვა რამებმა, ვსწავლობთ და არა წერა-კითხვებს. თუ შეგიძლიან, წამივითხე რას ამბობს პიჭია.

დელფინელმა გადააკლო ნაწერს თვალი და მიუგო;

— გიხართდენ! ლოგისიასმა გიწინასწარმეტებელა შენ ბედნიურად დაბრუნება; გაიგონე რას გეუბნება ჭრუმი-ჭალი:

მოვა დრო და თოვლის მოებით რაზმები.

დიდ მდინარის ნაპირზედ გაიშენება,

სუბუქ ნავით წყლის კიდეს მიადგები,

დატანჭული გული დაგიმშვიდდება.

სუთს მსაჭულსა უპპა გადოუწევეტიათ

მისცენ მწირს, რაც წინად არ მიუციათ.

ამ სიტუაცის სპარტანელი დიდად აკირდებოდა. მან სთხოვა მეორედ წაეკითხა, ორავულის წინასწარმეტეველება, მერე თვითონ გაიმეორა, დასახსომებლად, ჭრიქსს მაღლობს გარდაუსადა და ეტრატრ შეინახა.

დელფინელიც ჩაერთა საზოგადო საუბარში, სპარტენელი კა ისევ თრავულის წინასწარმეტეველებას იმეორებდა, რომ არ დავიწევებოდა და ცდილობდა იმის სიტუაციის აღსნას.

II

სასადილო დარბაზის ქარები გაიღო. შესავალში უოველის მხრით ქრა თმითხი დამაზი ბაკშები იდგნენ და სელში ტირითვის გვირგვინები ეჭირათ; დარბაზის შეა დიდი, დაბალი, მშვენიერი სტოლი იდგა, რომელსაც გერლაბზედ ბალიშები ეწურა და სტუმრებს დასასხდომად იწვევდენ.

სუფრაზედ უკავილების კონები ეწურა. შემწერები, ჭიჭები და ბადიები, ინდიის ხურმით, ლელვით, ბროჭეულით და უურძნით სავსენი თავილით სავსე კურცხლის სკბის გემლით იდგნენ; შეა სუფრაზედ კურცხლის სამკაული იდგა, რომელიც საკურთხეველსა ჰქავდა; იგი ტირიფისა და კარდის გვირგვინებით იყო შემთხვეული და იმის პირიდამ სასიამოკნი სურნელების ბოლო ამოდიოდა.

სუფრის ბოლოზედ კურცხლის კურცელი ბრწყინვადა და

მასში იდვა არეუზი სხსმელი, ჩინებული ნაწარმოები ეგვიპტის სელოვნებისა. მისი დაგრესილი ფეხები წარმოადგენდეს ორს ბუმბერაზე, თითქოს დაღალულთ იმ ფიალის სიმძიმით, რომელიც მათ მოჰქონდათ. ეს ჭურჭელიც საგურთხევლისავით უკავილებოთ იყო დაბურვილი. ერთიას სიტუაცია, როგორც თვით სუფრა ისე მთლად დარბაზი უკავილებით იყო მოვენილი, სოლო თეთრად გალესილი კუდლები ლამპებით იყო მოჭრდილი.

როგორც კი სტუმრები სადილზედ დასხდენ, მაშინვე მოვალენ შერა თმიანი უმარვილები, რომელთაც სტუმრებს მხრები და თავები უკავილის გვირგვინებით, შეუმტკიც და ფეხები კერცხლის ტაშტში დაჭინების. მოსამსახურებ უკვე აიღო სტოლიდამ ერთი საჭმელთაგანი სტუმრების მისარომევად, ჭილიონი კი ისეგი ფეხებს იძანდა და უბრძანა მოსამსახურებს, რომ იგი მთლად უკავილებით დაებურათ. მაგრამ, როდესაც პირველი საჭმელი მოიტანეს, მან უოკელისუერს თავი დაანება და მხოლოდ მშვინიერის საჭმელებით სტეპებოდა. როდოპისი სუფრას თავზედ იჯდა, სასმელით საკსე ჭურჭელის ახლო და ერთსა და იმავე დროს სტუმრებსაც აქციებდა და მოსამსახურებსაც განკარგულებას აძლევდა.

იგი მცირეოდენის ამპარტავნებით უუკრებდა თვის სტუმრებს და თითქოს ცდილობდა უკელა მათგანის გართობას. ხან დელფიელს ეკითხება ფულის შეგროვების შესახებ, ხან ჭილიონს ეკითხება მოსწონდა მას იმის პირის გაეკეთებული საჭმელი თუ არა, ხან იკივს უგდებდა უურს, რომელიც საუბრობდა მასზედ, რომ ჭილინის ათინელმა ისტორიულის ცხოვრებიდამ გამართა წარმოდგენები სიმღერებითა.

შემდეგ იგი სპარტენელს მიუბრუნდა და უთხრა, რომ

იგი ერთად ერთი კაცია, ორმლის წინაშეც მას ბოდიშის მოხსედა უნდება არა სადილის სიმცირის გამო, არამედ იმის სიუკეთესობის. ორდესაც იგი მეორედ მოკა, მაშინ იმის მონა ქნავიასი, ორმელიც თავს იძირ იქნებს, ორმ სპარტანულად სისხლის საჭიროის გაჭირება იცის (აյ ჭილოინი შეძრწუნდა), ნამდვილს ლაკურემონურს სადილს მოუმზადებს.

ორდესაც სტუმრებმა სადილი გაათავეს, უგელაძე კვალად სულები დაიბანეს. შემდეგ აალაგეს ჭურჭელი, ორმელშიაც სჭამდენ და სვამდენ, იატაკი გაწმინდეს და დაასხეს წყალ-ღვინი. ორდობისა, ორდესაც დათწმუნდა, ორმ უოკელისთვის რიგზედ მიდიოდა მიუბრუნდა ჭანეს, ორმელიც მიღეთე-ჭებთან ცხარედ ბასობდა, და უთხრა.

— გულითადო შეგობარო! ჩვენ ისე დიდ-სანს შეკიმაგრეთ ჩვენი მოუთმენლობა, ორმ ეხლა შენ გალდებული ხარ გვიამბო თუ არ უსიამოვნო შემთხვევა გაიძულებს ეგვიპტისა და ჩვენი საზოგადოების დატოვებას. იქნება შენ გულ-ცივად დასტოარ ჩვენი ქმედანა, მაგრამ ჩვენ გი უოკელთვის მწერალებით მოგრავნებთ, აადგანაც ჩემთვის იმაზედ დიდი დანაკლისი არაუკარა, ორგორც დიდი ხნის მეგობრის დაკლება ბერ, მა ჩვენებანისა იმდენს ხანს იცხოვონ ნილოსის ნაპირებზედ, რომ არა მგონია მათ ეგვიპტურ ჭკვა დამჭვდომა არ შეკოსებინოთ. შენ იღიმები, მაგრამ არა მგონა, ორმ მცირებაც არას მათნაც არ გენანებოდეთ, თემცა შენი სული და გული დიდი ხანია ელადისაკენ მდისწავლებლდა. ზომ მართალს კამბობ, არა? ძალ გვიაშე, რა გაიძულებს შენ ეგვიპტიდამ წასკლას, ორმ შეგვეძლოს მოვითიჭოთ თუ როგორ შეიძლება შენი აქ დარჩენა.

ჭანესმა მწერალედ გაიზიმა და უთხრა.

— გმადლობთ, ორდოშის, მაგისტრების სიტყვებისა და ჩემი წასკლის წინააღმდეგობისათვის. ათასი სხვა შინით დაგავიწეუბენ ჩემს სახელს. თუმცა ღიდა ხსნა ნიღოსის საპირებზედ სცხოვრობ, მაგრამ თავით იქცებამდის მაინც ეჭინებ ჭალად დარჩენილსარ, რისათვისაც ღმერთებს უნდა მადლობდე. მეც ჭეუა-დამჯდობის მომსრულებარ, მაგრამ ეგვიპტური უგუნურებისა კი მტერი ჭარ; არა მგრინა თქვენში ისეთი კაცი მოიპოვებოდეს, რომელიც სწუხდეს იმაზედ, როსაც თავითამ აცილება არ შეიძლება. ეგვიპტური ჭეუა-დამჯდობისა სასარგებლო კი არა, საკენებულია იგინი, რომელიც თავეთ მიცემალებულებს თასის წლობით ინახვენ და უფრო ადგილად დასთმობან უკანასკნელს ლუკმა-ჭურს, სინამ შაპის ჰაბის ერთს ძვალს, ჭეუა-დამჯდობად კი არა, სულელებად უნდა ითვლებოდენ. განა მე კი მიამება იგინი დალონებული კხახუ, რომელიც მიუვარან? რასაკვრცელია, არა! თქვენ უოველდეგ მწუხარებით როდი უნდა მაგრანებდეთ, როგორც ეგვიპტულები, როდესაც მათ მკრთარი შორდება. თუ როდ როდისმე გინდათ მომიჯონოთ — რადგანაც მე ჩემს სიცოცხლეში უგებების გეღარჯ კნახავ — უსათუოდ ღიმილით მამიგონეთ. ნუ ატყვით: აახ, ჭანესმა თავი რად დამანებაო! ააარამედ სთქვით: «იმსიარულოთ ისე, როგორც ჭანესი», როდესაც იგი ჩვენ შორის იმუოვებოდა თქო! ად თქვენ როგორ უნდა მოიტენ. ასე გმიბობანა სიმონილმაც, როდესაც იგი მუეროდა: ჩვენ, რომ გვექონდეს ჭეუა-გონება დიდ ხანს ალარ გაწუხებდით;

მიცემალებული ჭაფლავზედა

მხროლოდ ერთს დღეს ჭირითებდით.

სუც ასლოა სიყვდოლი,

სიცოცხლე ჩვენი რის ჩქარად,
იგი ისე ფუჭი არის,
რომ არა ღიას საწესარად.

— თუ რომ მიცეალებულებზედ ტირილი საჭირო არ არის,
რაღა საჭირო იქნება განმორებულს მეგობრებზედ მშემუნვარება;
მიცეალებულნი საუკუნოდ განჭირენ, მეგობრებს ეს გამოსალმე-
ბის დროს კუუბნებით ანახვამდინო!

აქ ჭილოიმა, რომელსაც დიდი ჩანარ მოუთმენელობა
კტუობოდა, ჟერარ მოითმინა და მწერალეს ხმითა სოჭვა:

— დროით გვიამბე შენი ამბავი, შე ავთ გაცო! მე ერთს
ცერს, ღვინოსაც კერ დაკლევ, სინამ სიტყდილზედ საუბარი
არ შესწევეტამ. ჩემი სისხლი, სოულიად გაიუინა და უოკელ-
თვის ავადა კხვდები, როდესაც კი საუბარი შეეხება.... ერთია
სიტყვით, როდესაც ამბობენ, რომ ჩვენ საუკუნოდ არ ვიცოც-
სლებთ.

მთელმა საზოგადოებამ გაიცინა, ჭანესმა თავის ამბავი
დაიწყო:

«როგორც თქვენ უკვე უწევთ, მე კცხოველებ საისიდის
ახალს სასახლეში, მემჭისში კი, როგორც ბერძნის დარაჯის
უფროსს, რომელიც უოკელთვის მეფეს თან დაკდებ, საცხოვ-
რებლად სასახლის ერთი მხარე დამინიშნეს.»

«რადგანაც შირველი შეაძერის დროიდამ მეფები საის-
ში ცხოვრობენ, ამისთვის სხვა სასახლებს უკრს არავინ უგ-
დებს ხოლმე. ჩემი სადგომი უოკლისფრით გარგი იყო, თუ
რომ ერთი ნაკლულევანება არა ჟირნოდა.

დღისით, როდესაც მე შინ არ ვიყავ, ჩემი სადგომი
საქმიად კარგი იყო, მაგრამ ღამე ძილი არას გზით არ შეიძ-
ლებოდა; კაგუბიდ და კირთაგუბიდ ისეთს საშინელს ფხავა-

ფხებულს ასტერდენ სოლმე, ორმ მეტი არ შეიძლებოდა.

«მე არ კიცოდდი რა მომეგვარებინა ამისთვის, სინამ ერთ-მა ეგვიპტელმა ჭარის-კაცმა არ მამურდა თრთ მშვენიერდ დიდი კატა, ორმეტაც რამდენსამე კერის განმავლობაში ცოტა არ იურ მამაშორეს ჩემი მტანჭალება და მე მოსვენება შემეძლო.

თქვენ კარგად იცით, ორმ ერთი კანონი ამ საკვირველი ერთსა, ორმლის განათლებას და სიბრძნეს თქვენ უკვლანი ძალიან აქებთ. კატებს წმინდა ცხოველებად სთვლის. ამ ბედ-ნიერთ თხს-თქეხთ, სხვა ცხოველებთან ერთად, ღმერთისაკით თაყვანსა ცცემენ და იმათვი მკვლელი ისევე ისჯება, ორგორც გაცის მკვლელია.

როდოპისი, ორმეტაც აქამდის იღიმებოდა, დაფიქრიანდი, როდესაც გაიგო, ორმ ფანესი იმისთვის უნდა გაედევნათ, ორმ წმინდა თხს-თქეხს უმართებულოდ მოჰქმერობოდა. იმან კარგად ცცოდა თუ ეგვიპტელების ამ ცრუმარწმუნოებამ რამდენი მსხვერპლი და კაცის სიცოცხლე შეიწირა. იმას წინად ამაზადსაც გერ დაეხსნა გაბრაზებული ხალხისგან ერთი სამოსელი, ორმეტაც კარა მოკვლა.

«უკვლათერი კარგად მიღიოდა, განაგრძო კვალად ფანესმა! — სინამ ჩენ ამ თრის წლის წინად მემჭიდისიდამ წამოვიარდით.

«მე ჩემი კატები სასახლის ერთს მოსამსახურეს ჩავაბარე და კაცოდი, ორმ მომავალში იგინი თაგვების შემოსუვისაგან დამახსნიდენ, რისკ გამოც მე მათ პატივსა კცემდი.

«წარსულს წელს ამაზისი ვად გახდა, ასე რომ მემჭიდა მი გადმოსკვლა კერ მოვასწარით და დავრჩით საისში.

«ბოლოს ამ ექვსი კვირის წინად ჩენ გადმოვსახლდით გირჩმიდების ქალაქში, მე ჩემს ძველს თოხებში დავდევი, სა

დაც თაგვების სინსილაც კეღარა კნახე; მაგრამ თაგვების ნაც-
კლად კაცები გამრავლებულიყვნენ, ოომელნიც ისევე უსიამოვ-
ნონი იყვნენ ჩემთვის, ოოგორც თაგვები. მე მინდოდა იგინი
გამეუარა, მაგრამ გერ მოვახერსე და მათი კნავილ-ჩსავილი უო-
კელს ღამეს მოსვენებას არ მაძლევდენ.

«უოკელს წელიწადს, ბუსტის დღესასწაულის დღეს,
მომეტებულდ კატები ღვთის პახტის ტაძარში მიჰყავთ, ოომელ-
საც კატის თავი აბაა; იქ მათ უკრს უგღებენ და ოოდესაც
ძალიან მრავლდებიან სადღაც მიჰყავთ. ჭურუმები ხომ ეშმაკება
არაა!»

«საუბედუროდ ხსენებულს ტაძარში კატების გაზზავნა მე
კრ მოვახერსე და მათი გაძლებაც აღარ შეიძლებოდა; ოოდე-
საც რომა კატამ თორმეტი გნუტი კიდევ შემძინა. მაშინ კი
განვიზრახე ეს ქნუტები მაინც არის მომემორებინა. ჩემს
შეანა მიუსს, ოომელიც კატების საშინელი მტერი იყო, კუ-
ბომანე ახლად შეძნილი კნუტები ტომარაში ჩაეყარა და ნი-
ლოსში გადაეკდო. მაგრამ ჩვენი განზრახვა სასახლის ეგვიპტ
ტელმა მოსამსახურებ გაიგო და სხევბსაც შეატყობინა.

«ოოდესაც მიუსი ნილოსის ნაპირზედ მივიდა და კნუტე-
ბი. უნდა გადაეყარა, უეცრად დაინახა, რომ დმისები ხალხი გარ-
ბოდა და ქვებს ესროდა.

«მოუსი შესვდა ამაცი ამბავი იყო, კნუტებით საგსე ტომა-
რა წეალში გადააგდო და ისე დადგა ვრთომ აქ არაფერია,
რავდენიმე წამის შემდეგ მის გარშემო ეგვიპტელები შემოეხვიზ-
ნენ და მათ შორის ჭურუმებიც იყვნენ. ბეკრი მათგანი და
მათ შორის სასახლის მოდალატე მოსამსახურეც გადაცვივდენ
ნილოსში და თორმეტი დამღვრჩევალი კნუტით საგსე ტომარა
გამოიტანეს. გველამ ისეთი საშინელი აუალემაჲული ასტესაც

რომ მათი ხმაურობა სახლში. მესმოდა. გაძრაზებული ხალხი ეძგენა ჩემს საბრალო მოსამსახურეს, წააჭდეს იგი, დიდ ხანს სცემეს და უსათუოდ კიდეც მოჰყდავდენ თუ რომ კრის ქურუმს არ ეპრძენებინა, რომ იგი საპურობილები ჩიტებოთ, რადგან მას ჩემი დაღუპვის განზრახვაცა ჭრნდა.

«ნახევარ საათის შეძეგ მეც დამიჯორეს. ჩემმა მოსამსახურემ კერ უოკელისფერი თვითონ დაბრალა, მაგრამ უმაღლესმა ქურუმმა საშინლად აწვალა და ამით ათქმუვნა მას, რომ კატები ჩემის ბრძანებით დააღრმავ.

«უმაღლესი სამსჯავრო მემჭისის ქურუმებისაგან შესდგება, მათს გარდაწევილებას თვით მეფეც კერ უწინააღმდეგებს; ამისათვის ორგორც ჩემს საწყალს მიუსა, ისე მე სიკვდილით დასჯა გადაგვიწუვიტეს. მიუსა როი დანაშაულობისათვის დატავეს: წმინდა ცხოველების დასოცვისათვის და ორგორც კერ კატის მმოვრთო ნილოსის წაბილწევისათვის, მე კიდევ იმიტომ დამსაჯეს, რომ, ორგორც იგინი ამბობენ, დამნაშაგეს კერმას გებოდი. მიუსა იმ დღესვე დასჯეს. მშვიდობა გვამსა მისა! მე უოკელთვის ისე მოვიგონებ, ორგორც მეგობარს და კეთდ, ლის-მუთველეს. იმის გვამის. წინაშე მეჩ წამიკითხეს გადაწუვეტილება; მე უკეთ გემზადებოდი ჭვესკელში მოგზაურობისათვის, ორდესაც მეფემ ბრძანა ჩემი სიკვდილით დასჯა გადაედოთ.

«მე კვალად ციხეში წამიუვნებ.

ურთმა ჩემმა არყადიელმა ასის თავმა შემატეობინა, რომ უკელა ბერმნების აფიცერები და ოთხი ათასამდინ ჭარის კაცი, სამსახურიდამ გამოვლენ, თუ მე, იმათს უფროსს, არ მაპარივებდენ.

«ბინდისას მე მეფესთან მიმიუვნებ, ორმელმაც ტებილად მიმიღო, იმანაც დაწვრილებით მიამბო უოკელიკე ის, რაც ასის

თავმა მიაშბო და თანაც დაუმატა, ორმ შენისთანა საუკარელი მხედრის განშორება ძალიან მეძნელებაო. რაც შემეხება მე, უნდა გამოგიტყედეთ, ორმ ამაზისზედ სრულიადაც არა კვავრობ, პირიქით მე იგი მებრალება, ორგორც ძლიერი მეფე. თქვენ რომ იცოდეთ, რა რიგად ჩიოდა იგი, ორმ არავითარს საჭმეში ისე არ შეუძლიან მოიქცეს, ორგორც თვითონ უნდა, და ასე გასინჯეთ თვით იმის შიროვნულს საჭმეშიაც კი ჭურუმები მონაწილეობას იღებენ! ჩემი საჭმე რომ იმაზედ უოუდლიულს დამოკიდებული, იგი მე, უცხო ჰეგუნელს, სამოვნებით მაპარივებდა დანაშაულს წინაშე კანონისა, რომელიც მე არ მესმის და ორმელიც, თუმცა უსამართლოდ, სისულელედ მიმჩნდა. მაგრამ ჭურუმების გამო მე იგი დაუსჭელად არ გამიშებს, გელაზე მცირე სასჯელი ეგვიპტიდამ განდეგნაა და ასეც მიშრაბის შეზე.

«კერ წარმოიდგენო», — ამ სიტუაციით დააბოლოვა თავის ჩივილი: — რაგდენ. რამებში დავუკავ ჭურუმებს, ორმ შენთვის კპატივებინათ. სომ იცი, ორმ ჩვენი უმაღლესი სამსჯავრო მე არაფერში არ მემორიალება! »

«მე გამოვემჟიდობე მას შემდეგ, ორდესაც შეკუდცე, ორმ იმავე დღეს მემტისს დაკუტეგებდო და მოლად ეგვიპტეც სამი კვირის შემდეგ. »

«სასახლის კარებთან მეფის შევიდა ფსამეტიხა შემხვდა, მე დადი ხანია მდევრიდა მე ერთი უსამოვნო ამბისათვის, ორმლის თქმაც არ შემიძლიან (შენ ეს ამბავი უკვე აცი, ორდოპის). მე მინდოდა მას გამოვმჟიდობებოდი, მაგრამ მან პირი მომართდა და მითხრა: «შენ, ათანელო, ეხლაც გადარჩი სიკედილსა; მაგრამ ჩემი შემის-ძებისგან კურ არ გადარჩენილხარ! სადაც უნდა წახვიდე, მე მაინც გიპოუნი. შე-

ნა!» «მაშ მე შენი შეხვედრის იმედი შეონდეს მეთქი», კუთხაში მე და შემდეგ ჩემი ბარგი ჩავაწყე ნავში და აქ ნაუკრატისში მოვედი. სადაც ბედის ჩემს ძველს მეგობარს სპარტანელს არისტომისს შემახვედრა, რომელიც წინად ვიპრის კუნძულზე ჭარის უფროსი იყო და არამეტიც იმედია ესლა ჩემს ადგილს და ადჟერს. მე დიდად კმაყოფილი ვიქებოდი, როდესაც ჩემს ადგილს ამისთხმა ღირსეულს კაცს დავინახავდი, თუ არ მე შეინოდეს, რომ ამის სანაქებო ლექტორან ჩემი ლექტორი ალა-რაფრად გამოჩხდება.

აქ არისტომისმა გააწყვეტის ათანელს სიტუაცია და უთხრა: «გმარა ჩემი ამდენი ქება, მეგობარო ჭანეს! სპარტანულმა ენამ შირმოთხეობა არ იცის; როდესაც ჩემი თავი დაკვირდება, მე საქმით დაგამტკიცებ ჩემს მეგობრობასა.

როდობისმა თრივეს კმაყოფილებით გაუზიმა. შემდებარებელი ხელი ჩამოართვა და უთხრა:

— სამწუხაოდ, შენის საუბრიდამ ის გავიგე, ჩემო საბრალო ჭანეს, რომ ამის შემდეგ შენი აქ დადგომა შეუძლებელია. მე შენ სუბუქად მოქცევისათვის არ გაგიცხავ, მაგრამ უნდა გროვნოდა კი, რომ უბრალო რამისთვის დიდი განსაცელი მოგეფოდა. ბერძენი ჯა ნამდვილად მამაცი კაცი მხოლოდ მაშინ მოსჭიდებს ხელს საეჭვო საქმეს, როდესაც იცის, რომ ამ საქმისგან სარგებლობა უფრო ბევრი გამოვა, სინამ ზიანი. უჭირო სიმამაცე ისეებ მავნებელია, როგორც სიმხდალე, თუმცა იმდენად გასაკირხო კი არ არის, ამისთვის რომ, თუმცა თრივე მავნებელნი არან, მაგრამ სიმხდალე სასირცხვილოც არის. შენი სუბუქად ჭცება კინალამ სიცოცხლედ არ დაგივდა, იმ სიცოცხლედ, რომელიც ბევრისთვის ძვირფასია და რომელიც უფრო კარგი საქმებისთვის უნდა დაიცვა. მაშ და ეს

ქ ე თ ი დ შ ხ ბ ი ლ ა მ ს პ ა რ ტ ა ნ ე ლ ა , ო რ გ ო რ ც მ რ მ ა ვ ა ლ ა მ უ ფ რ ი ს ა მ შ ე ბ ი ს ა , ი ყ რ ს წ ა რ მ რ მ ა დ გ ე ნ ე ლ ა მ ჩ ე ნ ი ს ე რ ი ს ს ა ს ა ხ ლ ი ს წ ი ა ნ ა შ ე , დ ა კ მ ა ნ დ ა ი ც ვ ა ს ჩ ე ნ ი ა კ ი ა მ ა ნ ქ უ რ უ მ თ ა მ რ ი ს ხ ა ნ ე ბ ი ს გ ა ნ დ ა ს , ო რ მ მ ე ფ ე ა მ ე რ ს მ ღ წ ე ა ლ ე ბ ი ს თ ვ ა ლ ი თ უ ფ უ რ ე ბ დ ე ს . მ ე შ ე ნ ს გ ა ლ თ ა ს დ ა ვ ი ჯ ე რ ა რ ი ს ტ რ მ ა ს დ ა ა რ გ ა უ შ ე ბ ი ქ ა მ დ ი ს , ს ა ნ ა მ ა რ ა ღ ვ ი ა თ ჭ ე ა მ , ტ ა ნ ე ს ი ს ა მ ე ბ რ , ო რ მ უ ბ რ ა ლ ა ბ ე რ ძ ე ნ ს ა ც კ ე ბ ი კ ე ბ ი ს გ ა ნ დ ე ბ ი ს გ ა ნ დ ე ბ ი ს გ ა ნ დ ე ბ ი ს გ ა ნ დ ე ბ ი ს . ჩ ე ნ რ ა მ დ ე ნ ი მ ე ა თ ა ს ა ბ ე რ ძ ე ნ ი მ ე მ ი ღ ი ა ნ ი ს ე გ ვ ი პ ტ ე ლ თ ა მ ა რ ი ს ვ ი მ უ რ ე ბ ი თ , ო რ მ ე ლ ნ ი ც მ ტ რ უ ლ ი ს თ ვ ა ლ ი თ გ ა ი უ რ ე ბ ე ნ ; მ ა გ რ ა მ ჩ ე ნ . ჩ ე ნ ა ს ვ ა უ ვ ა ც ლ ი თ ა ვ ა რ თ ძ ლ ი ა რ ი ნ ი დ ა ე ს ს ი ღ ლ ი ე რ ე უ ნ დ ა შ ე ი ნ ა ხ ო თ ე რ თ ა - ე რ თ მ ა ნ ე რ ი ს დ ა ხ მ ა რ ე ბ ი თ . ა ქ ა მ დ ი ს ე გ ვ ი პ ტ ე შ ი მ ც ხ ვ რ ე ბ ი ნ ი უ კ ე ლ ა ე ლ ი ნ ე ლ ნ ი ი ს ე კ ე ბ ი დ ი თ , ო რ გ ო რ ც მ მ ნ ი ნ ; ე რ თ ა უ კ ე ლ ა ს ა თ ვ ი ს ს დ ე ბ დ ა თ ა ვ ს დ ა უ კ ე ლ ა ე რ თ ი ს ა თ ვ ი ს დ ა ე ს ე რ თ ს უ ლ ი ა ს ი ყ ა ჩ ე ნ . ჩ ე ნ ა რ ჩ ე ნ ე გ ვ ი პ ტ ე შ ი მ მ ც ხ ვ რ ე ბ ი ბ ე რ ძ ე ნ ე ბ მ ა ს ე თ ი ვ ე ე რ თ გ უ ლ ე ბ ა გ ა მ რ ა ხ ი ნ ი ს ე რ თ მ ა ნ ე რ თ ი ს , ჩ ე ნ ი ს ა მ შ ი რ ბ ლ ი ს უ კ ე ლ მ ა ე რ მ ა რ მ დ ა ვ ი წ უ რ ი ს თ ა ვ ი ს დ ა რ ი უ ლ ა შ თ ა მ რ მ ა ვ ლ ი ა ს დ ა უ კ ე ლ ა ნ ი მ ხ ო ლ ი დ ა ე ლ ი ნ ე ბ ა დ ა ვ ი წ უ დ ე ბ რ ე თ , ჩ ე ნ რ ო მ ი ს ე ც ც ხ ვ რ ი ა ბ დ ე თ , ო რ გ ო რ ც მ ვ ი ლ ნ ი ა ე რ თ ი ს თ ვ ა ხ დ ა ს დ ა კ ა ვ ა რ ე ტ ა ს ი დ ა ს ი ს მ თ ე ლ ი მ ჰ ე მ ე ა ნ ა ც მ ე რ გ ა ბ ე დ ა გ ა ლ ა დ ა ჩ ე ნ ი ს წ ი მ ა დ მ დ ე გ ა რ ე ბ ა ს დ ა უ კ ე ლ ი ა ნ ი მ ხ ო ლ ი დ ა ე ლ ი ნ ე ბ ა დ ა ვ ი წ უ დ ე ბ რ ე თ .

ა მ ს ი ღ უ კ ე ბ ზ ე დ რ ი დ ი ს ს თ ვ ა ლ ე ბ ი გ ა უ ბ რ წ ე ი ნ დ ნ ე ნ ; მ ა რ ტ ა ნ ე ლ მ ა მ ა ს ხ ე დ ა დ ა უ კ ე რ ა , თ ა ვ - დ ა უ კ ე რ ე ლ ი ს ა ღ ტ ა ც ე ბ ი თ ს ი ს ფ ე ხ ა დ ა კ ა ვ ა რ ე ბ ა ს დ ა უ კ ე ლ ი კ ი ა მ ე რ ა დ ე ს ა ღ ვ ი ა რ ე ბ ა დ ა თ ა ვ ი ს მ ბ რ ა ნ ე ბ ლ ა დ ა .

— გ ა ფ ი ც ე ბ ი თ უ კ ე ს ს ლ ფ ე დ ე მ რ ნ ი ს ა ს ა ს , ო რ მ მ ე ა რ ა ვ ი ს ე ლ ი ნ -

თა ხელის ხლების ნებას არ მიკურნ; შენ კი ფოდოპის ღირსა ხარ სპარტანელი იყო.

— ათინელიც! დაუმატა ჭანესმა.

— ილნელიც! შეკვირეს მილეთელებმა.

— სამოსელი ქალიც! სოჭა სკულპტორმა.

— მაგრამ მე უშიორელეს უოვლისა, — სოჭა ალტაცებულმა დედა-კაცმა: — მე უშიორელეს უოვლისა, — ელინელი კარ!

უგელანი ალტაცებული იუვნენ: ასე გასინჯეთ თვით სი-
რელი და ებრაელიც კი მონაწილეობას იღებდენ ამ საუოველ-
თავი ალტაცებაში. მხოლოდ სიბარიელმა ჭიდოინმა არ უდა-
ლატა თავის დინჯობას და ოდესაც საჭმლით ჰირი გამოი-
ტენა, სოჭა:

— შენ აგრეთვე დინსი ხარ შიბარიელიც იყო, რადგანაც
შენი მოხარეული საჭმელები უგელასა სჭრბიან, რაც კი მე აქამ-
დის მიშვიმა იტალიიდამ წამოსვლის შემძეგ და შენი ღვინოც
ისეს გემრიელა, როგორც ხილისა და კეზუვის ღვინო.

უგელამ გამცინა, მხოლოდ სპარტანელმა შესედა სა-
ტებობას მოუკარეს სიმძლვარის თვალით.

— გამარჯობა თქვენი! უცრის მიესალმა მწთ ფანჯრიდამ
ჟუნიბი ბოხ-ხმიანი კაცი.

— შენც გაგმარჯობა! — მაუგრე მოლხინეთ და ცდილობდენ
გაეგოთ, კინ ათისეს დაგეხმანებული სტუმარი.

დიდ ხანს არ მოუნდათ მოცდა; სიბარიელს ჭერ ღვინოს
საალი უდაუში არ დაელა, რომ როგორშისის გეერდით უმკი-
დეგა მაგალი, ხმელ-ხმელი, სამოცის წლის მოსუცი კაცი, რო-
მელსაც გრძივრული შესედულება ჭიდობა; კი იურ კალიშები,
შეიღი ჭენის პირის ათინელისა.

დაგდიანებული სტუმარი ათიხიდამ ურთი მდიდარი გამო-

დეკნილთაგანი იყო; მან თრჯელ იყიდა სახელმწიფოსაგან ში-
ზისტრატის ქონება და ორჯელები უკან გამოართვეს მართველის
დაბრუნების გამო; ახლად მოსული გოსავრულის თვალით უკუ-
რებდა თავის ნაცნობებს და, ოდესაც უკელას მიესალმა, სთქა:

— თუ თქვენ ღირსეულად არ დააფასებთ ჩემს აქ მოსკლას,
მაშინ დაქეშმარიტებთ ვიტყვი, რომ ქვემად პატივის-ცემა არ
არსებობს.

— ჩვენ დიდ ხანს გელოდით შესა, უთხრა მას ერთმა მი-
ლეთელმა, — შენ შირველს მოგაქის ამბავი ღლიმშიის თამაშო-
ბის შესახებ.

— ჩვენც იმაზე უკეთესი მოამბე არ გვინდოდა, ორვერიც
არის გამარჯვებული სტუმარი, დაუმატა როდობისმა.

— დავვე, უთხრა ჭიათურა მოუთმენელად: — და მოკლედ და
კარგად გვიამბე უკელატერი, რაც კი იცი, მეგობარო კალიას.

— ესლამე, ჩემო თანა-მემამულებე, მიუგო უკანასკნელმა. —
საკმარიდ დიდია დობა დობამ გაიარა მას აქეთ, რაც მე ღლიმში დაკ-
ტივე და ჩავვეჭმ ერთს საუკეთესო სამოსელს ნაკში აქეთგვი
წამოსასკლელად.

«მე სოულიადაც მიკვირცხ, რომ ჩემზე აღრე არც ერ-
თა ელინელი არ მოსდგომია საუკრატიისის ნაპირებს; ჩვენ
საშინელი ქარი დაგვიდგა და უსათუოდ დავიღუპებოდით, თე
რომ სამოსელი გემები ასე მეკიდრად არა ერთიანულები აშენე-
ბულნია.»

«მე არ კიცი, რა იქნენ დანარჩენი მოგზაურები, მაგრამ
ჩემ კი სამოსის ნავთ-სადგურში დავდებით და ათი დღის შემ-
დებ გეალად გამოგუდებით გზასა.»

«ოდესაც დღეს ნილოსის ტოტში შემოგედით, შე გა-
დავვეჭმ ჩემს ნაკში და ქარმა ისე გამომაქანა აქეთგვი, რომ

ერთი თვალის დახამხამების შემდეგ ალექსითა და სტუმრის მოუკარებით გათქმული სახლი. მე დავინახე გაფრიალებული დროშა, გაღებულს ფანჯარებში სინათლე და დიდ ხანს კურა-მობდი, — შემოკულიყავ თუ არა; მაგრამ შენს გრძნებულს ძა-ლას კურ გაკუტელ, როდობის; ამას გარდა, ახალი ამბები, რომელიც ჯერ არავისთვის მათქვამს, სწორედ ძალას შემა-წებებდენ, თუ რომ ნაპირს არ გამოვსულიყავ, რომ ერთს ნა-ჭერ შემწვარზედ და სტაქან ღვინოზედ მეამბინა თქვენთვის იმის-თანა ამბები, რომლებიც თქვენ სიზმარშია არ გინასავთ.»

კალიასი ბალიშზედ დაჭდა და სინამ თავის ახალ ამბები უამბობდა — როდობის მისცა მან მშვენიერი ოქროს ბრასლეტი, რომელზედაც გეელი იუო გამოხატული და სამოსში დიდ ფასად ნაყიდი იმ თევდორეს სახელთანაში, რომელიც მას-თან ერთად სუფრაზედ იჭდა.

— ამ მე შენ რა მოგიტანე, უთხრა მან გახარებულს რო-დობისს, შენთვის კი, მეგობარო ჭანეს, ცოტა რამ უიზო უკეთესი მაქვს. ამა გამოიცან, ვინ მიიღო საჩუქარი თხს-ცსე-ნიანი ეტლების გაქცევაში?

— ათინელმა? ჭკითხა ჭანესმა და ლოუები აუწიოთლდა.

საჩუქარი, რომელსაც გამარჯვებული ოლიმპიის თამაშო-ზაზედ მიიღებდა, მოედს ერს ეკუთვნოდა. ზეთის-ხილის შტო, ლლიმპიის თამაშობაზედ მიღებული, იუო უდიდესი პატივი და ბეჭინიერება უოკელი. ელინელისათვის და მოედი საბერძნების ერთსათვის.

— გამოიცან, ჭანეს! უთხრა მხარეულიმა მოამბებ. პირვე-ლი საჩუქარი ათინელმა მიიღო და იმასაც გეტევი ვინც მიი-ღო: შენმა ბიძა-შვილმა კიმონმა, კიპსელოსის შვილმა, იმ შილტიადას შმამ, რომელმაც ცხრა ოლიმპიადის წინად ასეთი-

კე საჩუქრო მიიღო. მან მეორედ გაიძარვება ამ წელს იმავე ცხენებით, რომელთაც წარსულს დღესასწაულზედ აიღეს საჩუქრო. ამპარტავნობ განა, ბედნერებას გრძნობ შენის ოჯახის გამარჯვებით, არა ჭანეს?

ჭანესი სიხარულით ფეხზე წამოდგა და ასე გეგონებოდა გაზდილობა.

გამოუთქმეს სიამაყით და ღირსებით, მან ჩამოართვა ხელი გამარჯვების მოამბეს, რომელმაც, გადეხვია რა თანა-მემა-მელეს, განაგრძო.

— დააღ, ჩვენ შეგვიძლიან ვიამპარტავნობ და ვიმხარულოდ; მაგრამ უკელაზედ ძალიან შენ უნდა იმხარულო. მას შემდეგ, რაც მსაჯულებმა ერთ-ხმივ გიმონს აკუთვნეს საჩუქრო, მან გზირებს უბრძანა გამოეცხადებინათ პიზისტრატი თხ-ცენტრიანი ეტლის პატრონად და მაშისადამე გამარჯვებულათაც. ესდა ჩვენს გვარს, როგორც პიზისტრატმა გამოაცხადა, შე-უძლიან ათიაში დაბრუნება და შენთვისაც დადგა დადი ხნის სანატრელი დრო სამშობლოში დაბრუნებდა!

ამ სიოტყვებზედ სიმხარულე დაჭვარგა შემიგების უფროსი მა ჭანესმა; დიდებული მისი ამპარტავნება სიბრაზეზედ შე-ცვალა და მან დაიყვირა:

— მაშ, შენის ფიქრით, მე უნდა ვიმხარულო, უჭიერ კა-ლიას? არა, მე უნდა ვიტირო, როგორც მოვიზონებ, რომ ათამაძალებმა თავის დიდება ასე სამარცხევინოდ დაამ-სო. მე დავბრუნდები შინა? გეფიცებით ათიას, მამა ზეკვესს და აპოლონს, რომ მე უჭრო ადრე სიმშილით მოვიკედე-ბი უცხო ჭავანაში და სამშობლოში კი არ დაგიბრუნდები იქა-დის, სინამ პიზისტრატის იყი დამონაცებული ჰუავს. მე თავისუფალი ვარ, როგორც აღწივთ ღრუბლებში, იმ

დღიდგან, თა დღესაც ამაზისის სამსახური დაკტოკუ; მე მირა
ჩენიან ვისიმე მშიერი მონა ვიურ უცხო ქვეყანაში, სინამ ჰი-
ზისტრატის პირველი მოსამსახურები.

შემდეგ მან კვალად დაუჭირა ჭანესა ხელი და უთ-
ხრა:

— ორგორც შენ, ჩემთ მეგობარო, ისე მე ძალიან მეჯგუ-
რება ჩენი მხრმანებელი; მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, რომ
მტარვალია იქამდის არ მოისპობა, სინამ მტარვალი ცოცხალია.
მისი მომხრენი, დაღდამის ხილუსელი და პოლივერატ სამო-
სელი, ძალიან მძღვრები არან; მაგრამ ჩენი თავისუფლებია
სათვის ჰიზისტრატის სიბრძნე და გამოცდილება უფრო საში-
შია, სინამ იმის მომხრენი. ამ ბოლოს დროს ელადაში-
რობ ვიყავ, მე ვნახე, რომ ათინელს ხალხს თავის მტარ-
ვალი ისე უკვაცს, ორგორც მამა; თუმცა იგი ძლიერია,
მაგრამ სათლონის დაწესებულებანდ მაინც მოქმედობენ და იგი
მათ ხელს არ ახლებს. იგი ამების ქალაქზე ხელოვნების მშე-
ნიერის ნაწარმოებით. ზეგესის ახალი ტაძარი, რომელიც მშე-
ნიერის მარშალილების ქვით შენდება, უსასურდ უკვა სხვა შე-
ნობებს დაემჭიდობება. ჰიზისტრატის უკვა საუკეთესო მხატვა
რებს და პოლიტექნიკის ათავსში უკრძალ თავს, იგი აწერინებს გო-
მერის სიძლეებს და აგროებინებს მუზეუს ანომალიოლის
ნათევამებს. მას გაჭერას ახალი ქუჩები და მართავს ასალს სა-
ერთ დღესასწაულებს; მის ხელში ვაჭრობა ჭიერის და ერთ-
ჭონება უფრო მარტივის, თუმცა იგი ბერის ასალს სარჯუ-
ლებს მას გისურზედ მაგრამ რა არის ერთ? იგი არის ბედით

თა ხროეა, ომელიც კოლოსაკით სინათლეს დასდევს. პიზის-
ტრატის ფამიარით თუ გინდ რომ კიდეც გაჭერეს, გეფიცები
ჭანეს, ომ დაუდგომელი ერთ. სხვა ფამიარისებრ ისევე წავა.
ნება მიძღვე ერთხელ კიდევ ჩამოგართვა ხელი, ათავსის ნამდვი-
ლო შეილო; თქმენ კი მეგობრებო სხვა ახალს ამბებს გრამ-
ბობთ.

«ესრედ, კტელის მარჯლაზედ კიმონმა გაიმარჯვა და
თავის ზეთის ხილის შტო პიზისტრატის უძღვნა. თუმცა მოელს
ელადას თავის წარმომადგენლები ჰყავდა, მაგრამ კიმონის ეტლ-
ტედ უმშენებელი. არავისი იყო. ერთის სიტყვით ენით არ
შემიძლიან გამოსთხვა სიბრწყინვალე და დიდებულება ამ დღე-
სასწაულასა და აღტაცება სხვა-და-სხვა ჰკეუნებიდამ მოსულია-
კოისა.

შემდეგ კიმონისა საუსტესო საჩუქრები სპარტანელებმა
ლიზანდრმა და მარონმა მიიღეს, ომელიც კეთილ-შებილი
განდევნილი არისტომახის შეიარები არან. მარონმა გაჭცევაში
გაიმარჯვა; ლიზანდრი კი კროტონელ განთქმულ ფალავან მი-
ლონთან გამოვიდა საჭიდალდ. მილონი, სპარტანელზედ უფრო
მაღალი და ლოსიერი იყო და აგებულებით აპოლონისა ჰყავდა.
უმაწვილმა ლიზანდრმა ჭიდაობის წინად აიღო მაღლა ხელები
დმერთებისადმი და დაიძხა:

«მამი-ჩემის ლიასების და სპარტების დიდებისათვის გა-
მოვდავარ! კროტონელმა ღიმილით შესედა ახალგაზდას.

«დაიწყო ჭიდაობა. დიდ ხანს ერთმანეთს სელი ვერ მო-
აკლეს. დიდის გამძაცებით მივარდებოდა ხოლო კროტონელი

თავის მოწინააღმდეგეს, მაგრამ იგი გვეღისავით უსხლტებოდა მას, ორმლის ზელებიც გზებსა ჰქავდა. ამ ბოძობას უკერა სულ გამეღილი უურებდა. ფალავნების ძახილისა და ჭალაში ჩიტების გაღობის მეტი არაფერი ისმოდა. ბოლოს ახალგაზდამ სტაცია ხელი თავის მოწინააღმდეგეს. მიღონი დიდ სანს ცდილობდა ახალგაზდას ხელიდამ გაშებოდა. მებრძოლთა აფელი მეიდანსა რწყავდა.

«უკელამ თან და თან სული გამელა და თან და თან უფრო მებრძოლთა კენესა ისმოდა. ბოლოს მან შემოიკრიბა უკანასკნელი ძალა და უნდოდა კრეტისელი წაქეცია; მაგრამ შეან მისი დაუძლეურება შეიტევ და საშინელის ღონით დაღრვეული იყიდა. მაშინ შევი სისხლი გადმოედინა ახალგაზდას პირიდამ და იქვე ცოცხალ-მკვრარი დაეცა. დემოკრედი, ჩენი დოროს გამოჩენილი ექიმი, ორმელსაც სამოსელები უნდა იცნობდენ, რადგანაც იგი პილიკატის სასახლეში იმუოფებოდა, მაშინვე მოკიდა; მაგრამ კედარაფერი უშესება, რადგანაც იგი უგვეუ მომკვდარიყო.

«მიღონმა დაჭვარგა საჩუქარი და ამ ახალგაზდის მამა-ცობა ერ მთელს ელადაში გავარდება. ღმერთმანი, მეც ის უფრო ძალიან მინდა რომ არისტომახის შვილის ლიზანდრიისა-ვით მთვეგედე, სინამ კალიასისავით კიცოცხლო, სიცოცხლე, რომელიც უცხო ჭვეუანაში ბერდება. მთელი საბერძნების საუბრ-თესო წარმომადგენელი დაესწრენ ამ ახალგაზდა კაცის გვამის დაწვას, მის მეგლს მიღონ კროტონელის და სხვა ფალავნების ძეგლთა გვერდით დასდგამენ. ბოლოს გზირების გამოაცხადეს:

სპარტა მიიღებს გამარჯვების საჩუქანს მიცვალებულის მაგიერ, რადგანაც ლიზანდი მიღონმა კი არა — სიკვდილმა დაამარცხა; და ვინც დონიერ ბერძნთან ორი ცაათის ბოძოლის შემდგა გამარჯვებული გამოვიდა, იგი დირსია მიღოლს საჩუქრად ზეთის-ხილის შტო.

კალიასი ერთს წამს დაჩუმდა. ეს მსიარეული ხასიათის ჰაცი, როდესაც ლაპარაკობდა, იქ მჯდომთ არავის ურადღებას არ აქცევდა, მისი მკანიცხლი თვალები შორის გაიწერებოდნენ, გეგონებოდა ჭიდაობას უცქერან. ესლა მან გადა ხედა იქ მჯდომთ და გაკვირვებულმა დაინახა, რომ ხის ფეხიან მოხუცს კაცს, რომელსაც აქამდის არ იცნობდა, თვალებზედ ხელა მიეფარებისა და მდუღარე ცრემლით იძანებდა; იმის მარჯვნივ როდოსპისი იღგა და მარცხნივ ჭანესი და უკელა რე მყოფნი ისე უცქეროდენ სპარტინელს, თითქოს იგი უოფილი უს კალიასის მოთხოვთხის გმირად. გონიერი ათინელი მაშინკე მიხედა, რომ მოსუცი სპარტინელი ერთეული გამარჯვებულის ახლო ხცნობი იურ; მაგრამ როდესაც გაიგო, რომ არისტომიანი ლი გამარჯვებული ძმების — სპარტანელების მამა ცულ, იმანაც გაკვირვებით დაუწერ ჭოტიანალს მოხუცს ცქერა და თვითონაც მოუწია ცრემლები, რომელთა დამაღვასაც არა ფიქრობდა. იმ დროს გაუ-გაცებიც ტიროდენ, რაკიც იცნდენ, რომ ცრემლთა დენით მწეხარება შემცირდებოდა.

მცირე ხანს უკელა სტუმრებმა ხმა გაემინდეს მოხუცის მწეხარების შატივისცემის გამო. ბოლოს ებრაელმა ითხიდმ და არღვია სიჩუმე და ბერძნებულის ენის მტკრევით უთხოდა:

— ეს განვად მოიტე, სპარტენელო კაუ-კაცო. მე ვიცი თასაც წინავს შვილის დაკარგება. მეც ამ თერთმეტის წლის წინად, უცხო ქვეყანაში, ბაბილონის წელის კადებზე, სადაც ჩემი ერთ იტანჯებოდა, ერთი მშვენიერი ემაწვილი დავმარსე. თუ ჩემს მშვენიერს ბავშვს ერთი წელიწადი კადებ უცოცხლა, მაშინ იგი თავის სამშობლოში მოკვდებოდა და ჩვენც შეგვეძლო ის თავის მამა-პაპათ საფლავთა შორის დაგემარხა. მაგრამ კირმა სპარსეთისამ, აკურთხოს იეგოვამ მისი შთამომალი! — ერთის წლით გრან განგვანთავისუფლა და ქადა ერთი არად უფრო ვსტირი იმ ემაწვილს, ამისათვის, რომ იმის საფლავი იზრაოდას. მტერთა ქვეყანაში გაითხალა. ამაზე საშინელება რაღა იქნება, როდესაც ვხედავთ, რომ ჩვენი შვილები, უძვირფასესი საუნჯენი, ჩვენზე ადრე ჩადან საფლავში? და — დამისხნას. — იეგოვამ როდისმე დავგარეო იმისთანა მშვენიერი ემაწვილი, როგორიც შენი შვილი იყო, განსაკუთრებით იმ დროს, როდესაც მან დიდება მოიხვეჭა; — ამაზე უდიდესი მწუხარება რაღა იქნება.

სპარტენელმა ჩამოიღო თვალებიდამ ხელები და ღიმილით თვალ-ცრემლიანმა უთხრა:

— შენ სცდები, ფინივიელო: — მე სისარულისგან ესტირი და არა მწუხარებისგან, მე მზადა კარ მეორე შვილიც დაგარეო, რომელიც გი ისიც ისე მოკვდეს, როგორც ლიზანდრი.

იზრაოლტანელმა, გაკარგებულმა ამ აიტევებით, რომ მელთაც იგი დაჩამაულად და ბუნების წინააღმდეგად სთვლიდა, მხრულოდ უგმიშულფლოდ გააქნია თავი; მაგრამ იქ მუოფთ

ედინელთ კა ბედნიერს მოხუცებულს მამას ბეკრი მიუღოცეს. არისტომახი სახარელით რავდენიმე წლით გაუმაწვილებულსა ჲერაკლი და, მიუბრუნდა რა როდოპის, უთხრა:

— ჰემარიტად, შენი სახლი ჩემთვის ბედნიერებაა. ამის-თვის მას აქეთ, რაც აქ შემოვედი, ღმერთები ეს მეორე სახუ-კს მაძლევენ შენთ სახლის ჰერ ჰერ.

— ჰილელი რომელი იყო, ჰეითხა როდოპისმა.

— ორავულის სასიამოვნო წინასწარმეტებულება.

— მესამე კა გავიწევდება, უთხრა ჭანესმა: — დღეს შენ ღმერთებმა გაგაბედნიერეს და როდოპისა გააცნეს. ამა ირა-გულმა რა გიწინასწარმეტებულება?

— შეიძლება ეს წინასწარმეტებულება მეგობრებს შეკატუობა-ნო? — ჰეითხა დელჭილმა.

არისტომახმა თანხმობის ნიშნად თავი დაუჭნა და ჭრიქს-მა პატიას პასუხი მეორედ წავითხა:

მოკა დორ და თოვლის მთებით რაზმები
დიდ მდინარის ნაპირზე გაიმლება.

სუბუქ ნავით წყლის კიდეს მაადგემდ,
დატანჯული გული დაგიმშვიდდება.

სუთას მსაჯულსა უგეგ გარდუწუკერიათ
მისცენ მწირს, რაც წინად არ მიუციათ.

როგორც კა ჭრიგსმა უკანასკნელი სიტყვა სთქა, ათი-ნელი კალიასი წამოდგა და მღელვარებით სთქა:

— ესლა შენ ჩემგან მიიღებ ამ სახლში ათხცენიანი ეტლი-

საგან ადებულ დმერთების საჩუქარს. მე უკანასკნელს ჩემს ახალს ამბავს საბოლოოდ ვინახამდი. იცოდე, ორმ ეგვიპტეზედ სპარსელები მოდიან!

სიბარიჯის გარდა უკელა სტუმრები ფეხზედ წამოდგნენ და კალიასი ძლივს ასწრობდა ვითხვაზედ პასუხის მაცემას.

— დამშვიდდოთ, დამშვიდდით, მეგობრებო. დამაცადეთ უოცელის ფერი რიგზედ ვითხრათ, თორემ თავის დღეში გერ დავასრულებ ამ ამბავს! სპარსეთის ექლანდელი ძლიერი მეფის გამბიზის დესპანი დიდ-ძალის მხლებლებით, და არა ჯარით, როგორც შენა ფიქრობ ჭანეს, გზაზედ მოდიან. სამოსიდამ მივიღე ამბავი, ორმ დესპანები მიღეთში უგვე მოსულან. რამ-დენიმე დღის შემდეგ იგინა აქ იქნებიან. დესპანთა შორის არის მეფის ნათესავიც და ასე გასინჯეთ თვით ლიდის მოხუცო კრეზიც; ჩენ დად ამბავსა ვნახავთ! მოგზაურობის საგანი არა-ვინ არ იცის, მაგრამ ფიქრობენ კი, ორმ კამბიზულ-ამაზისთან დაკავშირება უნდა; იმასაც ამბობენ, ორმ ვითომც დიდს მეფეს ფარაონის ქალის შერთვა უნდოდეს.

— დაკავშირება? ჰყითხსა ჭანესმა და მხრები აიწივა. სპარსე-ლებს უიმისოდაც ნახევარი ჰყეუანა ხელში უჭირავთ. აზის უკედა დიდი სახელმწიფოები მათს სკარტის დაქორჩელნენ; მათი მეფე ეგვიპტესა და ელინთა სამშობლის ფერ კიდევ არ იძეტებს.

— შენ გავიწედება ოქროს ინდუქტი და აზის; დიდი უბინა ერთ, უთხრა კალიასმა. — შენ გავიწედება ისიც, ორმ სახელმწიფო, შემდგარი სამოც-და-ათის ერისაგან, ორმელნიც სხვა-და-სხვა ენაზედ ჭაპარაკობენ და სხვა-და-სხვა სასათისანია არიან, თვით გაუხდება თავის თავს შინაური ღმის მიზეზად;

ასეთი სახელმწიფო სსკა სახელმწიფოსთან დამს უნდა ქრისტიანული ბოდეს, ომ, როდესაც მომეტებული ჯარი გარეთ იმყოფება, მასთან დაკავშირებულმა უცხო ერმა არ ისარგებლოს და თავის-თვის არ გავიდეს, ამა ჭერითხე მიღეთელებს: მშვიდობიანად იქნებოდნენ, თუ ომ მათს მპერობელს რომელსამე ომში ბრძოლა წაეგო?

მიღეთელმა კაჭარმა ტეოპომპეა სწრაფად შეაწევეტიანა კალისს საუბარი:

— თუ ომ სპარსელები რომელსამე ომში ბრძოლას წააგებენ, მაშინ მათ ბევრი სსკა ბრძოლაც თავზედ დაატყედებოდათ და ჩემი სამშობლო არა უკანასკნელად აღსდგებოდა თავის დამმონავებელის წინააღმდეგ.

— რა დანიშნულებაც უნდა ჭირდეთ ამ დესპანებს, განაკრძო კალისმა: — მე მაინც ჩემსას ვიტუვი, ომ ბევრი, ბევრი კამი დღის უკან დგინდა აქ იქნებან.

— და აღსრულდება შენი რაოცეულის წინასწარმეტებულება, არისტომას! უთხრა რღვდოშისმა: — მთიდამ მომავალი მტერი სპარსელების მეტი ვინ იქნება. როდესაც დგინდა ნილოსის გაღაშებს მოადგებან, შენი ჭვეულის ცუთს მსაჯულს ფიქრი გამოეცელებათ და შენ, ალიმპიდს ლრის გამარჯვებულის მამას, სამშობლოში უკანე დაგაბრუნებენ. კვალად აავსე, კნაკიას, ფილები! ეს უკანასკნელი ფიალა ლიზანდრის ანრდილის სადღე-გრძელო დავლილთ და შემდეგ მე თქვენ უკედას ხვალამდის გამოგემშვიდობებით. მასპინძელი, რომელსაც თავის სურულები უკვარს, კალდებულია მოსპოს მეფლისი, როდესაც მსიარულებს უკიდურეს წერტილამდეს ადრს. სასამოენო მოგრძებანი ამ მეფლისის თქვენ უკედას კვალად მოგრძებანთ ამ სასდომო,

უსამოვნობა, რამ რომ მჭხდეს კი უკელანი უგულოთ მოხვალო.

მასპინძელს უკელა სტუმრები დაქოთნებენ და ივივა მას შიმაგორის მოწაფე დარქევა და ფანაც მეჯლისის მხიარულობას აქვთდა.

უკელანი შინ წასასკლელად მოეზადნენ. სიბარიელიც, რომელიც თავის მდგომარეობის დამალვას ცდილობდა, რადგანაც ბევრი დალია, წამოდგა ზეზედ მოსამსახურეთა დახმარებით და მასპინძლისაგან წესის დარღვევის შესახებ რადასაც ღუღლუღებდა.

როდესაც, გამომშვიდობების დროს, როდობისმა ხელი ჩამოართვა, მან ლეინისაგან გაბრუებულმა უთხრა:

— გევიცები ღრეულებს, როდობის, რომ შენ ისე გვისტუმრებ სახლიდამ, როგორც დაუდეგარ მოვალეებს. მე ჩემული არა კარ მეჯლისს თავი დაკანებო იქმდის, სინამ ფეხზედ დგომა შემიძლიან და განსაკუთრებით უფრო ჩემული არა კარ იმას, რომ კარები მიჩენონ, როგორც საძაგლს ვისმე!

— გადონე რას გეუსნები, შე თავ-დაუჭირებო მოქაიფევ, უთხრა როდობისმა ღიმილით; მაგრამ თავის სიმთვრალით გაჯავრებულმა ჭილოინმა საშინლად გაიხარხა როდობისის სიტყვებზედ, ტორტმანით. წაგიდა კარებისკენ და უთხრა როდობისს:

— შენ მე თავ-დაუჭირებო მოქაიფეს მეძან? მაში მე შე უსირცხვილო მონას დაგძახებ, შენ დღევანდლამდის კიდევ ბეტუობა რაცა უთვილესად უწმაწვილობისას. მშვიდობით იად-მონს მონავ, განთავისუფლებულო ასაქესისაგან!»

ପ୍ର୍ଯ୍ୟାଣ ଲାକିନ୍ଦାଗ ଏଇ ଗ୍ୟାତାଗ୍ରେହିନ୍ଦା, କର୍ମ ମାତ୍ର ସତ୍ୟକର୍ତ୍ତାନ୍ତର୍ଯ୍ୟାଣ
ନେତ୍ରଦୟଗ୍ରେହିନ୍ଦା ମିଳାଇଲା, କ୍ରତର ମୃଶ୍ରମରେ ଧାରିରୁଥିଲାମିତ କ୍ଷାୟିତ୍ରୀଯ ଓ
ଦୀପଶିଖିଲାକାଳିତ ଅୟଜନ୍ମନ୍ଦିର ନେତ୍ରଦୟଗ୍ରେହିନ୍ଦା ଓ ନେତ୍ରଦୟଗ୍ରେହିନ୍ଦା; କିମ୍ବା କିମ୍ବା ମନ୍ଦିର ପରେ
ମାଲିକ ପାଇଁ ପାଇଁ

(ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତ ପରିଚାରିକା)

«მართლის-ცხოვრების» პირველ-გარდეოცხათა
შუაროები და მათი ხასიათი.

არა გვიგონია, რომ რომელსამე ეს დედა-მიწის ზურბ-
ზედ შეეძლოს თავისი პირველ-გარდმოცემა. სრულ ისტო-
რიულ ჭეშმარიტებად აფიაროს. ამ გვარით გარდმოცემანი
არიან საზოგადოდ მხოლოდ მიტები. ანუ ლეგენდები, რომელ-
ნიც შეადგინენ განსაკუთრებულის ხანას ისტორიის დასაწყისისას.
მათი ხელვილ დიდად მიემსგარება უწინდელ გეოგრაფიულ სა-
ხელ-წოდებათა ხელორის. როგორც პირველნი, ისე მეორენი ეთები;
სებიან ერთი ქვეუნისაგან მეორეს, ერთის ერთისაგან მეორეს
მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ გეოგრაფიული სახელ-წოდებანი
შედარებით უფრო ნაკლებ იცვლებიან, სხვაფერდებიან და ამიტომ
მათი ისტორიაც ადვილი განსახილებულია და გამოსაგვლევია, კიდრე
ისტორიულ წინა დროთა გადმოცემანი. სადაც უნდა იყოს
და როგორიც უნდა იყოს ამ უკანასკნელთ დასაწყისი: იბადე-
ბიანი. იგინი თვით ერში, თუ შემოდიან გარედამ, მაინც და
მაინც ჩვენ არ შეგვთერის მათდამი. უურადღებობა, რადგან,
როგორც ცნობილია, ხშირად აღბეჭდება იგინი ერში დანერგვის
რომელსამე მოზრებას, უჩვენებენ ერის შეხედულობას ქვეუნიერო-
ბაზე, სტოკებენ კვალს მის ცხოვრებაში და საფუძვლად ხდე-
ბიან შემდეგ მწერლობის ნაწარმოებში. ამასთან, რასაკვირვე-
ლია, იმასაც გერ უარ-კუოფო, რომ რაიმე კავშირი არ უოფი-
ლიყო იმ ლეგენდებთა და იმ მოვლენათ შორის, რომელთაც

უდესმე ჭიშნიათ ადგილი ერთს ცხოვრებაში. ამ შემთხვევაში იგინი შეადგენენ იმ ხმას, რომელიც ერუდ გამოისმის ისტორიას უწინარეს დროის მოვლენათა და შემთხვევათაგან. რაც უნდა ფანტასტიკურ ჭორმებში იუგნენ იგინი ჩამოსხმულია, რაც უნდა დაუკურებელი იურა მათი თვით შინააღმართ, მაინც შედარებითს მეთოდს შესწავლისას შეუძლიან ამ გადმოცემათა შორის აღმოაჩინოს ჭეშმარიტება, შევნიშნოს იმათი ისტორიული წინააღმდეგობა და გაარკვიოს, სად არის მათი პირველი სამშობლო და საიდამ და როგორ მომდინარეობენ იგინი.

ამ შენიშვნაში ჩვენ საგნადა გვაჭის ქართული მატიანე ანუ ესრედ-წოდებულ ჭართლის-ცხოვრებისა (რომლის ტაქტი და ჭრანციცული თარგმანი იყო დაბეჭდილი 1849—1857 წწ. სამეცნიერო აკადემიის მიერ) ჰირველი გარდამოცემა. რადგანაც აქამიმდე საზოგადოდ კავკასიის ისტორია გამოუგვილეულია, თქმა არ უნდა, რომ ჩვენ არ შეგვიძლიან საგმაოდ გავარკვიოთ ეკელა ის საგნები, რომელიც მოითხვენ განმარტებას ჩვენს საუბარში. ამის გამო ჩვენ აღვნიშნავთ მხოლოდ თვით ჰირველ გარდამოცემას «ჭართლის-ცხოვრებისას» და ზოგიერთი მასაზების შემწეობით კეცდებით აუხსნათ როგორც ისტორია მატია დამადებისა, აგრეთვე ზოგიერთი სურათები ქართველთა ცხოვრებიდამ, რომელთაც ჭიშნიათ მათიან ფაზე დაძლივი ბულება. რაიც შეეხება იმ კარგმარებას — შეაცან იგინი თუ არა ისტორიულ ჭეშმარიტებას, ეს მიგვინდგია მომდვალ არსეოლოგიურ ძებითა და გამოყენებათათვის.

«ჭართლის ცხოვრების» დედა-აზრი კავკასიის ტომით დასაბამზე შემდეგია. იმის სიტუაცია, სომეხნი და ქართველი, რანწი და მოვაჭინი, ჭრეთნი და ლეგნი, მგრელი და

კავკასიულნი წარმოსდგნენ ერთის მამათ. მთავრისაგან, თარშის შეიძლის თარგამოსისაგან, ოომელიც შეადგენდა შეოთხე შთამო მავლობას ასუეტისას და მეტეთეს — ნოესას. თარგამოსის შვალებში სხვებზედ მეტი სახელი მოიპოვეს ჭარასმა ანუ ჭაა კმა, სომხების წინაპარმა, ჭართლასმა, ბარდოსმა, მოვაგანმა, ლეკოსმა, ჭერასმა, კავკაზოსმა და ეგროსმა. ამათი პირველი სამშობლო იყო ბაბილონი. ბაბილონის გოდოლის მაშენებელნი რომ გაიფანტნენ დედა-მიწის ზურგზედ, თარგამოსი თავისის შეიღების დასახლდა არარატსა და მასისა შეა ეს ბდებიდ მათ მალე კვიტროვათ. გამგზავრდნენ ჩრდილოეთისკენ და დასახლდენ იმზდებიდჲი, ოომელთა საზღვრებს შეაღებნდენ: აღმოსავლეთით გურგენის ანუ კასპიის ზღვა, სამხრეთით — მთები, რომელიც მიდიას პირის-პირ მდებარებენ და სადაც სკეხოვრობენ ჭერთნი, ჩრდილოერ-კავკასიის მთა-გრეხილი, ოომელსაც სპარსელნი ელბრუსს (ჩენებურად იალბუზს) უწოდდნენ. თარგამოსის შვალები რომ გაიფანტნენ, უფროსმა — ჭალასმა და მდინარა საუკეთესო ნაწილი მამის სამფლობელოისა, ეს იგი კეუჯანა არარატსა და მასისა შეა. კავკაზოსისა და ჭვერისის შთამომავლნი დაბინავდენ კავკასის ზემო ღვალებში და მათვისის სახელ-წოდება ძურმუკეთი და ხომანგეთი. კავკასიის ჩრდილო ნაპირები დაღა ხანს დაუსახლებელნი იყენენ. ასებზე და ჩერქეზებზე, აგრეთვა აფხაზებზე კუკ არაგორიარი ცნობანი არ არსებობენ. სხვათა თარგამოსებრა «შორის ეგროსისა და ჭართლასის შთამომავლთ დაიჭირეს მიწები შავი ზღვიდამ ვიდრე მტკერის და არაქსის კიდეებამდე. იმათ გააშენეს ჭალაჭები და ცხებები. უმრავლესი შარა-გზები საჭართველოსა, და კავკასი შორის ბუნები დარუბანდისა ანუ კასპიის ზღვისა და არაგისა ანუ დარიალისა. საჭართველო იურულდა თემებად — ჭახეთი, ჭეროი, ჭავახეთი

და ქართლი, ომეულიც არაგვიდამ და არმაზიდამ მოუთლებით
ვიდრე ტაშირის-გარამდე ანუ ბორჯომის კარამდე იწოდებოდა.
«ზედა-სოფლად», მტკკრის სათავე და ჭოროხის ხეობა—სამ-
ცხე-გლარჯვთად. თარგამოსელნი იუკნენ ასოვანნი და ცოცხლობდენ
დიდ სანს. თვით თარგამოსმა იღოცხდა 600 წ. უფროსს ქართ-
ლოსიათაგანს სატასტო ქალაქებ ჭერნდა ამორჩეული მცხეთა
და იწოდებოდა მამა-სასლისად, იგივე იურ მთელი ქვეუნის გამ-
ბი და მსედართ-მთავარი ჯარებისა. ქართულნი სცხოვრებ-
დნენ მიწურებში, გამოქვაბულ კლდებში და ციხე-სიმაგრეებში.
მთელი ტომი განსხვავდებოდა ცელურის ცელურებით, მე-III-ში
საუკუნეში ქრ. ღამადების წინ ალექსანდრე მაკედონელმა ქვერა
მმ მდგრამარეობაში; სახელდობრი: მას არა სწამდა ნათესაობა,
სჭამდა არა თუ უწმინდეულ ცელურობა, არამედ თვით მკვდარ
ადამიანთაც; თაუკანს-სცემდა მზეს, მთვარეს, კარს-გლავებს,
ცელურო და უსულო საგნებსა. თარგამოსის შთამომავალნი,
ე. ი. ქაიკანელნი, ქართლოსასანნი და კავკასელნი დიდ ხანს იცავ-
დნენ ურთი-ერთ შორის მეტარობას და ეწეოდნენ შერთმანეთს
მტრებთან ომში. ამათ საერთო მტრებათ ითვლებოდენ, რო-
გორც საზარნი, ომეულნიც ჩრდილოეთი კავკასიისა სცხოვ-
რებდენ, აგრეთვე სტარსელნი. პირველად იგინი ქმორჩილებოდნენ
სეპროთს, ომეულიც დაბადების გარდმოცემით, იურ ქიმის შთა-
მომავალი, ქალდეგელთა გადმოცემით ბელი ანუ ბელუსი, დამა-
არსებდედ ასიარის სამეფოსი, «ქართლის-ცელურების» აზრით
— მამათ-მთავარი სპასელებისა და პირველი მეფე მთელის ქვე-
უნისა. თარგამოსელნი ემპერიებარებოდნენ ნებროთს, ვიდრე
მცირე რიცხვს შეადგენდნენ; რავი გამრავლდნენ იწუეს ბრძოლა
და განთავისუფლდენ მათის მონაბიძეებს. ბრძოლა მათიც მაღე
ორ დასრულდა. პირველი განზრასკა იურ არა მხოლოდ პოლი-

ტიკური მათი დამორჩილება, არამედ გავრცელება ქართველთა შორის მათის სამოქალაქო წეს-დებისა და ცეცხლის თავგანის-მცემლობისა. ¹⁾

«ქართლის-ცხოვრება» ცნობილია მატიანედ კახტანგ მე-
VI-სა, ომელიც სცხოვრობდა მე-XVII საუკუნის დამლევს
და მე-XVIII-ს დამდეგს. მრავალი ყოვლად უსაფუძვლოდ
აღიარებენ მას «ქართლის-ცხოვრების» შემადგენელად. კახტან-
გა, ოდგორც თვით წინა-სიციუბაობიდამა სჩას, მსოდნოდ შე-
მოკრიბა საქართველოს ქონიგები და მსწავლულთ გაცთა დახ-
მარებით შეასწორა შემცდარი და დამასინჯებული ადგილები სი-
მკლესით გუჭრების და სიგელების გადასინჯვით. ²⁾) «ქართ-
ლის ცხოვრების» სიძეების უტუგაცს დამტკიცებას თვით «ქარ.-
ცხოვ.»-ები წარმოადგენს. ასას კატეკიო იმ გარემოებაზე,
რომ კერძო ქონიგების შემადგენელი ხმილად ჰმაღავენ თვით-
ანთ სახელს. მაგრამ «ქარ.-ცხოვრება აქა-ძე თვითებ გვაჩენებს,
როდის, რა აიგად და ვინ სწერდა და ადგენდა მატიანეთა.
მაგ., იქა ვეითხელობთ, რომ წმ. ნინოს მიერ ქართვე-
ლებისაგან ქრისტიანობის მიღების ამბავი დაუწერდა მიზან

¹⁾ გამოსკლათა წიგნი X, 6—8; Histoire de la Géorgie, I, 15—24; Langlois, Collec. des hist. armén. I, 16.

²⁾ ახლა ეს აზრიც უსაფუძლოდ უნდა ჩაითვალის, რადგანაც, როგორც ძველი ქართლის ცხოვრების ვარიანტებთა შემოწმებამ ამ ცოტა ხანში ცხადად გვიჩვენა, რომ ვახტანგს არა ვითარი განხილვა
და შესწორება ქართლის-ცხოვრებისა არ უკისრნია. ამ საგანზე ნახე-
ჩემიერ გრცელი სტატია, «დროებაში» და «ივერიაში» დაბეჭდილი
შესახებ პროფესორის პატრიკოვის აზრითა ექართლის-ცხოვრებაზე. ³⁾

მეფის შეუდლებს და ურა ამთაოს. ²⁾ მე-VI საუკუნის მეორე ნასევანში, კითომც მღვდელს ზაქარიას შეუდგენია სირიულს ენაზე მეფის ბიოგრაფია კარაზ-ბაჟურის ძის მირვანთასისა, რომელიც შემდეგ პალესტინის ეპისკოპოსად იქმნა და იწოდებოდა პეტრედ. ეს ბიოგრაფია ეთარგმნა ქართულად მღვდელს მავარის. ³⁾ ცნობანი იმპერატორ იოაკლის მიერ აფხაზეთის დაპყრობაზე 628 წ. გადმოუდიათ საეკლესიო წიგნებიდან. ⁴⁾ მე-VII საუკუნეში აფხაზეთის ერთსოავის დეონის დროს «ქარ.-ცხოვრება» ისსენიებს გუჯარს ანუ სიგელს, რომელიც შეიცავდა როგორც უკელა სასულებს მეფებისას და დიდ-გვარებისას, აგრეთვე საქართველოს ჯგუფად დასახლებულს ადგილებისას. ⁵⁾ იმავე საუკუნეში მროველი ეპისკოპოსი ლეონტი სწერს მეფის არჩილის ცხოვრებას და წვალებას არაბულის-მიერ, აგრეთვე სხვა მეფების ცხოვრებას; «ახლა კი, უმატებს «ქართ.-ცხოვრება», სწერს დეკანოზი იოანეო. ⁶⁾ არჩილის ცხოვრების აღწერის ბოლოში ამბობს იგივე: «წიგნი ეს ქართველთა ცხოვრებაზე კახტანგ მეფემდე იწერებოდა ნაწევეტ-ნაწევეტად, კახტანგიდამ ბოლომდის აღწერა წმ. არჩილის სიძემ ჯვანშემ ჯვანშერიანმა. ჩვენს შემდეგ კიდევ განაკრძონ სხვათა, როგორც ღმერთმა ამცნოს». ⁷⁾

²⁾ Hist. de la Géorg., I, 90, 105—132.

³⁾ Ib., 138 n. 1.

⁴⁾ Ib., 229 n. 1.

⁵⁾ Hist. de la Géorg., I, 243—«ქართ.-ცხოვრება» 1, 178.

⁶⁾ Ib., 253 n. 1.

⁷⁾ «ქართ.-ცხოვრება», 184. ეს ადგილი Chronique

რა გვარად აუგასებდენ ძველადგანგვე საკრო ქრონიკებს საქართველოში, სხიანი; მე-XIII საუკუნის სომეხთ ისტორიკოსის სტეფანოს არცგვლიანის სიტყვებიდამ: ის ამზღვის, რომ საქართველოში იყო ისტორიული არხივები; ამ არხის კებს ის სან სამეფო არხივებად ისსენიებს, ხან სასამართლო არხივებად და ხან დავთრებად უწოდს ⁸⁾). ის გვარწმუნებს, რომ სიზუღადო ქართული ქრონიკები იწოდებოდნენ «ქარ. ცხოვრებად», თუმცა ეს სახელი სტეფანოსის წინადაც შეგვიძლება ⁹⁾). ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ «ქართ.-ცხოვრება», რომელზედაც საუბრობს სტეფანოსი, ის «ქართ.-ცხოვრებაა», რომელმაც მოაღწია ჩვენამდე. ჩვენი აზრი ამ შემთხვევაში დამუარკებულია, სხვათა..შორის, შეძენ ტაქტიზედ. ესრედ წოდებული სომხური ქრონიკა ანუ უფრო სწორედ რომ კათევათ, ქართული ქრონიკა, სომხურად თარგმნილი, რომლის ხელ-ნაწერიც მე-XII საუკუნეს ეკუთნის;

arménienе-ში ამ სიტყვებით ჩრის მოყვანილი: «ეს მოვლე ისტორია ვიპოვეთ უამსა აღრეულობისასა და ჩავურთვეთ ჩვენს წიგნში, რომელსაც «ქართლის-ცხოვრება» ეწოდება. ჯვანშერმა ჭროვა იგი აღწერილი ვახტანგ მეფემდე, ხოლო ამან განაგრძო უკანასკნელ დრომდე. რაიცა შექება შემდგომის დროის ისტორიას ამას, მისის სიტყვით, შემდეგნი განაგრძობენო».

Addit. à l' Hist. de la Géorg. 1851, p. 50—51.

⁸⁾ St. Orbel., Hist. de la Siounie., Spb., 1864, I, 221—238.

⁹⁾ Ib. 212; S-Mart., Mém. sur l' Arm. II, 65; Addit. à l' Hist. de la Géor., 1851, p. 51; Brosset, Voyage archéol., 3 Rapp., 63.

წაზოვნდა აკადემიუროსის ბროსესაგან 1848 წ. ეჩმიაძინის მონისტოს ბიბლიოთეკაში და ჩართული მოდედ მას მიერ ფრანციცულ თხზულებაში Addition 5 a' l' Histoire de la Géorgie 1851 p. 1—62; და Voyage archéol., Rapp.I, p. 62—93 რომელი ასლო შედარებით ჩვენ ცქართ. ცხოვრებასთან ცხადათ ცვისტენებს რომ იყო თათქმის სიტუა სიტუა მხოლოდ შემოვლებით იმეორებს უკანასკნელსა, მას დასწევისიდამ, დავით ალმაშესტელამდე.

«ქართ.-ცხოვრებისა» პირველი წაწილი, რომელიც მოგვითხრობს თარგამოსების ცენტრალურიას და ჭრისტიანობის უწინარეს ამბებს, — ეჭვი ან არის, — დაწერილია ჭრისტიანობის ფროს. განიხილეთ, მაგალ. Hist. de la Geor.-ში, გვ. 24, 28, 53 და 54 ზნეობის შესუსტებაზე საქართველოში, ებრაელთ გამოსვლაზე ეგვიპტიდამ, მოგვთა მოსვლაზე იერუსალიმში, იესო ჭრისტეს ფაბადებაზე, ცხოვრებაზე და ჯუარ - ცმაზე და თქვენ დაწმუნდებით, რომ წარმართი ჭართველი კერ გადმოგცემდა ამ ამბებს ზემო სესქებულის კილოთი. «ქართ. ცხოვრებისა» პირველი წაწილი უნდა დაწერილიყო იმ დროს, როდესაც საბერძნების ლა ტირატურას განსაკუთრებული გავლენა ჰქონდა. რომ ცქართ. ცხოვრებისა პირველი აღმწერებინა ემორჩილებან ბერძენთ დატერატურას ზედ-გავლენას, ამას ცხადად ამტკიცებენ ბერძნული დაბოლოებანი სახელებისა: თარგამოს, ჭართლოს, მცხვარის, მირვანის და სხვ., დაბოლოებანი, რომელიც დროს განმავლობაში შეუთვისებდა ჭართველ დატერატურასაც და მდა ბიურს ენამაც; ჭურთისტანის მთა იწოდება რაცეთად ბერძნულის სიტუაცის oros-ის გამო. ალექსანდრე მაგმდონელის შემოსვლის ამბავში ბერძნების მხედარნი იწოდებან პროტატო.

სებად; ჩვეულებრივს სახელს «ქართ. ცხოვრებაში» ხისტოსის
აქს ბერძნული ტორმა კოსაროს; მეზე რევი ირთავს ცო-
ლად სეფელიას, ოთვოტეტოსის ქალს.¹⁰⁾ ჩვენ კვიდვობთ,
რომ საბერძნეთის გავლენა, რომელსაც მოვახსენებთ, მოჭ-
მედობდა ჩვენში სომხეთით. დამტკიცებულა, რომ სო-
მეხთ ლიატერატურა პირველად იყო სიარისა და საბერძნეთის,
ლიატერატურის გავლენას ქვეშ, რომ პირველი სომხური ქრო-
ნიკები მე-Ա და V საუკუნეებში შედგენილი არიან სილიულსა და
ბერძნულს ენებზედ მარ.-აბას-კატინსაგან, ლერუბნასაგან, ბარდა-
სანისაგან და აგათანგისაგან ¹¹⁾). მე-V საუკ., ოთვორც კიცით,
ნმ. მესრობმა შემოიღო ეროვნული სომხური ანბანი, რომელიც
შემდეგ შეიქმნა. სომეხთ სამწიგნობრო ენის განვითარების საფუ-
ძლად. ამავე დროს მესრობმა მოწაფენი სთარგმნიან სამღორ,
წერილს სომხურს ენაზედ განსაკუთრებით ბერძნულის ენიდამ ¹²⁾—
იმის მოწაფეთა შორის სახელ-განითქვა მოსე ქორენელი «
აკტორი სომხეთის ისტორიასა», რომელიც ამ შრომის
შესადგენად ხშირად ხელმძღვანელობდა ბერძნულის წყაროებით.
მოსე ქორენელის დროს საზოგადოდ ქრისტიანეთა მატიანენა
უკედა ტომ-ნათესავთ შთამომავლობის ისტორიას მოგვითხრობენ.
ბიბლიის გარდამოცემის თანახმად. იგივე ბიბლიის გარდამოცემა

¹⁰⁾ Hist. de la Géor., I partie, 2 livr.; Introduction, p. XXXIII; St.Martin, Mém. sur l' Arm., II, 182, n. a.

¹¹⁾ Langlois, Etudes sur les sources de l' Hist. d' Arménie de Moise de Khorene въ Mél. Asiat., IV, livr. 3, p. 295.

¹²⁾ Ib.

შეიქნა საიუდვლად სომებთა და ქართველთ გენეოლოგიისა¹³⁾. ამ გვარად მარაბ-ბასის თხზულებაში ჩვენ გვითხულობთ: «არ-მენაკის მამა ჰაიკი იყო შთამომაკალი თარგამოსის და იაფე-ტისა. ¹⁴⁾ მოსე ქორენელის სიტყვით, «იაფეტმა შეა წომე-რი, წომერმა თირასი, თირასმა თორგომი, თორგომმა ჰა-ივი და ჰაიკმა არმენაკია. ¹⁵⁾ «ქართლის ცისურულაც» თავის მხრით ამბობს: «თარგამოსი, მამა სომებთა და ქართველთა, ჰანთა და მოვაკანთა, ჰერეთთა და ლეპთა, ტეგრელთა და კავკაზთა, იყო შვილი თარშისა, ძისა აკანანისა, ძისა ნოესი.» აქედამ ცხადად სხანს, რომ სომებნი და ქართველნი თავიანთ შთამომაკლობას აწარმოებენ ნოესაგან — პირველი თირასის და უკანასკნელი თარშის შემწეობით, რომელიც არის ივივი თი-რასი და რომელსაც, უნდა ვათქვათ, ბიბლიურს გარდამოცუმაში ვერ ვპოვებთ. ამასთანავე სომებთ თორგომა და ქართველთ თარ-გამოსი — ერთი და იგივე სახელ-წოდებაა, მაშინ როდესაც სსგა ტომნი სმართებენ სახელ-წოდებას: თოვორმა. უნდა ვი- ფიქროთ, რომ თირასი შეთხულია სომხების მწერლებისაგან და შეთვისებული აქართ. ცხოვრების» აღმწერისაგან, — რომელსაც თავის მხრივ ჩაურთავს ქართველნი თორგომას ჩამომავალთ სია-შა. ამავე სიკანზე უნდა შევნიშნოთ, რომ არც მოსე ქორენე-ლი, არც ბისი მოწინავე და შემდეგნი სომებთ მწერალნი არას.

¹³⁾ Renan, Hist. des langues semit., V, 27; Langlois, Collect., I, 16; Mél. As., IV, 3 livr., r. 310—311.

¹⁴⁾ Langlois, Collect., I, 16—17.

¹⁵⁾ Ib., II, 58.

¹⁶⁾ Langlois, Collect., I, 16; II, 58, 196.

ამბობენ ქართველების და სომხების ერთ-ტომობაზე.¹⁶⁾ ამ სა-
განს კუმუშობენ სომხების მწერალთაგანნი მხოლოდ მოსე კა-
ლანგატვაცი მე-X საუკ., მღვდელი მახიტარ ანელი და მე-XII
საუკ., სტეფანოს თომბელიანი, მახიტარ ათრივანელი და
კარდან დიდი მე-XIII საუკ.. მაგრამ ისინიც ამ აზრს,
როგორც თვითონვე აუგუმნებენ, ამერებენ ქართულ მატიანე-
ზე.¹⁷⁾ ამას ისინიც რომ არ ამბობდენ, ეს ცხადია, რადგან
მათ სიტუაციისტუკოთ აჭირთ ეს ამბავი «ქართ. ცხოვრუსიდამ»
ამოწერილი. ¹⁸⁾ ტომთა ერთ-შთამომავლობის ერთი უკუკველის
საბუთთაგანს წარმოგვიდგენს დაინგვისტიგა. ლინგვისტურად
უკეთ გამოკვლეულია სომხური ენა და დამტკიცებულია, რომ
უც კუთნის არიელ ენათა ნათესაობას; რაიცა შექება ქართულ
ქნას თავის მონათესავე ჭანურ-მეგრულისა და სვანურის ენებითურთ,
რომელიც ერთად ქართულ ენათა მოდგმას შეადგენს, წინად
არიელ ენათა ჭანურს აკუთნებდენ. ამ აზრზე იუგნენ დამყარებულია
ბობჩი სანიკორიტულისა და ბრიასე სომხურის ენის გამოკვლე-
ული. ეს აზრი ესდა უარ-უთვილია და თუმცა ეს საგანი მეც-
ნიერულად დასკუნილი არ არც, მაგრამ მაინც მსწავლულთა
შემძალესობა უფრო იმ აზრისა, რომ ქართულის ენის მოდგმას

¹⁷⁾ Hist. de la Géor., I, 16 n. 1.

¹⁸⁾ შეადგი შირკელს და შემდეგ კაბადონებს «ქართ.-
ცხოვრ.» ა) მხატარ ათრივანელი Mém. de l' Acad., VIII,
№ 5, p. 14—15; ბ) სტეფანოს თომბელიანი Hist. de la
Siounie, I, 209—210 და St-Mart., Mém. sur l' Arm.
II, 57, და გ) კარდან დიდის საზოგადო ისტ. გამოც. ემ-
ნისა გვ. 18. 115—116.

სძენს ხასიათი თურანის ენათა ნათესაობისა.¹⁹⁾ უნდა გი კოჭვათ, რომ ამ აზრის ეხლა უფრო ადგანან არხეოდოგები, კიდრე ლინ-გვისტები; შირველი ქართულისა და თურანულ ენათა ნათესაობის აღვუმნებენ იმ გარემოებაზედ, რომ ქართველების წინაპარნი გამო-სულას სცენაზე თურანელებთან ერთად. ხოლო თურანელი გა-მოვიდნენ შეა აზიადამ არიელებზედ ადრე და დასახლდენ მცირე აზიაში ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც არიელი და მათ რაცხვ-ში თვით სომებისა ფერ კითომდე არა სჩანდენ.²⁰⁾

კიმეორებო, შეიძლებელია არ შევნიშნოთ, რომ ექართ. ცხოვრებისა შირველ ნაწილი ეტეობა ცხადი ზედ-გავლენა სომხურის მწერლობისა, იმ დროს, როდესაც ბერძნული ლი-ტერატურა ჰატიგ-ცემაში იყო. ამის დასამტკიცებლად საჭიროა შეადაროს კაცმა ექართლის ცხოვრებისა ნაამბი ჭადგნების დასახლებაზე მასისის სიახლოეს, და თარგამოსის ბრძო-ლისა ხეპროთიანთ წინააღმდეგ, მარ-აბას მოთხრობას ამა-კე საგნებზედ და ამ შემთხვევაში ჩვენ დავოწმუნდებით, რომ ექართ. ცხოვრ. ა თავისი ამბავი პირ-და-პირ მარ-აბას თხზუ-ლებიდამ გადმოუდია და თავისებურად შეუცვლია. საქართველოს პოლიტიკური განწყობის ამბავი და საერისთავოების დაწესება მე-II საუკ. ჭრისტეს დაბადებამდე შირველი მეფის ფარნაკა-

¹⁹⁾ Ал. Цагарели, σ γραμμ. литер. груз. языка, Спб., 1875, стр. 62—73.

²⁰⁾ Maspero, Hist. anc. de l' Orient., 236—238, 398; Jules Soury, Revue des Deux Mondes, 1873, 15 oct., p. 909—910.

²¹⁾ Hist. de la Géor., I, 16—19; Langlois, Collect., I, 18.

ზის დროს, უკეთელად მოგაფრინებთ თქვენ მარაბას ამბავს
ამ გვარსავე წესებზე, ას სამოცდა ათას წლის წინედ ქრ. დაბ.
არშავიდების დანასტიის პირველის სომხების მეფის ვაკარშა-
ვისმიერ. ²²⁾ შემდეგ «ქართლის ცხოვრება» შეახება, უძ-
თავრესის ღვთას არმაზის ტაძარს; რომელიც იუო აშე-
ნებული ქართლოსის საფლავზედ მცხეთაში; სოლო მოსე.
ქორენელით სომხების არმაზდის ტაძარი იუო ქ. კამახში ანუ
ანში, რომელიც არშავიდების გვარის სომხეთის მეფეს ჭრი-
დათ სასაფლაოთ. ²³⁾ დასასრულ, «ქართლის ცხოვრების» ამ-
ბავი წმ. რიცხვიმეს ქემნაზე და მეფის ტირდატის ეშვად ჭრე-
ვაზე, უკეთელად, ამოწერილია მე-IV საუკ. ისტორიულის
შრომიდგან, რომელიც კუთვნის სომხების მწერალს აგათანგს.
და რომელმაც თავის მხრით, როგორც სამართლიანად ფიქ-
რობს ლანგლუა, მხოლოდ გადმოაკეთა ლაქტანცის ცნობილ
ლეგენდა იმპერატორის დოკუმენტის ქალზედ ვალერიაზე და
მის ცოდზე პრისკზე. ²⁴⁾.

მიუკრუნდეთ ისევ «ქართლის-ცხოვრების» მოახრობას
საქართველოსა და სპარსეთის ურთიერთობის შესახებ..

... «მიერდეგან განძლიერდენ სპარსინ, მზისა აღმოსავ-
ლეთიდგან, ნათესავნი ნებროთისნი და გამოუჩნდა ნათესავთა

²²⁾ Hist. de la Géor., I, 40—42; Langlois, Collect., I, 46, II, 26.

²³⁾ Hist. de la G., I, 21, 22, 42; Langlois, Collect., I, 167; II, 106; Асогика, Всеопщ. Ист., изд. Эмина, стр. 262.

²⁴⁾ Hist. de la G., I, 95—97, 102; Langlois, I, 137 п. 1, 139—140, 150.

შორის ნებროთისთა კაცი ერთი, გმირი აფრიდონ, ოომელი
მან შეკრაო ჭაჭყითა ბეკრას მე გვეღოთა უვალი და დაბა
მთასა ზედ, ოომელ არს კაცო შეუვალი. ესე ვითარი წე-
რიდ არს ცხოვრებათა სპარსოთასა: აფრიდონ ეუფლა უოველ-
სა ქვეყანასა სპარსოთა, ხოლო ოომელთამე ქვეყანათა შეკრავნ-
ნა ერისთავნი, ხელადნი მისნი და რომელნიმე ქვეყანა მოსარები
ეყო: ამან წარმოგზავნა ერისთავი თვისი, სპარსა დიდითა, ოო-
მელსა ერჯვა არდამ, შეიღო ნებროთის ჩათესავთა. მოვადა
ქართლად და შემუსო უოველნი ქალაქი და ციხესი ქართლი-
სანი. და მოსრინა უოველნი, ოარდენი ხაზარნი ჰშოვს ქართლსა
შინა. ამან არდამ ერისთავმან აღაშენა ქალაქი ზღვის-გარს და
უწოდა სახელი დარუბანდი ლახეშა კარნი». და მანვე მოზღვუ-
და მცხეთა—ქალაქი ქვით-კირითა. და აქამდი არ იყო ქართლს
შინა საქმე ქვით-კირისა, ამას გამო დაიწავლეს ქვით-კირი. ამან-
ვე არდამ მოჰყიდა კირით ზღვუდე ციხესა არმაზისასა და აქეთ
შტეკრამდის და წარმოზღვდე ცხვირი არმაზისი, კიდრე
მტკერამდე: და ერისთავობდა ევდონ მრავალთა წელთა. ხო-
ლო დღეს განუერ აფრიდონ უოველი ქვეყანა სამთა ძეთა მისა-
თა, მაშინ ოომელსაცა ძესა მისცა სახელად სასახელი, მისცა
ხედა წილად ქართლი, ოომელსა სახელად ერჯვა ირედ. ხოლო
შემდგომად არდამ ერისთავისა, გარდაიცვალნეს ერისთავნი,
მიერიდგნ უცალო იქმნეს ძენი აფრიდონისნი, ომეთაუ იწყეს
ბოძოლა ურთიერთას და მოვლეს ლოთა მმათა ირედ მმა-
მთა. მაშინ ჰშოვს უამი ქართლოსანთა. *

ეს ადგილი ცხართლის-ცხოვრებისა ისე, ოოგორათაც
სხვა დგილები, ამტკიცებს, ოომ ძეებს სპარსეთს დიდ ხანს
ჟენია გავლენა საქართველოზედ. ეს გავლენა, უპტელია თა-
ბის გადას დაჩნევდა ქართველების ცხოვრებასაც ზა ზნე-

ჩემის უმთავრეს საფუძვლად როგორც «ქართ.-ცხოვ.»-შიაც არის ნაოქვამი, შეიქმნა ას-ტორია სპარსეთისა, რომელშიაც, «ქართლის-ცხოვრების» თქმით, «ძევრი ტუფილია და ცოტა მართალი». როგორც «ქარ. ცხოვ.», ისე ცნობილი თხზულება მე-XI საუკ. შაჟ-ნამე ერთ გვარად მოვალეობების სპარსეთის ძველ გარდამოცუმათა, ამა-სათვის «ქართ.-ცხოვ.» აკტორის, თუ რომ მის ამბავი შეძლება არ არის ჩართული, უნდა ესელმდევანა იმავე წყაროებით, როგ-ლებიც სეღ-ქვეშა ჭერია ფერდუსის თავის შაჟ-ნამეს დაწერის დროს. სპარსეთის უძველესნი გარდამოცუმანი არან შეკრებილნია შაჟ-ნამეს გარდა, სპარსეთ თხზულებაში, რომელიც დაწერილე-ბით არის გარჩეული მაღალდისაგან «სპარსეთის ისტორია-ში» და რომელსაც უწოდებენ «დაბისტანად». დაბისტანის შე-მაღალდების სახელმძღვანელოდ ჭერია ფერდუსის ძველი მანუ-სკოპეტი და ქეპარ-გარდამოცუმანი, რომელიც გარდაუციათ მის-თვის მოგსინ ფანისათვის ზოროასტრის უწინარესის საწმუ-ნოების სამდუმლოდ მაღვარებულოთ. დაბისტანი სპარსეთის ის-ტორიას აკაგშირებს ინდოეთის ისტორიასთან. ²⁵⁾

როგორც ინდოეთში, ისე სპარსეთში უუძველეს უმთავრესა რელიგიურ კულტიდ იგი აზიანებს შლანეტთა თავვანის-ცემას. ²⁶⁾ ზოროასტრის მიერ დაარსებულია რელიგია იუო მოგვთა სარ-

²⁵⁾ Malcolm, Hist. de la Perse. 1825, I, 267 et suiv.; Langlois, Voyage de Chardin en Perse, 1811, IV, 256; X, 152 et suiv.

²⁶⁾ Malcolm, H. de la P., I, 272, 275 — 276.

წმუნოება ანუ ცეცხლთ-თაუგანის-ცემა. ²⁷⁾ ამ სარწმუნოებას ზორაოსტრი ბირკელად აფეშნებდა იმ ქვეყანაში, რომელსაც შეძლებ დარწევა ადრაბადაგანი სიტყვისაგან azerbaijan, ეს სიტყვა ფეხური ენაზედ ნიშნავს ცეცხლს. იქნე აშენდა სასელოფანი ტაბარი ცეცხლთ-მსახურთათვის, სახელ-წოდებით ადერ-გოშასპ. იქიდამკე გაავრცელა მან ცეცხლ-მსახურება მთელ სპარსეთშიაც. ²⁸⁾ იქიდამკე ცდილობდნენ შემოეტანათ შემდგომში იგი სომხეთში და საქართველოში. დიდის ხნით წინ ჭრ. შობ. ფეხმდადანის გვარის სპარსეთის მეფემ ჯემშიდმა გაჟურ მთელი თვისი სამეფოს ხალხი ითხ წოდებად: ბირკელას შეადგენდნენ მართლი მორწმუნები და საზოგადოთ ისინი, რომელნიც მოვალენი იყვნენ გაუკრცელებინათ ეს მოძღვება სალეში; მეორეს მწერლები, რომლებიც აწარმოებდნენ საშეფო დავთოებს (акты); ესამეს—მხედარი, მეორეს კავარნი და ჭუმავნი. ²⁹⁾ ეს წესი ჯემშიდმა ინდოეთიდამ თურმე შემოიღო ³⁰⁾. გმირი აფაიდონი, რომელმაც, «ქართ.-ცხოვ.» გადმოცემით, მიჰაჭა მთაზედ ბეკასპი, გველთა მბძანებელი, სპარსების გადმოცემით, იურ ჯემშიდის შეიძლა, ფეხიდუნი, გველთა მბძანებელი ეს იურ ზოდავი, ცნობილი კიდევ ადჟავის ანუ დრაკონის სახელ-წოდებით, აგრეთვე სომხებში კეშაპად, ³¹⁾ ჭართველებში გველაშაპად.

²⁷⁾ Lenorman, Manuel d'Histoire ancienne de l' Orient, 1869, II, 307.

²⁸⁾ Malcolm, H. de la P., I 83—85; St-Martin, Mém. sur l' Arm., II, 192 n. a.

²⁹⁾ Malcolm, H. de la P., I, 24—25.

³⁰⁾ Ib., 270.

³¹⁾ St-Martin, Mém. sur l' Arm., II, 190, n. a. b.

მთა, სადაც ბევრასპერი იურ შემწევდეული, იორანელთ მიტურ
კოსმოგონაჭიაში ცნობილია ალბორჯის მთად, შემდეგ ში ელ-
ბრუსად და მდებარებს კასპიის ზღვასა და თეიორანს შეა, გილანში
და მაზანდერანში. ³²⁾ «ქართ.-ცხოვ.»-ის იარედი არის იარეჯი
ფერიდუნის შეიძლი. ³³⁾ «ქართ.-ცხოვ.»-ს კეკეჩისი, მაგნე სუ-
ლის მიერ თვალებ დათხრილი ლეგეტში ახუ დაღისტანში,
არის გაივალი, ახუ კიასკარი, ორმედიც სცხოვურობდა მე-III
საუკ. ქრისტიან დაბადებამდე. კიასკარმა, როგორც მოგვი-
თხორბენ, გაილაშექა მაზენდერანზედ, მაგრამ, მაზანდერანის
მეფის თხოვნით, დევმა სეფიდმა თვალები დასთხორა და ციხეში
შემწევდია. ³⁴⁾ აღმოსავლეთის უწინდელ მიტებში დევები დაღ
ცნობილია არაან. ინდოელი ბრამინები მათ ღმერთებად
სთვლიან, სპარსელები — მაგნე სულებად. იანი კითლმ კატის
მთის კლდეებში სცხოვურობდნენ, რომელსაც სმელეთის შეა-
გული აღვილი უჭირავს და იქიდამ დაუცემოდნენ ხოლმე სხვა-
და-სხვა ჭვეუნებს. ³⁵⁾

ახლა ქართველების ცხოვრებას რომ მიუბრუნდეთ, ჩვენ
ვმოვკით შემდეგს ნაშენებს ძველის სპარსეთის გავლენისას. მრა-
ვალი სახელები, რომელთაც ვწოვებთ მაჟ-ნამეში და დაბდე-

³²⁾ Malcolm, H. de la P., I, 35; Vivien de St-Martin, Nouveau Diction. de Géorg. Universelle, t. II, p. 166.

³³⁾ St-Martim, Mém. sur l'Arm., II, 190, n. c.

³⁴⁾ Ib., 191, n. a.; Malcolm, H. de la P., I, 48.—50.

³⁵⁾ М. Хоренский, Ист. Арм., 256, 322, Malcolm, H. de la P., I, 115.

ტანში, ძველთაგანის ისმარებოდნენ საქართველოში; ამ გვარით
არიან: ოსტომი, მანუჩარი, ქაიხოსრო, ზურაბი, ბარაბი,
თეიმურაზი, ჩაალი, გივა, ფარემუზა და სხვ. სპარსეთში იურ
ჩვეულება, რომ ღიღებულთ მკილებს უცხო სახლეში აძლევ-
დნენ ალსაზოდელად.³⁶⁾ ამ ჩვეულებას ჩვენ საქართველოშია და
ვიოკებთ, აგრეთვე ძველ სომხეთშია. საქართველოში ეს ჩვეუ-
ლება გადავარდა ამ საუკუნეში, თუმცა სამეცნიელო-აბხაზეთში
ასლაც შექვდებით.³⁷⁾ წოდებანი საქართველოში, რომელთ
არსებობა სტრაბონმაც კარგად იცოდა, მოგვაგონებენ ჯემშიდის
წოდებათა (კასტება). პოლიტიკური წეს-წეობილება, რომელის
შემოღებასაც ექართ.-ცხოვ. ა ფარნალის მიაწერს, როგორც
აქ, ისე სომხეთში, დამყარდა სპარსეულის ზედ-გავლენით, რაღ-
განაც სპარსელი ფარნალისა იგივე სპარსეთის სიბაგებდი და
სიმშების სბაიაბედია, ერთიანობისა კიდევ-სპარსეულიკე სატრაპობის
მით.³⁸⁾ საქართველოში ანტიკური აგრეთვე ერთ-გვარი სა-
მართალი, ესრედ-წოდებული ლევთის-სამართალი. რომელიც
არის მოხსენებული მნიშვნელ პოემაში რამათანში და რომელიც
ინდოეთიდამ მიიღეს ძველად სპარსელებმა, ელლინებმა, შემდეგ
გერმანიელებმა და რუსებმაც.

ეს სამართალი ანუ განსაკუთრებული წესი გასამართლე-

³⁶⁾ Malcolm H. de la P., I, 55.

³⁷⁾ H. de la G., I, 48, 84, 290; M. Хоренский,
Ист. Азия., 292.

³⁸⁾ Amédée Terdieu, Geogr. de Strabon, Paris,
1867, II, 405—406.

³⁹⁾ H. de la G., I, 42; St-Mart., Mém. sur l'
Arm. I, 298 n. 1,

ბისა ის იურ, რომ ბრალდებულს მდეულარე წყალში ხელი უნდა ჩაეკრ ანუ გახურებული რკინა აეღო. თუ ხელი დაუწოდა, გაამტკუნებდენ, თუ არა და უბრალოდ აღიარებდენ. ეს სამართალი ჭერ ჩვეულებასავით მოქმედებდა, ანუ ჩვეულებაზედ იურ დამუარებული, ხოლო შემდეგ კანონ-მდებლობაშიაც იურ შეტანილი და დიდი ხანი არ არის, რაც გადაკარდა; გურიაში იგი მოქმედებდა, მაგალითებრ, 1811 წლამდე.⁴⁰⁾ თვით რელიგიურ კულტს ქართველებისას ეტურბლიდა სპარსული გაკლენა. «ქართ.-ცხ.» სიტუკით, უწინ ქართველები ბაშების სწირაპდნენ მსხვერპლად კერპებს, მიცვალებულებს კი არა ჭმარსავდნენ, სჭამდნენ.⁴¹⁾ კაცის მსხვერპლად შეწირება გავეკასიერ ალბანიულებში სტრაბონსაც შეუმჩნევია.

ალბანელნი დიდის ამბით ასრულებდნენ თურმე ამ წესა-მთავარ ტამარში, იძერის საზღვაოზე; მსხვერპლის ხორცი კიდევ დიდის მოწინებით სჭამდნენ.⁴²⁾ თუმცა კაცის მსხვერპლად შეწირება ახალი ამბავი არ არის და უწინ ბეკრ კელურ ხადსსა ჰქონდა ჩვეულებად,⁴³⁾ მაგრამ მისი არსებობა საჭარ-თველოში და ალბანიაში საეჭვოა და ჭავჭიორებს დამტგარებას; მაანცა და მაანც იგი მოგვაგონებს ცნობალ კულტს, რო-

⁴⁰⁾ Malcolm, H. de la P., I, 56; Alph. Rambeau, Hist. de la Russie; 1878, -62, III; Бакрадзе, О доисторич. археологии вообще и Кавказской въ особенности. Тифлисъ, 1881, 71—72.

⁴¹⁾ H. de la G., I, 31, 77.

⁴²⁾ Strabon, II, 410.

⁴³⁾ Alphred Maury, La terre et l'homme, Paris, 1861, 488, 536—537.

მეფიც სპარსეთში ზოდავგმა შემოიღო. ⁴⁴⁾ უჭენავსი ღმერთი ქართველებისა არმაზი, სომხებისა არამაზდი, უკაველია არის სპარსების ორშეზდი, «წარმომადგენელი მზისა და ცეცხლისა.» როგორც ქართველებს, ისე სომხებს ჰყვანდათ თავისინთი მოგვები, დმზის მსახურინია. ⁴⁵⁾ დევნი, მთესველი ქვეუანაზედ ულვილებს ბოროტებისა და უწმინდეულობისა, რომელისაც სპარსული მიტი ჸსატავს ცეცხლის გველის სახით, ძალიან ხშირად იხსენებიან. ქართლ-კახეთის ქართველთ გარდმოცემებში. ქართველი კაცის გონიერა ახლაც კი ჸსახავს დევს ცეცხლის გველად — ეკვიმად. იგი შეადგენს უმთავრეს საგანის სახალხო ზღაპრებისას, მას აქვს აამდენიმე თავი და შეიარაღებულია იგი ცეცხლის თვალებით და საშინელის გზილებით. იგი დაფურინავს ჭარში, დრო და დრო ჩამოდის მიწაზედ, თან მოჰქმეს ელვაჭესილი და აშინებს სალსს. ⁴⁶⁾ თვით მიტთ ზოდავზე ანუ დაბისტანის დრაკონზე, ომელიან არის მიზანებული ალბორჯის მთაზედ, მოგვაგონებს სარმეურ ღეგენდის არტავზზე, ქართულს-ამირანზე. სპარსულ მიტში არიანი ანუ ამირანი იწყება ღმერთად ბოროტებისა და მისთა მსახურთა, დევებთა, და ორმეზდის — ამ ციისა და ქვეუნის შემოქმედის და უოკელ ღმერთების მამისა მოქიმბედ. ღეგენდა ამირანზე საქართველოში ასლაც ისეთია, როგორც იგი იყო მე. V საუკ. სომხეთში. ღმოსუც-

⁴⁴⁾ Gobineau, Hist. de la Perse, Paris, 1869, I, 43—46, 272—274.

⁴⁵⁾ H. de la G., I, 33, 34, 100, 101; St-Mart., Mém. sur l' Arm., I, 306.

⁴⁶⁾ Бакрадзе, О доистор. археол., 69.

⁴⁷⁾ Исторія Арменії, 130.

ნი დედაკაცნი მოგვითხობენ არტაგაზზე, ამბობს მოსე ქორენელი, რომ იგი შეკრულია ოკინის ჯაჭვებით და დამწევდეულია რომელიაც კლდეში, რომ ორი გოშია დაუსრულებლად ჭრინიან მისჯაჭვებს, ისიც ცდილობს გამოსვლას განთავისუფლებას და შეუნიერობის ბოლოს მოღებას, მაგრამ მჟედელი რომ კვერს დაჭრავს, ჯაჭვი ასევა მთელდება. ამიტომ, ჩეენ დროში, აბოლოუბის ქორენელი, ზოგიერთია მჟედელი, ლაგენდის მიხედვით, ჭისცემენ კვერს გრძელდა, რომ არტაგაზის ჯაჭვი გამოუდეს. ⁴⁷⁾ ქართული ლეგენდა ამას მხოლოდ უმატებს, რომ კვერის დაკრა საჭიროა ერთხელ წელიწადში, სახელდობრ, დად ბარასკევს. ამავე ლეგენდას, ცოტა გადასხვავერებულს ვბოვებთ ასებშიაც და სკანებშიაც. სკანების სიტყვით, ამირანი იყო მოგზაური, გამოსულია ეგვიპტელამ. ⁴⁸⁾ თუმცა წარმოდგენით კიდევ, რომელიც ემზგავსება პრომეტეოსის მიტს, კიდაც მაგრად შეჯაჭველი ტუკი არის იალბუზის კლდეში და მის გულს სწიწენის დაუსრულებლად ჭრიო... ⁴⁹⁾

კათავებთ ამ წერილს და საჭიროდ კრაცხით შევნიშნოთ, რომ ჩეენ აქ არც ქართველების გარდამოცემათა დაწვრილბეულს განხილვას გაუშებით, არც შევი ზღვის საბერძნების კოლონიების და ქართველთა შორის ურთიერთობის გამოძიებას, არც იმათ მნიშვნელობის განმარტებას, რა მნიშვნელობასაც ქართველთ მატრანენი მიაწერენ ეკროპიელ მწერალთ სკვითებს ხაზარებს და აგრეთვე არც მიდიდამ მომდინარეობას თუებისას

⁴⁸⁾ Зап. Кавк. отд. Геогр. общ., жн. VII, Путешествие Радде, стр. 133.

⁴⁹⁾ Дубровинъ, Исторія войны и владыч. русскихъ на Кавказѣ, Спб., 1871, I, 326—329.

შეკებით, უგელა ეს ამბები მოხდა ისტორიულ დროში და
მათ ადვილად არკვევს ისტორიული ანალიზი. აღვნიშნავთ მხრ-
ალდ შემდეგ ფაქტს. განთვმულმა თრიენტალისტმა სენ-მარ-
ტინმა «ქარ.-ცხოვ. გადმოცემას ბერძნებზე მიაწერა განსაკუთ-
რებული მნიშვნელობა. მის სიტყვით, 『საბერძნეთის ისტო-
რიკოსებმა არ დაგვიტოვს არავითარი ცნობანი იმის შესახებ,
შავი ზღვის აღმოსავლეთის ნაპირების ბერძნები ეომებოდნენ
თუ არა გავისიას მცხოვრებელთ. მხოლოდ 『ქართლ.-
ცხოვ. ა-ში კორვებთ ჩვენ ამ ცნობათ, რომელიც შესანიშნავ-
ნია არაან და დასაჭერნიც». ⁵⁰⁾ ამ გვარსავე მნიშვნელობას
მიაწერენ ეკროპიულნი მსწავლელნი 『ქართ.-ცხ.』 ცნობას, რო-
მელიც შეხება ხაზარებს და თაქმს. ⁵¹⁾)

დიმ ბაქრაძე.

⁵⁰⁾ Mém. sur l' Arm. II, 190, n. e.

⁵¹⁾ Dubois, Voyage autour du Caucase II, 2—5
26; IV, 354—362, Vivien de St-Mart, Recherches
sur les populations du Caucase, 149—152.

სახალეო ლექსიზი.

სოფომრნ ბრძენმა მაშინ სთქვა: შენ, ღმერთო, გამაჩინდა! თქოს გვირგვინი დამადგი; არა კარ მეტე მცირდა: ქვრივი ვახარე, ობოლი, ბრძას აუხილე თვალია; შვიდა წლის გამხმარ მამალი ხეს შეკვეთ შეგვიდვლა, მინდვრის მწყემსები დავზარდე, ჩრდილოს ქვეშ დავაძინდა.

ღმერთმან ხომ აცის, გუთანო,
თქმენი მიღება მნელდა!
უნდა გაგრიშო წნელები,
დამე გავტეხო ბნელდა.

მთასა თოვლი უთოვლია, ბარსა დაუბარებდა,
დედა შენსა შენი თავი ჩემთვის ჩაუბარებდა.

წუთი-სოფლის სტუმრები ვართ, ჩეენ წაკალთ და სხვა დაზება
ვარგი ვსოთ და ვარგი ვსჭამოთ, ამის მეტი რა გაგუვა?!

ყაყაჩისა სიწითლითა უანა დაუმშენებდა,
უმაწვილსა ვარგის სწავლითა სახლი გაუხარებდა.

აფრინდი, შავო მერცხალო, დაჭუე არაგის პირსაო,
ომი არ გაუკირდება შენი დედ-მამის შვილსაო!

თორალებს უარაულებსა დებბით დახვედრიანო
თოთოს მოუკლავს შეიძ-შვიდი, ბიჭობა იმათ ჰქვიანო!

ნეტავ მოკვედე მე სის ძირსა, ფურცელი დამედინოსა,
მოკიდეს ჭალი ლამაზი, ზედ ცრემლი დამაუაროსა.

— ა გენადგლება იქროლოს ზენა ქარმა და ქვენამა,
ეგუბი ერთად შეგვუაროს ჩვენმა ბედმა და წერამა.

სანთლის გუთანს აკაშენებ, შიგ შეკაბამ უღელ მდევსა,
ზღვაში კხნავ და ზღვაში კოესავ, მშრალათ კინადირებ თევზსა.
— ყინულზედ კალოს გავლენამ, მშრალათ გადავურიდი ბზესა
ჭინჭველას გოდორს ავენდებ მდევებს დაუკრიდი ბზესა.

უწყლოდ, უღვინოდ, უპუროდ
ჟამი არას დორს იწირვის;
თუ კაცსა ღმერთი არ აძლევს
უქმდა, რასაც იჭირების.

პედაგოგიური მოსაზრებანი.

«არითმეტიკა», სახელმძღვანელოდ სოფლის სასწავლებელთათვის,
შედგენილი მიხეილ ზაალის-ძის ყიფიანისაგან. თბილისი 1884 წ.

არითმეტიკის მეთოდება ესლა იმდენად შემუშავებულია, წიგნები სახელმძღვანელოდ იმდენია და ისე მარჯვედ შედგენილი (ეპოქაში, ოასაკურკველია, და არა ჩვენში), რომ ისდანც კი, ვისაც არ მიუღიათ სპეციალური შედაგოგიური განათლება, ისინიც კი, ვინც საოსტატოდ არ მომზადებულია, მარჯვედ ახერხებენ ბავშვების სწავლებას. რომელიმე სოფლის მასწავლებელი არხანგელის გუბერნიაში სმართს თათქმის იმ გარსავე მთავარ ხერხებს არითმეტიკის სწავლებაში, რა გარებულაც შეტერზებურგში კუტუშევსკი—შემდგენელი კრონელი და საუცხოვო არითმეტიკის მეთოდიკისა.—ნემეცების გამოჩენილ შედაგოგების — პეტრალოცის, გრუბეს, დისტრიქტების სახელი ჩვენშიაც უკედას ეჭნება გაგონილი. ამათი წყალობით უოველი საგნის მეთოდიკები საკმაოდ შემუშავდნენ, მაგრამ არითმეტიკისამ კი უკედას გადააჭარბა. დღეს უოველი ნაბიჯი არითმეტიკის სწავლებაში გაზომილი და მოსაზრებულია და ფსიქოლოგიურ ჟუმბარიტებაზედ დამეარებული, მაშინ როდესაც სხვა საგნებში, დასამთავრებელი, საკამათო და გადასწუმეტი კურსულობა მოიპოვება. არითმეტიკის ამ გვარი წარმატების მიზნები უპირველესად თვით ამ საგანშივეა. მათემატიკა ისეთი

ბედნიერი საგანია, ორმ მისი ჭუშმარიტებანი, მისი ფორმულები ერთი მეორიდან ისე ნათლად გამომდინარებან, ისე უკეთასთვის თვალ-საჩინონი არიან, ორმ აქ ეჭვის შემოტანას ვერავინ გაჭირდავს. უოკელი ერი, უოკელ საუკუნეში და უოკელ ალაგს ადიარებდა, ორმ თრჯელ თრი თოხია, ათს რომ სამი გამოვაკლოთ, დაწჩება შვიდი, ორმ მთელი მეტია თავის ნაწილზე და სხვ.

ხოლო, ვიდრე მეთოდიება არათმეტივისა დღევანდელ თავის სისრულეს მიაღწევდა, ბეჭრი დაბრკოლება დახვდა წინ. მის შეუშავებაში უცალაზედ მეტი ლეაჭლი მიუძღვით ნემეცებს. ნემეცური სკოლა არათმეტივის მეთოდიების ზრდაში აღნიშნავს სამს უმთავრეს ხანს. უპირველესმა და უბინელესმა მათგანმა, თუ შეიძლება ასე გსთვევათ, გასტანა მე-XVIII საუკუნის დამლევამდის, ესე იგი იმ დრომდის, ვიდრე პედაგოგიურ ასპარეზზე გამოჩენდებოდა ისეთი ცხოველი კარსკელავი, როგორიც იურ ჭენრის პესტალოცი, რომელმაც თავისი ცხოველ-მყოფელი პედაგოგიური პრინციპებით მოჰყონა ნათელი ჭუშმარიტი უოკელი საგნების მეთოდიებს საზოგადოდ და არათმეტივისას გერმოდ. მეთოდიკა რომელიმე საგნისა იმ დროს, სწორედ რომ გსთვევათ, არც კა ასებობდა. მაშინდელი პედაგოგები არ სდგებდნენ საზღვარს საგანია და იმავე სახელის მეცნიერების შეა. არათმეტივის ისინი ასწავლიდნენ, როგორც მეცნიერებას. აქ იურ იმათი უმთავრესი შეცდომა. ისინი ბავშვის შიროვნებას არავითარ უკადლებას არ აქცევდნენ, იმათვების ერთი იურ, შეუფერებოდა, თუ არა ბავშვის ნორჩ ტეინს დოლმატიური გარდაცემა სქემებრივად განწყობილი არათმეტივის მასალისა. იწყობდნენ განმარტებითა და ფორმულებით და ათავებდნენ მითივე. თავიანთი შესედულობით არცა სცდებოდნენ.

მართლაცა და, თუ სასწავლო საგანი წარმოვიდგინეთ იმავე სახელ-წოდების მეცნიერებად და გაღვიარეთ, რომ ეს უკანასკნელი. არ დასდექს არც წლოვანობას, არც მომზადებას, რომ მას თავისი სასტიკი სისტემა და მეთოდი აქვს — მაშინ ჩვენც იმ პედაგოგისაკით მოვიწყეოდით, ამ მეთოდზე სწავლებით ვაცის ტკინს ულაუებდნენ და ათასში ერთი ძლიერი იგნებდა საგანს, დანარჩენს უნიჭებებს ეძახდნენ, რომელთათვისაც, კითომ, თვით ღმერთს არ მიუცია. არითმეტივული გონიერი დღეს, დათის მაღლით, ამ გვარი მოსაზრება უარ-უოფილია და დადგენილია, რომ თუ ბავშვს კერ შეაგნებინეთ რომელიმე საგანი, უკუკელად, ან თქვენივე მეთოდა უკარგისი; ან თითონ თქვენივე ბძანდებით მოუგმზადებელი ასტრატი და ბავშვი არაფერ შეუძია.

იმ მეთოდით კი, როდესაც უმაწვილს პირდაპირ ურომელო რიცხვებზედ ფორმულების გამოუკანას ასწავლი, საკვირველი არ არის, რომ უკელა თქვენი მოწაფენი ერთ დღეს უნიჭენი ადმოჩნდნენ.

* * *

შესტალოცაცის პედაგოგიური პრინციპების გამოშევუწია და ამ მიმართულების ისტორიისადმი ჩაბარება ერთი იუთ. კიდით-კიდემდე გაისმა. მძლავრი ხმა ამ შეიცარიელი პედაგოგისა და მოახდინა უკელა საგნებში რადიგალური რეფორმა. უმთავრესი მისი აზრები სწავლის შესახებ მოკლედ ასე გამოიხატა ტკინს: ა) მთელი ძალა სწავლისა საგნის მასალაში კი არის, მეთოდაშია; ბ) უოკელი ჰქომიარიტი სწავლა უნდა იქმნას ხოლმე აღმრული და გამოწეული თვით ბავშვის მიერ, მისი საკუთარის ბუნებით და გ) დაკვირვება, თვალ და თვაზობა არის აუცილებელი საფუძველი უოკელი სწავლისა. ამ გვარი აზრები უმნიშვნელოდ კრი დარჩებოდენ. არითმეტივგას სწავლე-

ბის მეთოდაც ძირეულად შეიცვალა. წინად არითმეტივის სა-
ფუძვლად თვილებოდა ურომელო რიცხვი, ფორმულა, წერით
ანგარიში; პესტალოცის სკოლაშ შემოიღო ზეპირი თვლა, ან-
გარიში; წინად სწავლება არითმეტივისა, როგორც მეცნიერებისა,
იწყობოდა ადამიადამ; პედაგოგებმა ეს შლახი უარ-ჰქენდა, და-
იწყეს იქიდამ, რომ «ორი და ორი — ოთხარი», მეცნიერება
საგნად გადაქციეს, შეუფერეს ბავშვის წლოვანობას, მისი არ-
სება. მხედველობაში მიიღეს და მასალას მაქ ურჩევდნენ და
უდიდებდნენ, როგორც თვით ურმა გონებრო მაგრდებოდა და
იზრდებოდა. ამაშია უდიდესი მნიშვნელობა პესტალოცისა და
მისი სკოლისა. წინანდელი სკოლის მოწავემ ურომელო რიც-
ხვის მეტი არა იცოდა-რა. იმას მარტო მშრალ რიცხვთანა ჭრონდა საქმე, მაგრამ იმავე უსეიორო მეთოდის წყალობით, ხში-
რად ეს წარმოდგენაც ეჭრებოდა. მაგალითებრ, რიცხვის 15-ს
ცოდნა იმასა ჭიბიშნავს, რომ ჩენ ნათლად გაქონდეს წარმოდგე-
ნილი მისი არსება, რომ ის არის მხოლოდ შემკრებელობითი
სასელი თრი სხვა რიცხვებისა: 14 და 1-სა. 14 კიდევ არის
13+1. საუბედუროდ, მეთქმ, მოწავეს შემირად ეს წარმო-
დგენაც ეპარგებოდა, მთელი სწავლის მეტის-მეტი ურომელო-
ბით, მის გონებაში რიცხვს და ციფრას შორის განსხვავება
აღარა აჩებოდა. ის ამბობდა «ოცია და ამავე დროს მის გო-
ნებაში არავითარი სხვა წარმოდგენა არ იღვიძებდა, გარდა ნიშ-
ნისა, ციფრისა 20. ამავე მიზეზით იმას მხოლოდ გათუთა-
უ შემუშლი ჭრონდა; რომ 25+6 არის 31 და შინაგანი აზრი
ამ მოქმედებისა კი არ ესროდა.

ბმისათვის პესტალოცის სკოლას ძელ მეთოდასთან ერ-
თად აღარ მოსწონდა თვით ციფრაც ნიშანიც. ახალი პედა-
გოგები რიცხვის წარმოდგენას აძლევდნენ. თვალ-საჩინოდ

ბავშვი, ოდესაც ამბობდა 10 და 8 არის თვლამეტი; ამავე დროს ათ ბურთს, სიმინდს, კენჭს, სულ ერთია, უმატებდა 8 ბურთს, კენჭს და სხვ. ყველაზობდენ რომ ძოწაფეს უტკუარი წარმოდგენა ჰქონოდა უოელ რიცხვზედ — აქედამ გამოდიოდა დაუბოლოვებელი, ხშირად გადაჭინებული სათვალ-და-თვალო, ანგარიში. რომ რიცხვსა და ციფრას შეა დიდი ზღვაზრი დაედოთ, როგორც მოვიხსენეთ, ციფრა სრულიად გადააგდეს, მთელ არითმეტიკას ზეპირად სწავლობდენ და მსოლოდი ძვირათად თუ დასწერდენ რიცხვს — ისიც ასევეით.

მყითხველი ჰქონდა; რომ პესტალოცევს სკოლა ერთო უკიდურესობიდამ მეორეს ეცა. წინად ბავშვებს აღრჩობდენ სისტემატიური მუცნიერებით. ფორმულებით, ციფრებით. ამათ კიდევ მუცნიერება — არითმეტიკა სრულიად უარ-ჰქონდეს, საგანის ერთ-ნაირი. პრაქტიკული სასიათი მისცეს. არითმეტიკის ჰქონილებანი რაღაც სათამაშოდ გადააჭირეს. პირველი იმაში სცდებოდენ, რომ არითმეტიკა — მუცნიერებას პროცედურებით კუთხის არ ატანდნენ. მეორეებმა არითმეტიკა მთლად პროცედურებით გარდააჭირეს. ამათ ხელში ბავშვი სწავლობდა სრულ არითმეტიკას, ზეპირად ახსნიდა უოელ გვარ დამოკიდებულებას რას რიცხვთა შორის და ამავე დროს მარტივ ფორმულას კრის გამოირყევდა. ცოტათი რთულ სარგებეს; სადაც რაიმე ფორმულების ცოდნა იყო საჭირო, ისინი ახლოც კერ მიუღიბოდენ. ამათ არითმეტიკა გაჭებეს რამდენსამე კურსებად. მაგრამ ერთია შრელის ნაწილების შეა არავითარი სისტემა არ სუფევდა; ასეც უნდა უოფილიყო, რადგან სისტემა მუცნიერების კუთვნილებას და ესენი კი ამ უკანასკნელს არ აფისებდენ. კერთვანად; პროცედურებით გადგან და სისტემას. ურთიერთ შორის არ აკავშირებდენ.

ერთი და უგანასკნელი ნაკლულებანება გიღებ ჰესტალოცის
სკოლისა ის იყო, ორმ სარკვებებს ერთობ მცირე ადგილი
შენდა მიცემული სწავლაში. სულ დაუსრულებელი 20 კაშ-
ლი და 17 კაშლი, 15 ფუთი და 16 » მეფობდა.

ასეთ ყალბ გზას დაადგა დიდი ჰედაგოვის სკოლა. სსკა-
ფრია საქმის მსკლელობა უოკლად შეუძლებელიც იყო. ჰესტა-
ლოცი და მისი თანამოაზრენი, აღელვებულნი დოლმატიური
მეთოდის უგარებისობით, კელარ ასერხებდენ ეპოვნათ რამე შე-
მართებული ძაფი ძველია და ასალის სწავლას შეა. ძველი
სწავლა ზიზღის მეტის არას იწვევდა უგანასკნელი შროშის და
ასა აქ ან კი როგორ მეიძლებოდა ფიქრი შეითიებაზედ. ამის-
ოვის საჭირო იყო დაწესარებული, აუზქარებელი ფიქრი და
სკა შთამომავლობისა, მიუდგომელი განხილვა ძველი და ახა-
ლი სწავლისა, შედარება მათი და ამოკრება თრიკედგან იმისი,
რაც საუკეთესო იქნებოდა.

* *

მასარობლად მესამე ხანისა არითმეტივის მეთოდის
ზორდაში იყო სახელოვანი ჰედაგოვი დისტერკვეგი, ხოლო ეს-
მეთოდის სისტემატიურად შეამუშავა და დაადგინა მკვიდრ სა-
ფუძველზედ გრუბემ. გრუბეს მეთოდი არის უგანასკნელი,
უკელვან მოწონებული და საუკელთანდ სახმარებელი მეთოდი.
რუსეთში გრუბეს მიმდევარნი ბევრი იყვნენ, მაგრამ უკელაზედ
კარგი სახელმძღვანელოები გრუბეს მეთოდაზე შეადგინეს პაულ-
სოსმა და კატეგორიამ. მეტადრე ამ უგანასკნელმა. ვინ არ
იცის, რომ არითმეტივის სფერაში მთელ რუსეთში ეხლა ეკ-
ოლუშებსკის სუთევა, როგორც დედა-ენისაში კანთქმული იყო
აქამდის და არის დღესაც, უშისესის აკტორიტეტი. (ამ უგა-
ნასკნელს დროს ცოტათ იყევა გამოჩენილი ჰედაგოვის სა-

ხელი). ჩვენ არას დავაშავებთ, რომ გრუბეზედ დაბარავში ეკუტევსების სახელიც ვისმართ, რადგან უკანასკნელის მეთოდა არას სრული ჭოტოვაული სურათი ჰირველისა. გრუბემ მთელი არათმეტივას კურსი ჯერ ორ დღი ნაწილად გაჟეო: შროშედეკტიული და სისტემატიური — და ჰირველი, რასაგვირ-გელია ისტავლება მეორეს უწინარეს, უმზადებს მასალას, ითვ-ლება შესამზადებელ კურსები და ამავე ღროს მასალა არათმეტიული ისე ხერხიანად არას დაწყობილი, რომ წარმოადგენს სრულს არათმეტივას მინიატიურულის სახით თვით ნაწილებიც შროშედეკტიული კურსისა წარმოადგენს. თოთქმის სრულს არა-თმეტივას, აშენებულს მცირე მასალაზედ. მაგალითებრ, ბავშვის შეისწავლა რიცხვები 1-დამ 10-მდინ. იგი ამავე რიცხვებზედ ცწავლობს უკულა ათხ არათმეტიულ მოქმედებას და პრა ერთს რომელსამე. ამ გარემოებას დღი მნიშვნელობა აქვს სკოლის თვის. ახალ მეთოდაზედ ნასწავლა ბავშვის რომ ერთი წლის უგან (ამ სანში ის გაივლიდა რიცხვებს 1-დამ 20-დის) და-ნებოს სკოლის თავი, რაიცა უშირად ხდება ხოლმე, მეტადრე სახალხო სასწავლებლებში, იმას გააქვს სკოლიდამ არათე მარ-ტო შეკრების, ან გამოკლების ცოდნა, როგორც სდებოდა წინად, არამედ სრული, დამთავრებული ცნება. თოთქმის მთელს არათმეტივაზედ. როდესაც იმან ურკვებენარი დამოკიდებულება რიცხვთა შორის 1-დამ 20-დე ცირის, როდესაც იმას ამ რიცხ-ვებზედ ბევრ სარგებებრ უგეობდა, მას შეუძლიან თავისუფლად ანგარიში მომატებულ რიცხვებზედაც შეუძლიან ეს ერთი წლის ნასწავლა ცხოვრებაში გამოიყენოს. ადრინდელ მეთოდაზედ ნა-სწავლ შეგირდს ერთი წლის უკან უნდა სცოდნოდა. მარტო თუთუუშვილთ გაზეპირებული თვის 1-დამ მიღიონსამდე და მეტიც. ხოლო ეს ცოდნა და მაზედ წასული დორ მისთვის

სოულებით მუქთი უნდა უღიერდდეთ. ჩვე არას ერთი დიდი დარცება გრუბეს და კვტიუებსკის მეთადისა.

შემდეგ ორივენი არითმეტივის მასალას ჰულვენ ასე.

პირველი კურსი: შესწავლა რიცხვთა 1-დან 10-დან პირველი გაფეთისას შინაარს შეადგენს რიცხვი 1, მეორისას 2 და სხვა ამ რიგად. მეთადის საფუძველს რიცხვთა შესწავლათ შეადგენს. გრუბეს აზრით, სულ უკანასკნელი რიცხვი, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს თვალ-საჩინოდ, ადგილად წარმოსადგენად და გასა-ოჩევად, არის 100.. შემდეგი რიცხვები შეისწავლებიან პირვე-ლებთან შედარებით. ამიტომ პირველი ასის უღიერდი რიცხვი უნდა იყოს ცალკე განხილულ, ჭავარვებულ, რადგან ისინი შეადგენენ საფუძველს შემდეგი ანგარიშისას. მოქმედებანი არი-თმეტივისანი გრუბეს სკოლას გამოჭეავს თვით რიცხვთა გან-სილვიდამ. აქ გურ გმოვებთ სათაურებს—მითვლა, გამოკრება და სხვ. უოკელ რიცხვზედ უგელა მოქმედება სოულდება მას უღიერდმხრივ შესწავლის დროს.

ამის შემდეგ გრუბეს სკოლა დიდ უურადღებას აქცევს, როგორც საზეპრო სწავლას, აგრეთვე წერითადს, ერთი მეო-რეს ესენი ჭმელიანი, ერთგვარად უახლოვებენ სასურველს სა-განს—ანგარიშის სწავლას. გრებესავე სკოლა არ კმაყოფილდე-ბა მარტო ცარიელი რიცხვის შესწავლით; მას, როგორც პეს-ტალოცსაც, არ აკმაყოფილებს მშრალი ლორჯელ ეჭვის თორ-მეტია. იგი ამბობს, რომ ეს ცოდნა და საზოგადოდ უგელა ცილდნა მხოლოდ მაშინ არის საკარგებლო, როდესაც ცსოკე-ბაში გამოდგებათ. ცხოვრებაში კა იშვათად შეხვდებით ლო-ჯელ ხუთსა; აქ მოგინდებათ გაიგოთ უფრო ხშირად. რამ-დენი მანათი უნდა აძლილოთ თვეში, რომ ლცი თუმანი ვალი, ხუთ წელიწადს გადაიხადოთა (მუტადოუ ქართველ კაცს უნდა

ამ გვარი ანგარიშის ცოდნა.) აქედამ ცხადია, რად აქცევს კრუბეს სკოლა და უურადღებას სარგებებს. ოცნები მხოლოდ მაშინ არის სრულიად შესწავლითი, როდესაც მას, როგორც ცალკე, ისე გრძევ სარგებებში ვეზერობით, ვხმაროთ შეგნებულად, თავისუფლად.

მეორე კურსი: შესწავლა ოცნებებისა 10-დამ 100-დან. უმთავრესი განონები შესწავლისა ამ კურსში არიან იგინივე, რაც ბირველში იყვნენ. ხერხი სწავლებისა აქაც ისევ გატეხაზური ანუ ვითხეა-მიგებითა. აქაც, როგორც საზოგადოდ სრულ პროცედურულ კურსში, ბავშვები არ იცის, რა არის სახელმძღვანელო. წიგნი ეძღვა ხელში მხოლოდ სისტემატიურ კურსის შესწავლის დროს. აქაც ოცნებითა-შესწავლა გვირგვინდება მრავალი სარგებების ასესნოთ.

მესამე კურსი: ნუმერაცია უოკელი რიცხვისა, ელემენტარული კურსი მარტივი ნაწერებისა და თხხი არითმეტიკული მოქმედება სახელ-წოდებულ რიცხვებზედ.

ამითით თავდება ელემენტარული კურსი არეთმეტიკა, ამათივე თავდება არითმეტიკის კურსი სახალხო სკოლაში. შემდეგ ამისა საშუალო სასწავლებლებში იწყობა სისტემატიური კურსი. ეძღვა ბავშვს ხელში სახელმძღვანელო დასამუჯანისაფრთხოების სწავლა; მასწავლებელი უსსხსნას სახელმძღვანელოდამ ერთ ადგილს, ბავშვები ამას ისმენენ, აგებენ და შემდეგ ამზადებენ ამ გასაკვეთს წიგნში. იწყობა არითმეტიკა ისევ თავიდამ და სისტემატიურიად ისწავლების ბოლომდე, გამოუკლებელად და შეუცვლელად. აქ მასწავლებელის ხერხი მხოლოდ იმაში-და მდგომარეობს, რომ მან ასე თუ ისე, მხოლოდ ხერხიანად ასესნას არითმეტიული მასალა, რომელიმე ფორმულა, და არამც და არამც განუმარტებლივ არა დააჯერებინოს რა მოწაფებებს. არითმეტიკა

ეჭაკრება, როცა შეუგნებლად სჭერათ მისი ჟეშმარსტებანი. იმის საყვარელი კითხვები არანა? რათა? რასგამო? რაფა მაგრე და რა ასე? და სხვანი.

* *

არითმეტივა, რომლის სათაური ზემოდ ამოვწერეთ, არის შედგენილი გრუბესა და ეპტუშეგსკის მეთოდაზედ. ამ მიზეზი, რომ ეს წიგნი ისეთ სასრამოვნო შთაბეჭდილებას აწარმოვებს ოდნავ გადაუურცვლის დროს. ამ პირველმა შთაბეჭდილებამ ერთი ჩვენი კრიტიკოსთაგანი აღტაცებაში მოიყვანა და წარმოათქმევინა ის წინ დაუსედავი აზრი, ვათომც ამ გვარი არა მომეტივის სასელმძღვანელო თვით ეკრაშაშიაც არ მოიპოვება. ძალიან სასახლეო იქნებოდა ჩვენთვის, რომ ეს სიტყვები კრიტიკოსისა მართალი იყოს. ჯერ კიდევ მოუმზადებელნი ვართ იმისთვის, რომ ჩვენში ვინმემ ახალი მეთოდა მოიგონოს. მაინცა და მაინც მე აქ გაჩვენებთ ბატონის ყიფიანის და ეპტუშეგსკის მეთოდის ნიმუშს და გთხოვთ შეადაროთ. თრისივე არითმეტივის გურცს იწყობენ გრუბეს მიხედულობით 『რიცხვთა შესწავლიდამ』, ჯერ 1-დამ 10-დინ, შემდეგ 10-დამ 100-დინ. ხერხებს სწავლისას, რომელთაც ეპტუშეგსკი სმარტბს, თქვენ თან თონ დაინახავთ იმ პირველ გაგეოთლიდამ, რომელსაც აქ ქართულად თარგმნით ამოვწერეთ მისი 『არითმეტივის მეთოდივიდამ.』 ეპტუშეგსკის მეთოდაზედ გაგეოთლიდ პირველი.

აჩვენებს მასწავლებელი შაგირდებს ერთს კუბიკს და ჰერიტავს: «რამდენი კუბიკი მაქვს?» — ერთი, ილებს მეორე ხელში რამდენსამეტ კუბიკს და ჰერიტავს: «ამ ხელში რამდენილა მაქვს?» — ბევრი, რამდენსებულება?

«დამისახულეთ აქ, კუსაში ისეთი საგანი, რომლის გვარიც რამდენიმეა?»

— სკამი, ფანჯარა, ჭიდელი, რვეული, ყარანდაში, გრიფელი, შაგირდი და სხვა.

«დამისახელეთ ისეთი საგანი, რომელიც აქ ერთია მჩოლოდ?» — ჰერი, იატაკი, ხატი, ოსტატი და სხვა.

ეს კუბიკი რომ შევინახო ჯიბეში, რამდენი კუბიკიღა დამჩენება ხელში? — არც ერთი. რამდენი კუბიკი უნდა ავიღო ისევ ხელში, რომ შეონდეს ისევ ერთი? — ერთი. ამოიღეთ თევენი დათები, კაუსვით ერთი ხაზი... და სხვა ამ გვარად უგელა გაცვეთილები.

შეადარეთ პირველი გაგეთიდან ქართული არითმეტიდანამ.

ბ-ნი ყიფიანი სწერა:

მასტავლებელი აჩვენებს შეგირდებს ერთს მარცვალს ლობისა, ანუ ერთს კავალსა, გაშლსა, ან ერთ ქენტესა და ჰეითხავს: რამდენი მარცვალი ლობით მიშეირავს მე (?) ხელში შეგირდი უპასუხება: ერთია.

რამდენი ჰენტი მიშეირავს? — ერთი.

რამდენი ნიცვარტი აქვა: ქათმდა? ჩიტდა?.. და სხვა.

რა ასო აქვს ერთად ერთი: ძალლსა? ცხენტა? თხახა?.. და სხვა ჩამოთვალეთ ისეთი საგნები, რომელიც ბევრი გაძევთ. კოვზენ, ჯამები..

ჩამოთვალეთ, რა გვუაგს სახლში ბევრი, ქამები, ცხვრები...

ჩამოთვალეთ რაცა გაძევთ სახლში თითო, რაცა გყავთ თითო.

ერთი ლობით მიშეირავს ხელში, რომ გადავაგდო, რაღა დამჩენება? არათერი.

ვანლსა ჰქონდა ერთი ატამი და იქიც შეჭამა. — და სხვა სულ ამ გვარად.

არ ვიცო თქვენ როგორ შეხედავთ და ჩემის. აზრით კი ბ-მა ყიფიანმა თვისი არითმეტება გამოსჭრა, ანუ, უკაცრაოდ, ყსურდა გამოეჭრა — არც მეტი, არც ნაკლები — ევრუშებების მეთოდაზედ. ამოწერილი გაგეთილებიდამ თქვენ ცხადად ჭერდავთ, არამდენად ჭირვანს იგინი ერთმანერთს. ორივე გაუგეთი

ჭიათ აზრი არის, რომ მისცეს ბაკშეს ცნება ერთზე და მრავალზე. ხერხებიც ერთი და იგივეა.

მგითსკელი, რასაკერძოელია. ამ შედარებით იმას არ დასკვნის რომ, ვითომც, მე მქონდეს სასეში უიფიანის არითმეტივის დამცირება. სრულიადაც არა. მე მრწამს და დიდს პატივსა ვსდებ. იმ შრომას, რომელიც შემადგენელს გაუწევა; მე მსოფლიდ მინდოდა ფანმემარტა, რა თვალით უნდა შექმნადოთ, ამ შრომას. პირ იქთ, თუ გავიხსენებთ, რა გვარად შემუშავდა და რამდენი ხანა გამოიარა არითმეტივის მეთოდამ, უიფიანის შრომა თავის-თავს უკულაზედ უწინ თითონ დაამცირებდა, უკეთუ იგი არ იქნებოდა შემდგარი იმ მეთოდაზედ, რომელიც არის აღიარებული საუკეთესოდ, უკეთუ იგი აუმცევდა გრუბეს და ეპტიუმესკის გზას. დაუმატეთ ამას ისიც, რომ წიგნის ქართული ფერ-ხორცი აძევს, ესე იგი, არ ეტყობა ბრძა მისამეა, რომელიც ამ შემთხვევაში ძნელი ასაცილებელი იყო და, თქვენ წარმოიდგინთ, რა ფართო ადგილს დაიჭირთ ეს წიგნი ჩვენს ღარის სასკოლო დიტურატურაში.

ხოლო თუ არ დავიღინუებთ მთელს ისტორიას არითმეტივის მეთოდებს, თუ მიუღებთ სახეში იმ მრავალ, ერთომეტრის უმჯობესობას ასეულმდგრანელობას არითმეტივისას, რომელიც რესულ ენაზე არსებობს, არ შემიძლიან დავეთანხმობას. უიფიანის იმაში, რომ, ვითომც, რაკი ქართულ ენაზე არ არსებობს წინამორბედი შრომა ძალიან ძნელი იყოს არითმეტივის სახელმძღვანელოს შედგენა. მთელი სიძნეები, თუ აუცილებლად განდათ იგი ჭირვოთ, უნდა მდგრადარეობეს ტექ-მისოფლოგიას შემუშავებაში ჩვენს ენაზე. რაიცა შეეხება მეთოდას, სისტემას, ფორმულების ასენსა — ამას ჩვენ ენაზედ წინამორბედი შრომა არ უნდა ჩვენში დავიდამ სომ კურ დავი-

წელით საქმეს და ჯერ უსეიორს არ შევადგენთ და მეტე ხეირიანს, რადგან ამას თსოულობს ისტორიული ზოდა ურკველის საგნისა. ეს შეუძლებელია. ჩვენ უნდა გადმოვიდოთ მზა-მზა-რეულად ნაურუი იმ ხისა, რომლის ზოდაში, ჩვენ იქნებ შრომა არც კი მიგვიძლვის.

* *

ზემოდ არა ერთხელ ვასტენეთ, რომ ჩვენი არითმეტივა გრუბეს მეთოდაზე არის შემდგარით. აյ ამას მცირება ახსნა ეჭირვება. მეთოდიურად, სწორედ რომ ვსოდეთ, მარტო ჰირველი ნაწილია შემუშავებული. ესეს პირველი ნაწილი სჭობია უკვე დანარჩენს ოთხ ნაწილს. მეთოდიურის ნაწილს (პირველს) წუნს ვერაში უპოვდით, რომ ბ. უიზიანს გრუბე-ეგტიუშეს-სკის მეთოდი ბოლომდის სიმართლით გაეტარებინა. აյ ჭედავთ თქვენ, ერთს დიდს შეცდომას, რომელსაც უკველად მაღე უნდა გასწორება. ყიფიანის მეთოდაზე ბავშვი არ ექმნება წარმოდგენა რიცხვზე, იგი არ გაივლის პირველ თავს პირველის ნაწილისას, იქამდის, სადაც იწყობა 『შეკრება რიცხვებისა 1-დამ 10-დან』. მინამ კი სრული ათა 『რიცხვის შესწავლა』 მიღის სარგებების ახსნით. სარგებები უნდა შეადგენდნენ «რიცხვთა შესწავლისა გამოიყენების საფუალს ცხოვრებაში და არა საფუძველს. არითმეტივის თვალით რომ შევხდოთ, 『3 საუნია ხომ რიცხვი არც კი არის. იგი არის განსაზღვრული სიგმა და არა რიცხვი. რიცხვი არის მხოლოდ 『3』, როდესაც მითი ვგულისხმობთ სამს ერთეულს ერთმანეთზე და მითვლილს. პრით მეტივის საფუძვლადაც გრუბეს და ეპტეშევსკის ჩქოთ აღიარებული რიცხვი და არა სარგებები, როგორც მოქცეულა ჩვენი არითმეტივის შემდგენელი.

მეორე უსეიორსულობაც იმავე გარემოების გამო წარმოსდგება, რომ პირველი 22 გვერდი მარტო სარგებებით არის აკსილი.

უკველთა, ეს სარგებებით თავის წილ სარგებლობას მოუ-
ტანენ ურმის, მაგრამ იგინი რომ რამე წეზედ უო-
ფილიყვნებ დალაგებულნი, მაგალითებრ: შეურთების სარგებ-
ნი ერთად და სხვა ამ გვარად, უფრო სასარგებლონი იქმნებო-
დნენ. ერთი ნაკლულევანებაც. ამ ნაწილს აკლა საგარეჯოშონი-
თვალთა და სელთათვის, მაშინ, როდესაც ვიცით, რომ რამე
საანგარიშო, შეგნებული უეპირად, უფრო სამუდამო კუთხი-
ლებად გარდაიძლევა ურმისთვის, როცა იმასვე წერითაც შეაგნე-
ბინებთ. მით უმეტეს ეს ადვილი იყო ყიფანის ართმეტიგა-
ში, სადაც უოველი ოცნების განსილვის შემდეგ, შეისწავლების
იქნება მისი გამომხატველი ციფრაც. თორემ, სხვა რომ არა
იყოს რა, გაუგებარია,—რისთვისა სწავლობენ ბავშვები ციფ-
რებს, თუ კი ერთხელაც არ დააწერინებთ იმას, რასაც სარგე-
ბული ანგარიშობენ. ეს საჭმე მხოლოდ მე-23 გვერდზედ იწ-
ყობა:

ამით კათავებთ ჩვენს შენიშვნებს შირველის ნაწილის შე-
სახებ. ამის მხოლოდ ისდა უნდა დავსძინოთ, რომ ეს ნაკლუ-
ლევანება, მცირედ მაინც შეგნებული მასწავლებელისაგან, ადვილი
გასასწორებელია; უოველ მასწავლებელს შეუძლიან გარდაიხე-
დოს იმავე ბ. ყიფანის წიგნის მე-23—35 ფურცლებზედ და
ზოგიერთი საწერი საგარეჯოშონი იქიდამ გადაიტანოს თავში. ეს
მცირედი — შედარებით — ნაკლულევანება არათვერთ. იმ დღედ ღირ-
სებასთან, რომელიც ამ წიგნს ამშენებს. ჩვენ კამბობთ. რომ
როგორც ეს ნაწილი, ისე მთელი წიგნი, საუსეა მშენებით სარ-
რკპეპებით. ეს მით უმეტეს სასამოვნოა, რომ ამ მხრიკ შემ-
დგენელს, მართალია, არაკითარა. წინამორბედი შრომა არა
ჭრონდა, თუ სახეში არ მივიღებთ მასინ ჯე, თარგმანის ეპტუ-
შევაკის სარგებებისას დიდებულიძის მერ...

ვისაც მარტო ქებისა და კარგი სიტყვის გაგონება უნდა ბ-ნი ეთვიანის არითმეტიკზედ და არა მიუდგომელი სფა მის ავ-კარგიანობაზედ, დანახვა მისი, ორგონუ ღირსებისა, ისე ნაკლულებანებათა, იმას კოხოვ შეწერდეს ამ სტრიქონებზედ და ქვევით ნუდარ წაიკითხავს, რადგან, წინადპე კოტუკი, სა-სამოვნოს კელარას ჭილავებს. მაგრამ სახალხო მასწავლებელის-თვის კი, ორმეტმაც დაიწერ ეთვიანის არითმეტიკის ხმარება, ან აპირებს მის შემოღებას, აუცილებლად საჭირო იქმნება ბო-ლომდის ჩამოგვყვეს...

რაკეთ შირველ ნაწილს გასცდებით, ოქებ თვალ-საჩინოდ ჟედავთ, ორმ შემდგენელს სრულიად სახეში აღარ მიუღია არც სახალხო სკოლის პროგრამა, არც კურსის სივრცე, არც საზოგადოდ სასალხო სკოლის დაწინულება. მეორე ნაწილი-დამცე იწყობა სრული კურსი სისტემატიური არითმეტიკისა ბო-ლომდის დამატებით მცირედი რამესა ასტრონომიდამაც (მოვა-რის ანგარიში.) ამ გვარი სახელმძღვანელო, ძალიან კარგა-დაც რომ იუოს იგი შედგენილი, უნდა დაინაშნოს სა-შეალო სასწავლებელთათვის, რადგან იქ გადაინ სრულს კურსის არითმეტიკისას. სასალხო სკოლას უნდა შემუშავებული მეთო-დიურად პროცედურული კურსი; უოკელიყე, რაიც მას დაემა-ტება. მხოლოდ გაადიდებს წიგნის, ფასის დიდს დასდებებს და სა-სალხო სკოლა კი მას სკოლიში გამოიყენება. სასალხო სკოლის კურსი თვით შედაგოვის ქვეყანაში—გერმანიაში შემდგინდა შესდგება: რიცხვთა შესწავლა ასამდის; ნუმერაცია უოკელი რი-ცხვისა და ოთხი არითმეტიკული მოქმედება სრულ რიცხვებ-ზედ, ოთხივე მოქმედება სახელ-დებულ რიცხვებზედ და მარტი-კი დანაწევრები შირველი ასი რიცხვის სფეროში. სასალხო სკო-ლა უკაუთმიაც და ჩვენშიაც (მით უმეტეს) ათასი გაჭირებუ-

ლი მდგრადარეობის გამო ამასაც პერ ასწორობს. მაშასადამე არც ერთი სახალხო სკოლისათვის საჭირო არ იყო აათწილა-ზი ნაწევრები», «შეფარდება», «პროპორცია», «სამს პირო-ბაზე დამოკიდებული კანონი», «შეუწევეტელი ნაწევრი», «შერთული (როული?) პროცენტები» და სსკა-და-სხვა, რო-მელნიც შემდგენელს ჩაურთავს თავის არითმეტიკაში. უკელა ამ მასალამ წიგნის ფასი ღითხ აბაზად გასადა (წიგნი ისე კრცელია, რომ ამ ფასზე მეტადაც ჭიდის, მაგრამ სახალხო სკოლისათვის კი მნელი სახმარებელია ამ ფასის წიგნი), მაშინ როდესაც შემდგენელი რომ დაკმაყოფილებულია მარტო სა-სალსო სკოლის კურსით (რაკი იმისთვის ნიშნავდა), იგი ბევრი-ბევრი რომ აბაზი ღირებულიყო.

წარმოიდგინეთ, ამ მოსაზრების წინააღმდევ ჩვენთვის უთ-ქვამთ: «უითიანისა დიდი მადლობელი უნდა გიუკნეთ მარტო მისთვის, რომ მან შეგვიდგინა არითმეტიკა ქართულ ენაზე-დაო. ძალიან კარგი, მაგრამ აქ სახალხო სკოლა არაფერ შეაშია.

მაინც-და-მაინც, თუ არ დაგიშლიათ, შევხედოთ ბ.ნი უითიანის «არითმეტიკას», როგორც სისტემატიურ ამ საგნის სახელმძღვანელოს, იმის მიუხედავად, თუ კისთვის და რის-თვის არის იგი დანიშნული.

რას მოსთხოვთ ოქენე სისტემატიურ არითმეტიკის სა-ხელმძღვანელოს, თუნდ იგი უუხეიროთაგანიც იყოს. ოქენც მც, უკელა უპირველესად მოითხოვს, რომ სახელმძღვანელომ ცხადად განმარტოს უოკელი არითმეტიული მოქმედება, რომ უოკელი კანონი გამომდინარეობდეს მტკიცე და თვალ-საჩინო საბუთებიდამ; არითმეტიკა ერთად ერთი საგანია საზოგადო სწავლის კურსში, სადაც უოკელი შემდეგი ნაბიჯი გაზომილია,

გარჩეულია, მთსაზრებულია და შედეგი ისე ცხადია ორმელიმე
მოქმედებისა, რომ ეჭვის შეტანა შეუძლებელი ხდება. აქ არის
მათემატიკის დიდი, აღმზრდელი მნიშვნელობა. იგი ოვით აკვ-
ნიდამკე ასწავლის ბავშვს სასტრიკ ლოგიკურს აზროვნობას,
ორმელიც შემდეგში იცით საჭიროა.

სასელმძღვანელო, ორმელიც უსპობს არითმეტიკას ამ
დიდ მნიშვნელობას და გადააჭირეს. დოგმატიურ საგნაზ, საცა,
უფლად განუმარტებლად და აუსინელად, ერთი კანონი შისდევა
მეორეს და აზრად აქვთ შეასწავლონ არითმეტიკული მასალა
რწმუნებით და აკტორიულულის სიტყვით, ჩემის აზრით,
სარგებლობას კერ მოიტანს. ასეთს სწავლას ამ ცხოველის
საგნისას შეუსწავლელობა ათასჭერ სჯობა. გადასინჯეთ სულ
უხერო რუსული სასელმძღვანელოება, თუ ან ერთი ნახოთ
ამ გვარი. იქ უკეთა ასინას და განმარტებას აჭრებს უურადღე-
ბას, ხოლო, რასაკირკელია, ერთნი ახერხებენ ამას მეტი ის-
ოსტატობით, მეორენი ნაკლებით.

მოგვუას მაგალითები: მეორე ნაწილი. შეკრება (გვ. 93).

«მაგრამ, როდესაც დაგვჭირდება მრავალი რიცხვის. შეკრება,
რომელთა გამოცნობა გონიერია გაუჭირდება, მაშინ, რასაკირკელია,
წერით ძლიერ აღვილად შეგვიძლიან ახსნა; ვთქვათ, გვინდა შევი-
ტყოთ რამდენი იქმნება $245+183+292=$; $136+292+443$
 $+151=$. ამ შემთხვევაში ვმოქმედობთ ასე, რომა ყოველ სსენტილი
რიცხვისა მოუწერთ ერთი-ერთმანეთს ქვეშა: ათიანები ათიანების ქვეშა და
ასიანები ასიანების ქვეშა; შემდგომ გაუსვამთ ქვეშ დაწენილს ხაზსა
და შევკრებავთ ჯერეთ ერთიანებსა, მერე ათიანებსა და შემდეგ ასი-
ნებსა.»

ტუგილად მოსმებნით მის ახსნას, თუ რად კმოქმედობთ
ასე, და არა სხვა გარად. ამ გვარადვე ისწავლების გამორიცხვა.
მაგრამ აქ კიდევ ერთი სხვა რამ არის შესწიშნავი: მოწაფე

დაერწმუნა ოსტატს, რომ გამორიცხვაშიაც მცირე აიცხვი უნდა დაიწეროს უდიდესის ქვეშ და მერე გამოირიცხოს. 840-დამ ბ-ნი ყიფიანი რიცხვის 550-სა და ამბობს:

«ნულიდგან ნული იქნება ნული, 4-დგან 5 არ გამოირიცხება, ამისათვის 800-დგან ვისქსხებთ (რომ არ გასესხოთ სესხება ხომ ნება-უოფლობაზე) ერთს ათანსა (აქ ალბად კორრეკტურული შეცდომაა. უნდა იყოს «ერთ ასიანსა») და მიუმატებთ ოთხსა და შეიქმნება 14. გამოვაკლოთ 5, იქნება 9, რომელსაც ვწერთ 5-ს ქვეშ».

აქ რამდენიც სიტყვაა, იმდენიც შეცდომაა. უნდა ოშმულიყო ასე: 8 ასიანიდამ აკიდოთ ერთი ასი, დაკას-გრძელაკოთ ათანებიად 1-დი ასიანი შეიცვას 10-ს ასიანს და ჩენა გრაქვს 4 ათანი, შეგვიდგება 14. ათანი (და ას 14). 14 ათანიდამ რომ გამოვრიცხოთ 5-თი ათანი, დარჩება 9 ათანი (და ას ცხრა). ამ ცხრა ათანს კსწერთ ათანების აფაგას, ესე იგი მეორე აფაგზედ. აი ამას გაიგებს ოსტატიც და შაგილდიც:

ახლა გამოავლება.

55
× 11
55
55
605

ამას ბ-ნი უიფიანი ასე უხსნის შაგილდს:

1-ჯერ 5 იქნება 5 და 1-ჯერ 5 (რის ხუთი? ქს არის ხუთ ათეული და უნდა ითვას 1-ჯერ 5 ათეული.) იქნება 5. 1-ჯერ 5=5 და 1-ჯერაც 5=5.»

გამოვიდა, ბატონი, ოთხჯერ 5=20 და ას 605. ჩვენში ას გამოუცდელ მასწავლებელზედ ერთი დახელოვნებული მღვის მოვა და ძალან ადვილად შეიძლება ამისთან განუ-

მარტებელმა ბაასმა არითს, როგორც თატარი და მოწაფენი, ისე თვით სწავლება და მისი წესიც.

ასეთს წესზევა დაწერილი «განუოფაც». ახლა რიცხვი განუოფილება (признаки дѣлности).

«რიცხვი 3 გაჭუოვს უნაკლულოდ ისეთს რიცხვს... და სხვა» წესია დასახელებული და არ კი ისენება, საიდამ სწარმო-ლბს ასეთი წესი, რა დაკვირვებას გამოჰქიცეს იგი. აგრძელებულ არის ასსნილი, რად იულფება უოკელი რიცხვი 5, თუ იგი დაბოლოვდება ნულით. ერთის სიტყვით, არც ამ მუხლში ისსნება რამე. დაკუკეთ ქვეპით. 3 ჩერჩხელა (ეს სიტყვა პალიან ხშა-რად იხმარება) ბ-ნ ყიფიანს სახელ-წოდებულ რიცხვად მიაჩნია, როდესაც არითმეტივა სახელ-წოდებულ (именованыя) რიცხ-ვებად სთვლის იმათ, რომელთაც უზით სახელი რომელიმე წონისა, ან ზომისა. შაგალითებრ, 5 საუენი სახელ-წოდებული რიცხვია და 5 თავი ნიორი კი არა, არითმეტივის შეხედულობით.

ნაწილი მესამე. ნაწევარი. ნაწევართა შეკრძისათვის.

«პირველად უნდა აღმნიშვნელს დახედო. თუ შესაკრებ ნაწევარს ერთ ნაირი აღმნიშვნელი აქვს, მაშინ მსოლოდ მრიცხველები უნდა შეკრიბო და აღმნიშვნელი უნდა მოუწერო უცემლებლად».

შემდეგ მაგალითები და სარკვეპები მოსდევს. რად უნდა მოვიწეროთ ასე და არა სხვა გვარად — ამის შესახს ნუ ეფოდებით.

რომ მკითხველი არ შევაწეოთ, აღარ ამოვწერთ ნი-მუშებს ბ-ნი უიზიანის არითმეტივიდამ; ამ გვარ ვარჯიშობის ბოლო არ ექნებოდა. კატუკით მხოლოდ, რომ ვისაც ჭიროს, ზემო-ნაჩვენებ გარდა, სხვა ნაკლულევანებანიც შენიშნოს, გადა-

შალოს თვით წიგნი, დაიწყოს მეორე ნაწილიდამ და ჩაჭერის
ბოლომდეს. უოგელ ფურცელზედ საკმაოდ ჭროვებს ჩვენის
აზრის დასამტკიცებელ საბუთებს. გასინჯეთ, მაგალითებრ,
«ჩვეულებითი ნაწერის გარდაშეცვა ათწილად ნაწერებად»,
«დამოკიდებული ნაწერებია», «პროპორცია» და სხვა.

დასასრულ, ერთი გარემოებაც. 452 გვერდიან წიგნში,
სადაც «ნაწილები», პარაგრაფები, თავები ერთმანეთში არეუ-
ლია, და, რამე ადგილის პოვნა რომ გინდოდეთ, მთელი საა-
თი უნდა ეძებოთ, სარჩევი არ მოიპოვება.

მიხ. ნასიძე.

ჩ ა რ თ ვ ე ლ თ

ძველებური საერო გართობა-ასპარეზობანი

თითოეული ჩეენგანი ცალკე და უკელანი ერთად, ვალდებული ვართ ხელი შევუწყოთ ჩეენის ხალხის ყოფა-ცხოვრების ყოველ-მხრივ შესწავლას. როგორც კერძოდ ცალკე პირის, ისე საზოგადოდ მთელის ერის სიფხიზლისა და სალიანობისათვის პირველი ადგილი უჭირავს სხეულის ვარჯიშობას, სხეულის მოძრაობას, მაშააღამე გართობასა და თამაშობასაც. ამისათვის საჭიროა გაეიცნოთ ძველებური გართობა-ასპარეზობანი, რომ ზოგიერთი მათგანი კუალალ აღდგენილ იქმნას. ასე რომ, ძველებურ გართობათა გაცნობას ჩეენთვის ამ შემთხვევაში უფრო პრაკტიკული მნიშვნელობა ექმნება, ვიდრე საზოგადო ისტორიული.

მეთვრამეტე საუკუნეში, ერევან II დროს, თვით ერევანეს ბრძანებით გადავარდა რამდენიმე გართობა-თამაშობანი, სხვათა შორის უაბასი.

კ ა ბ ა ხ ი. ა 0 რასა სწერს ჰე. ითხელიანი უაბასის შესახებ: «ქალაქის ზღუდეთა ჩრდილოთ, მეფის იესეს სასახლის ჰირდაპირ, იუო ჭიპპოდრომი, ესე იგი საცხენოსნო სარბიელი, სადაც იმართებოდა აგრეთვე სხვა-და-სხვა სასალსო თამაშობანი და სამხედრო გარჯიშობანი. ძველად ამ ადგილს ერევან ასპარეზი, ე. ი. სავარჯიშო ადგილის შემდეგ დაარტევს უაბასი, რომელიც სპასული სიტუაცია და ნიშნავს ანბას. ამ ანბას ზე-

ვით თავზე სდებდნენ სოლმე საჩუქარს. ეს საჩუქარი იმას ხვდებოდა, ვინც აღნიშნულ ნიშანს მოარტყამდა.¹⁾ ერთი ამ გვარი ანძა სენებულ საასპარეზო გამლილ მოედნის თავში იყო და მეორე — ბოლოში. ანძებზე ანუ თალარებზე საუკეთესო მეისრებისთვის დასკამდვნ სოლმე გეცტლის და ოქტოს თასებს. ამავ მოედანზე იმართებოდა ბურთაობა, მარულა და სხვა სამსედრო ვარჯიშობანი. ეს მოედანი სიგრძით იყო 250 და სიგანით 120 საუ.. 1820 წლიდამ ამ მოედნის ნახევარი მოაშენეს ბერძო და სახელმწიფო სასლებათ. დანარჩენ ნაწილს დაერქვა აღექსანდრეს მოედანი.²⁾ როგორც ვიცით, რაც თავისუფალი ადგილი დარჩა უწინდევლ საასპარეზო მოედანზე კავშირის მთავარმმართებელმა, თ. ბარიატინსკიმ, გააშენება ბაღი. ეს არის ახლანდელი აღექსანდრეს ბაღი თბილისის შეა ქალაქში, საჭუროვ მისი ქვედა ნახევარი.

ჩენი ჩინებული პოეტი, გრ. ორბელიანი ამბობს: «უასის თავსა და ბოლოს იდგნენ რონი ქვანი, რომელთა ზედაც დასმიდნენ თასსა და ესრობნენ ჯირითს, და ვინც მოარტყამდა, თასი იმისი იყო ჯილდოდ გამარჯვებისათ.³⁾ ჩვენ ჩივიცით, ვის დაგუჭეროთ: სამიზნო თასებს ქვებზე დასმიდენ, როგორც გრ. ორბელიანი ამბობს, თუ აგურისაგან განგებ აშენებულ ანძებზე, როგორც პლატონ ითსელიანი სწერს. წარსულის წლის გაზეთ «გავაზში» (№ 173 და 174) ქართველების ძველ გართობათა ამწერლი ამბობს: «ერთი ამ აგურის თა-

¹⁾ ანძა ანუ თალარი იქნ აშენებული აგურისაგან.

²⁾ იხ. პლ. იოსელიანის «Описание древностей города Тифлиса» გვ. 266.

³⁾ იხ. მიხი ლევსები, გამოც. 1880 წ., გვ 15. შენიშვ. I.

დართაგანის ნაშთი კიდევ სჩანდა ამ საუკუნის დამდეგსთვ. თუ ეს მართალია, იმ შემთხვევაში პლ. ითსელიანს უნდა დაკუთანხმოთ.

თასები სადაც უნდა მდგარიყენ, მაინცა-და-მაინც საჭირო არ არის კიცილდეთ, მაგრამ ეს კი დარწმუნებით კიცით, რომ უაბახზე ჯირითის და თასების სროლა მშვენიერ სურათს წარმოადგენდა. გარდაიკითხეთ ეს მშვენიერი სტრიქონები, რომ-ლებშიაც ისეთის გულის ძეგრით და აღტაცებით გვიხატავს პოეტი საზოგადოდ ცხენზე კარჯიშობის და განსაკუთრებულ ყაბახის სროლას. პოეტი მიმართავს თავის დარღვევის და ნატრულობის:

«გისმენდე: თუ ვით, დღესასწაულსა,
შექცევით, დჟანით, მოწოდებულნი,
ჭაბუკ-მხედარნი უაბახსა კრცელსა,
ვითა საომრად მომზადებულნი,
ვით აფეა ოგული ცხენზე უძრავად,
მოჭქრიან ქსრედ, ვითა ნიავი.
ჰერეს ნაღარასა — განიუგნებ არად:
აქა, საამო სჩანს სანხავი!

ცხენთა თქორიალი, შებთა ტრიალი, ჭირითთ სრიალი, უურთ-
მაჭთ ბრძალი, უზანგთა ცემა, ცხენითგან სტომა, კვალნდ ზესტომა და ხმალთ
ქრიალი!...»

ჩაიკითხეთ ცოტა კიდევ ქემოდ და გაიგებთ, თუ რო-
გორ სელ-მარჯვე სროლას ქჩერდნ ამ ჭრჯიშობში ქარ-
თველები:

«ზოგი არწივსა,
ზეცას მფრინავსა,

ისრითა მშენეთოთ განუშობს გულის,
ჯირითი ტოვის
ზუზუნით მოქმერის—

და მოხვდა ჭავაზე თასს ნიშნად დგმულისა.»

მეფე თეიმურაზი სწერს თავის ლექსებში ქართველების სახვა-და-სხვა ჩვეულებათა და გართობათა შესახებ. სხვათა შორის თეიმურაზი ყაბასსაც გვიხსატავს შემდეგი ლექსში:

«როდის იქნების ქორწილი, ან სხვა დღეობა კარგიღ,
ყაბახზედ ოქროს ვაშლს შესმენ, ძეირფასის იუთა ვარგიღ.
ძვირად დაკაზმული ცხენს ისხდენ, ზედ არ ეკიდოს ბარგიღ,
დ კურტავიანთა⁴⁾ კაუთა თჭვან: სროლაში, მკლავი, მარგიო! მ
«ცხენს ისხდენ კარგსა დაკაზმულს, რახტითა, უნაგრითალ,
მძიმეს ნაკერით ორთუქით⁵⁾; ბუშტით და უუთაზითალ,⁶⁾
კაუ-კაცთა ეციასთ კურტავი ბრტყელისა ტორტებითალ:
დ დაუწეულნ სროლა ყაბახსა მათ ცხენის ჭენებითალ.

«ასე უნდა მის დღეს კაცმან ამ გზით სროლას ეცადოსა,
მგლავზე მშვილდი შემოიცვას, წელს უოდალი⁷⁾ გაირწოსა,
ცხენი შემრას, პირებელ მშვილდისა სელით ფეში⁸⁾ მან უყოსა,
დ მერმე უოდალს ხელი მიჰყოს, კილოს მაგრად დაზიდოსა.

«უნდა მშვილდი დაზეული ცოტა ხანი გაატაროს,
ჩქარად მიდგეს ყაბახზედა, ცხენი აღარ დაზაროს,
ყაბახს მუხლი დააცილოს, მაშინ უნდა გარდეხაროს,
დ ესროლოს,—თუ ჩამოაგდოს, თავის გული გაახაროს.

⁴⁾ მეომრის წელ-ზევითა საცოლელი.

⁵⁾ ორთუქი ანუ ორთუკი—თაქალოთ, უნაგირის ქვეშ საფარი.

⁶⁾ უუთაზი—აბრეშემის ქსოვილი.

⁷⁾ უოდალი—ისარი.

⁸⁾ ფეში—მზგავსი.

დასე უთქამისთ, მისვლა სჯობსო უფრო ჩამოვდებისაგან. თუ ორივ სჭირის, ხომ ისი სჯობს, უფრო იქთს ბეკრისაგან. სანამდის არ ჩამოაგდონ, არ მოეშვნენ სროლისაგან.

დ მას დღეს დმერთი ვისაც მისცემს, მოხვდეს მისის სელისაგან.

«ვინც ჩამოაგდებს ოქროს ვაშლს, მართმევა მეფეს წინადა: ფიცხლავ ჩაატანა თავიდამ ფეხსამდინადა». ⁹⁾

თემურაზის აწერილობა, როგორც ვხედავთ, დაწვრილებით გვისატავს ყაბახის სროლას. გარეგანი აწერილობის გარდა აქ ასალს იმას კრისტელობთ, რომ სანიშნოდ დასმულს თასს ესროდენ ხოლმე ცხენის ჭენებით: მოიგდებდენ გაჭინებულ ცხენს და შორი-ახლოდამ ესროდენ ისარს. თემურაზი ბატონიშვილის სიტყვები:

დასე უთქამისთ, მოსვლა სჯობსო უფრო ჩამოვდებისაგან. თუ ორივ სჭირის, ხომ ისი სჯობს, უფრო იქთს ბეკრისაგან»,

ეს სიტყვები, მე მგონია, იმას ნაშენენ, რომ თასის სროლა რო-ნაირი უოვთხა! ერთო—გაჭინებულ ცხენის მიგდება ყაბახზედ და მას სროლა. ამ შემთხვევაში ისრის სროლა მოგვარეობს ჯირითის სროლას. მეორე—ალბად ცხენის, გაუჭინებლად, ნაჩვენებ მანძილზე დადგებოდენ და ესროდენ უზახზე დასმულ თასს.

თემურაზი სხვების წინააღმდეგ ამბობს, რომ ყაბახზე დასკამდენ ოქროს ვაშლსათ და თასს ვი სრულიად არ ახსენებს. თემურაზივე ამბობს, რომ ოქროს ვაშლის ჩამომგდებელი მეისრე საჩუქრად მიიღებდა მეფისაგან სალათსათ. სხვები კი (მაგ. გრიგოლ თობელიანი) აჩვენებენ, რომ ვინც თასს მოარტყამდა, საჩუქრად იმ თასს კე მიიღებდათ. თემურაზის ზო-

⁹⁾ იხ. ლექსი თემურაზისაგან თქმული, 1852 წ. «ცისკარში» № № 6 და 7.

გირო ჩვენებას არ ეთანხმება აგრეთვე არც ვახუშტია. ეს უკანასკნელი სწერს, რომ უაბახობა ჩვეულებად ჭრონდათ ქართველებს აღდგომა დღესაც. დანარჩენს კი გიაჩვენებს სისების თანახმად, გარდა თეიმურაზ მეფისა. არ თვით ვახუშტის სიტყვები:

«ხოლო აღდგომის წესი იუთ ადრე ნათლებისად წირვა, და შემდგომად წირვისა მცირედითა სანოვაგითა ხორცითა აღისხინდიან შირთა მეფე და დიდებულები. შემდგომად გამოვიდის მეფე და ურველინი წარჩინებულები და მცირებულები ასპარეზესა ზედა და დასკიან სამეფო თასი ოქროსა ანუ კერცხლისა ყაბახსა ზედა და უწყიან სროლა მას თასსა. ისარნი მოუმეტა და ჭაბუკთა, და რომელი ჩამოაგდის იკრითა, მას მისციან თასი იგი. »¹⁰⁾

აჟა, აგრ მკლავმარჯვე ჭაბუკმა ცხენი შეათამაშა. ჭაბუკ შეენის ცხენზედ, კით აღვა რგულია. მშეილდ-ისარი მოიმაგრა, ცხენს ჭესლი ჭრა და ფეხმარდი ცხენიც ტუკიასავით გავარდა. ჭაბუკმა ერთი მამაცურად დაჭვიუინა და უაბახისაკენ ნიავსავით მიჭროლდავს. არ, ერთის თვალის დახმისმებაში, იგი გადეც დაუბირდაბირდა ყაბახს. წამს მარდად გადისარა წელში და მშევლდს მაგრად მოზიდა. ისრის გაშება და თასის ძირის წამოსკვლა ერთი შეიქმნა. ურიცხვმა მაუგურებულმა სალხმა ერთხმად იგრიალა და უდეინისა და «ბარაჭალას» ძახილის ჩმა გრგვინვით გადსმა ჭაბუკი. ხალხი შეინძრა ბევრმა მოისრე ყმაწვილებმა ჩაღუნეს თავი. ბედნიერ გამარჯებულ ჭაბუკს კი სრული მხიარულება უმრწყინიავს სახეზე: მას სკდა ოქროს თასი, მეფის საჩუქარი და უურადღება მეფისა და მთელის მაუგურებულის საზოგადოებისა.

¹⁰⁾ იხ. ვახუშტის გეოგრაფ. აღწერილობა საქართველოსა, გვ. 32—34: «აღდგომისათვის.»

ბურთაობა— მით თავდებოდა კაბასობა. ამას მაშინვე
მოაუთლებდეს ბურთაობასა. ამ თეომურაზი როგორ აგვიწერს.
ამ გართობას:

«დაამზადებენ საბურთლად კაუ-კაცებს ჩოგანითადა,

და ცხენს კაცსა შეადარებენ წილისა მოღებითადა.

აორად გასურთენ, თვითოს მხარეს თანმეტეს იქმოდენ კაცებსა—
მოაუწოდას კაცს თავზედა მას დღეს მისცემენ ფარჩებსა,
ზედ გარდაშლიან ფერადსა იქით და აქეთ მაუებსა ¹¹⁾.

ამ მათოვის სასმელად შარბათსა თუღუბით დასდგმენ საკესა.

«მოაურთლებს ბურთი შეუგდონ შეუზედ მოედანსათ,

იწყონ მოჭირვით ბურთობა, ცდილობდენ გარდახრასათ,

ზოგი სცემს შიგნით და ზოგი ნაპირს ურბენდეს გზასათ:

ამ გამოვარდეს გარს ბურთი, ეცადოს მოტაცნასათ.

«მაშინ გამოჩენდეს, კინც იუთს მაუამდე ბურთის წამლები,

ეცადოს დაბრუნებასა სხვა კაცი სელის დამლები,

სელუეულმათა შემოკერას მაღალი თავის საკლები,

რა დაუბრუნოს მას ბურთი, იქნების გულის საკლები:

«კინც იცის კრეგად ტაცნა, ცხენის უელს არ აცილოსა.

ასე უნდა გარდეხაროს—თავი აღარ აღოსტა,

ბურთი ჩოგნისა ცემითა მაუამდინა წაიღოსა,

ამ სელ-გარდაუთვით შემოკერა ზნეობაში ჩაიგდოსა.

თეიმურაზი განჯობობს შემდეგ:

«გამოჩენდეს სადაცის ცოდნა ჯრასა ¹²⁾ და ბურთობაშია,

კინც ამ რიგად იბურთებს, იქნების ამსხავშია.

რომელიც იქით და აქეთ გააძერენს ბურთს მაყაშია...

ამ ჯობის ეს არის—გახვეგენ ფარჩებსა აღებაშია.

11) მაუე—სვეტს ერქვა, რომელიც ადგა მოასპერუზეობას და სასვენებლად დანიშნულ ადგილს.

12) ჯრა—ჯარი, ჯგუფი, ვიწროობა.

დაღულ თვითო თვითომან, ამსახაგს ვინც აჭობოსო.

ცხენს აჭენებდენ, იძახდენ: მჯობი კარ ამსახაგისო!

ჩვენ შევიქნებთ წითლისა ფარჩით შემხვევი ჩოგნისო!»

ვახუშტიაც მოგვითხრობს ამ თამაშობაზე, ესე იგი, უახასობის შემდეგ ბურთაობაზე. ის გვიჩვენებს, თუ ოოგორი ჩვეულება ჭრონდათ ქართველებს, ამ ბურთაობის შემდეგ. «შემდგამად ამისა (ე, ი. უახახობისა) — ამბობს ვახუშტია — შექმნიან ბურთობა, და ოომელმან მსარემან აჭობოს, იურ მსარე-თალარნი სამეფონი, და მისცდან მათ თვითოთა თვითო (ეგრეთ ეჭორწილისა და გამოჩვენებისა დღესა შინა უვიან ესე ასპარეზსა ზედა). მერმე შემოვიდიან მეფისათან და შექმნიან ნადიმნი და ჰურობანი დიდი, მგოსან სახიობითა, ¹³⁾ არამედ ქათალიკოზნი და ეპისკოპოსნი ვიდრემდის იუგნენ მუნ, არა იურ მწყობრთა ძალთა ცემანი, არამედ გალობანი. ხოლო შემდგომად წარსვლისა შათისა იურ მგლასანთა, მომლერალთა და უოკელთა სახიობათა ცემანი. ¹⁴⁾

განვაგოძობ მეც თეიმურაზის სიტყვებით:

«ეს კი გათავდეს, სხვა რიგი ვსოგვა ბურთის თამაშობისო. და მოვიყვანთ იმას, რასაც თეიმურაზი სწრეს. თეიმურაზი ამ ვართობას უძახის რაღრაბაგანს.»

რადრაბაგანი. აი თვით თეიმურაზის აწერილობა:

«ერთდ აოის ურა იურთობა, რადრაბაგანს უძახიან.

გაღრითის ბურთის უფრო ესე, ზნებიაში ჩააგდიან.»

¹³⁾ მგლანი — დამკვრელი, მემსიერ; სახიობა — სიმღერა, საკრავთა ტკბილი. ხმა, მომლერალთა დასი, საზანდარნი.

¹⁴⁾ ვახუშტის «გეოგრაფ. აღწერა საქართველოსი» გვ. 32—34. «აღდგომისათვის».

ბეჭრს კი არა, სამს-თხსს ქარგსა მებურთალსა შეიძლიან,
დოთხისათვის სათამაშოდ ბურთი მიწას გააგდიან.
«ის არის, ვინც რომ ცხენს მაღლე ბურთი აღდოს. ჩოგნითა,
უნდა შეიგდოს მან მაღლა ცხენისა თამაშობითა.
რომ ჩამოვიდეს, სელფიცსად მიუხდეს კაის ცოდნითა,
და ბურთი შესტეს, შემოჭერეს ხელრადათ¹⁵⁾ მაღლა ტყორ-
ცითა.

«ბურთი შეიგდოს, ეჭხდოს მერმე ფეშრუბის ქსნასადა,
სანამ ჩამოვა, დაასწრების ჩოგნისა შეგდებასადა.
ჩოგნისა ქათალმალუყი¹⁶⁾ კვრამდინა დაასწროვსადა.
და ის ჩამოვიდა სამჯერა ზედი-ზედ თუცა კრაგსადა.
«თრი რადათა, მესამედ უნდათ წინ ამოვკრინილ,
უნდა დაასწრას ამოვკრას ქიჩილოვიას¹⁷⁾ ქნანილ.
ესები ჭქნას, შესძასოს ჭე ჭევის ხმანილ.
დასრულდა ეს, სომ დორ არის აშ სხვის ზნეობის თქმანით.»

მაგრამ, მინამ სხვა ზნეობაზე თუ თამაშობაზე დავიწყებ.
დერ დაპარაკეს, ჭერ ცოტათი შეკერდეთ იმ ბურთობაზე,
რომელიც ეხლა მოვისენეთ.
თემურიაზი ამ ბურთობას ეძახის რადრაბაგანს. რო-
გორც აწერილობიდამ სჩანს, ეს ის თამაშობაა, რომელსაც
ბერძენოვი და სხები არქმევენ ჩოგანს.

მოგზაური ფრანციელი შარდენი იურ საქართველოში მე-

¹⁵⁾ რადი—მრუდე.

¹⁶⁾ ქათალმულუყი — ჩოგნის ზეგურ აგლებას და ტრიკლუ-ტრია-
ლით წამოსვლის უნდა ნიშნავდეს.

¹⁷⁾ ქიჩილოვია: ს. ს. ორბელიანს აქვთ ქიჩილორია, — ჩოგნის
მებრუნება.

17 საუნენეში (დასლ. 1670 წ.) და იმას მოჰყავს კათოლიკე ბერის-ლამბერტის¹⁹⁾ აწერილობა ამ თამაშობისა. აქედამ სჩანს, რომ ჩოგანის ბურთაზის ღრცეს ცხენოსნები დაქმწერი-კებოდენ. ერთი ძროგანი, რომელიც კიდეში დგა, ააგდებდა ბურთსა და მისი შეზობელი ცდილობდა მოერტყა ბურთისთვის ჯოხი (ჩოგანი). ის ცხენოსანი, რომელსაც უკანასკნელად ხედებოდა ბურთი, დგბოდა სოლმჯ შირველ ადგილას და იწყებდა თამაშს.²⁰⁾

ახლა კი გავიმეოროთ თეიმურაზის სიტყვები:
დასრულდა ეს, ხომ დრო არის აწ სხვის ზნეობის თქმა?
ნიო?

აშფაშაგი. ასე აშბობს თეიმურაზი და აქაც მოჰყავს ერთი ცხენოსანთ თამაშობა, რომელსაც ის აშფაშაგს ეძახის:
ერთია კარგი ზნეობა, სოლლა კსოვეა აშფაშაგისა.

პატარა დასვენ ნიშანი ქაღალდის ანუ რაცისა.
როგორც უაბასზე მოსვლა არა, მასზედაც ისრე არისა:
ა დაზუეთ მივა ცხენფიცხად, ხელმობრუნებით ესვრისა.

აქაც თეიმურაზი აგვიწერს ერთს ცხენოსანთ თამაშობას, რომლის აწერილობა სხვაგან არსად მინახავს, აი როგორ თა-
მაშობას გვიხატავს თეიმურაზი:

ცხენების ჭენება. ასხვა გითხოა კიდევ, მოედანს ცხენს
როგორ გაჭენებენ.

თას კაცს ცხენიანს ერთს იქით, ერთს აქეთ დაუმენებენ,

¹⁹⁾ ლამბერტი იურ მისიონერად სამეგრელოში შარდენის დრო-
ვი და ეს თამაშობაც სამეგრელოში უნახავს.

²⁰⁾ „Кавказъ“ 1868 წ. «Италіянцы на Кавказѣ», Ге-
оргій Казбека, № № 72, 73, 78.

შეუზედ გზასა აგდებენ, კარს ასე გაფეობენ, —
დასძრენ ცხენსა, ჰევრენ მათხახსა, ჯერ თავს არ დაანებებენ.
ამირველ თავის შანახვითა ცხენი ყოროთ მიტყვანდესა,
თა მოვიდეს კარის ახლოს, იქ მათრახი ვიდევ ჰევრესა,
გასარბენდად კარზედ ფიცხად ცხენს დააყრის სადაცესა,
და მესამეს ჰევრას, გადენ აზევს რა რომ კარსა გასცილდესა.

* *

ჯირითი. საცხენოსნო გართობათა შორის კიდევ დაგრძნეს
ასაწყობდეთით, რომელსაც ახლაც ჭირითობას ექმახით. თუთხმეტი
ას ოცი წელი იქნება, რაც ეს გართობა გადავარდა თბილისში. სოფ-
ფებში კი ახლაც არის, უფრო სოფლის დღეობებში, ქორწილში
და ხატობაში..., თბილისში ჭირითობა იმართებოდა ამაღლებას
(თელეთობას?), ქალაქის სამხრით ქარების გარედ, როთა ჭალის
გზაზე. ჭირითობა იმართებოდა ამაღლების შემდეგ პირველ
ხუთშაბათს, წმ. დავითის ეკლესიის დღესასწაულს ანუ მთა-
წმინდობას, იქ სადაც ეხლა გალავანის პრისტეპტია. ხანდის-
სან ჭირითის მართავდენ თბილისში აგრეთვე აღდგომის სწორი,
ახალ-კვირას ანუ კვირაცხოვლობას. საასპარეზო აღილად მი-
ჩენთი: იურ ყაბახლა მოედანი. მოსსენებულ დღეობაში აქ შე-
იყრიდა თავს ქართველი ახალ-გაზდობა ქართლიდამ და კახეთიდამ.
იმათ უცვათ ხაკერდის ქედაჭები და ისხდენ მდიდრულად მო-
გაზმულ ცხენებზე. ამ გართობაში იღებდენ მოხაწილეობას აგ-
რუთვე მუსულმანის ბეგანი და აღალარები ²¹⁾).

საქართველოში ჭირითობა კირნებზე სრულებით გადა-
ვარდა და ასაად იციან. იმერეთში კი ახლაც შეხვდე-
ბით ჭირითის, მაგრამ იქაც იშვიათად, ჭირითობა ხან-

²¹⁾ „Кавказъ“ 1882 г., № № 173 и 174.

დისხან დიდ კარიანობაში იმპოტება იმერეთში, მხერამ უფრო კი სამეგრელოში.

ვსოდეთ, დღეს ორმედიმე სახალხო დღეობაა. გარეთ სა-
ჩილის შემდეგ მასპინძელი და მისი სტუმრები, ტებილი ღვი-
ნით წრინდ გამართული და გამსიარულებული მისწრაფების
ჩანიშნულ მინდვრისაც, «ჯარში. ა ქალი და კაცი, დიდი და
პატარა—უკეთანი მიდანი, ვინ ა ჯარის» საცემად და ვინ სა-
თამშოდ, ისე რემ სახლში თითქმის მცველადაც არავინ რჩე-
ბა. უკელა ასლო-მასლო სოფლებადამ გაუწყეულად მოდის
სალსი გუნდ-გუნდად. ბერი წილი ცხენოსნები არან, უფრო
უცეტესი — ქვეითი. აგრ აქედამ ცხენებს მოასტუნებენ და მოა-
თამშებენ, იქიდამ მოღილისობენ და მოიმურან.

ამ, ფართო გამლილი მინდორი სოფლის ქა-
ლით და კაცით. აგრ ჟიქედაუ აცს ორმოცვილე კაცს ფართო
წრე გაუკეთებიათ და ფერსულს უკლიან: ჩაჭიდნიათ ერთმა-
ნეთისოვას სელები, უკლიან წრეს ფეხების თამაშით გარშემო,
სან მარცხნივ სან მარჯვენივ და მღერიან საფერსულო სიმღერას
ოთ-პირად. წრეს შიგნით, შეაშა ჩამწყვდეულან პატარა ბიჭები.
და ისინიც დასტიან და ჟიკიან. აგრ მრავალ-მროვან ცაცაკის
ძირში მეორე უფრო დიდი და ფართო წრე. აქ უფრო ბევრი
სალსია. ქალი და კაცი მჭიდროდ გარს შემორტყმია წრეს და
უკელა ცდილობს წრეში ჩაიხედოს. ²²⁾ წრეში ვი აა რა ამბა-
ვია. ერთი ჩასუქებული შავ-თვალი სოფლის გოგო გასურებუ-
ლი დაირას აგრიალებს და სხვები რაში უერავენ. ფართო წრე-

²²⁾ პატარა ბიჭები და გოგოებიც, სიმღაბლის გამს რომ ვერა-
ფერი დაუნახავთ, ცაცრცე შეცვინულან და, შტოებზე გადმოწლილინი
ჩასცერიან წრეს.

ში მშენდენი ქაღ-გაურ ლეგურს უკლიან; მოლეკურე ვაჟი შე-
ვარდეს სავით დაცუქერის დარცხვენილ ქაღს, თითქოს მოტა-
ცებას უპირებსო, ორგორც მტრებს შავარდენი.

ამ დროს შეხედეთ—ასაღ-გაზდა მეგრელმა ცხენს უპან
დახხევინა, მერმე ჭკრა ქუსლები, მათრასიდ ჭკერში გაატეაცუნა
და გაიგდო წინ ცხენი; ესე იგი გააკეთებდა ცხენს «კიშმინი». ა
მერმე დასწია მაგრად აღვირი. ცხენი აუკლეა წინს ფეხებით
და უქანათი სარივით დაესო მიწზე და მერმე ისკუპა და გარ-
დახტა წინ. გააკეთებდა ეს მალაყი (salto mortale) ოუ არა,
უძაწვილმა ერთხელ კიდევ გაატეაცუნა მათრასი ჭკერში და გაა-
გოგმანა თავისი ტან-მორჩილი, მაგრამ დამაზი ცხენი. ჩაუკარა
მეორე ასაღ-გაზდა ცხენთსან მეგრელს. და გამოიწვა ჭირით
ში; უქანასკნელი მხიარულად გავიდა საჯირითოდ. როთა კეტ
გამოსჭრეს მოკლე ჭოხები (ჭირითები) და ზოგი წელში გა-
ორჭეს და ზოგი სელში დაიჭიდეს. მერმე ერთი ერთ მსარეს
დადგა. და მეორე—მეორე მსარეს, ასე რომ ოცი—ოც-და-ათი-
ოდე საერნი მანძილია მათ შორის. ჭერ მარტო ეს რომ გა-
მოეთამაშენ ერთმანერთს და დაუწეს ერთმანერთს ჭირითის
სროლა. ამათ მოემატენ კიდევ სხვა მეგრელები და ზოგი პირ-
გელისგენ გადგა და ზოგი მეორესგენ. გაიმართა ნამდვილი ჭი-
რითობა. აქა, იქეთა მსრიდამ გამოაგოგა ცხენი ერთმა პირ-
ნებელმა მეგრელმა. ამას სახეზე და მოული ტანის მომრაობაში
ეტეობა სიმარდე. გრძელი ჩოხის უქანა გალთა ბალიშზე. შა-
მოიგეცა უქანა, და წინა კალთები ჭამარში ჩაისცდა. შავი სამუ-
გის მოსარმული საცვეთი უშვენებს წივსა და მუსლებს. შავი
სამუგისავე მესტები ისეთ ნაირად აქვს. შამოულებილი ფეხებზე,
რომ ითიქრებ—საცაა ზედ დაასკლებაო. მოგეცცლილ უზან-
გებს ძლიერ აკარებს. მესტების ჭვერებს. თავი მოპარსული აქვს,

ბაშლიყი მხარზე დარღიმანდულად გადაუგდის. ორიოდე კირითი მარცხენა აღვირთან ხელში უჭირავს და ერთი მარჯვენაში, არა-სამიც ქამარში აქვს გარჭობილი. ცხენს ერთი ჭუსლი ჭურა და მარდად შეკველა: «ვა-უიყე!» ცხენი მსწრაფლად გავარდა. მიუახლოვდა მეორე მხარეს თუ არა, მარჯვენა ხელის ჯირზათ გამოიწვია ერთი მეგრელი მოპირდაპირე მხარდამ და გავარდნილი ცხენი მსწრაფლებელი შამოატრიალა. გამოწეული მეგრელი, აგრეთვე გამზადული, გამოედევნა უკნ გამომწერელს. ორივენი ქარსავით მოჭრიანი. წინა მეგრელი ცხენის მოაქროლებს და სულ უკან იხედება, უკანაძე ჯირითი არ მომარტებასო. მიძღვარმა მეგრელმა ჯირითი უმიზნა და მარჯვე გაუზაფხუნა, მაგრამ წინა მეგრელი ისეთი სიმარდით გადაწყვეტნა გარდა და ისე დაიმალა თავის ჰატან ქურან ცხენზე, რომ ჯირითი კი არა, კაცის თვალიც გრ იპოვიდა. — ესროლა მიძღვარმა მეგრელმა ჯირითი თუ არა, წამსე სისწრაფით მოატრიალა ცხენი და წინეთ მდევნელი ეხლა დევნილად შეიქნა: ახლა ამას მოზდევს ჯირით-მოწვდილი მეგრელი მოპირდაპირე მხარედამ... ამ სახითვე გრძელება ჯირითობა, ვიდრე სულ არ დაიშლებიან.

აქვე უნდა დაგუმატოთ, რომ მოჯირითებს, როცა კურითები გამოედებათ, სასროლ ჯირითებს ძირზდ კინძე მიაწოდებს: მარჯვე ცხენოსნები თითქმის ვაჭენებულ ცხენიდამ გადაეციდებან და სიმარდით იტაცებენ შიწიდამ.

ამ დაახლოებით ორგორ სურათს წარმოადგენს ახლან-შელი ჯირითობა. დაახლოებით მეთქმ, ვამხობ, მისთვის, რომ ის სიცოცხლე, რომელსაც მე გცდილობ მივსცე ჯირითობას ჩემს აღწერილობაში, ახლა თითქმის სულაც არა აქვს. ჯირითობა თავისთავად ისეთი ცოცხალი და სასაფლისო გარ-

თობაა, ორმ ენერგიითა და სიცოცხლით. საკუ ძეგლი ქართველები ერთიანსად უფრო გააცხოველებდენ სოლმე. ახლანდელმა ხალხმა კი დაკარგა უწინდებური სიცოცხლე და ენერგია და ამას-თანავე საზოგადოდ უკულა გართობა-თამაშობამ და მსამართულებამ ჩვენი ხალხისამ დაჭვარებს წინანდელი ძაღლი და სიცხოველე.

ძეგლად ჯირითობას თავისი ცუდი მხარეცა ჭრონდა. ერთ შენეთზე გადაკიდებული, მოსისხლე მტერნი დგებოდენ მო-ჰირდაპირე დასებში და ცდილობდენ ერთმანეთის ჯავრი ამოე-ყარათ. თუ კი შემთხვევა მიუცემოდა, შოჯორითე, გგონებ, სა-სიკედილოთაც არ დაზოგავდა თავის მტერს. მათ უფრო გა-ბედულად ასრულებდენ თავის გულის წადილს, რომ შასუხის გებაში არავინ არ ეძლეოდა, რაც უნდა მარცხი. მოქსდინა ას-შაცეზობის დროს. ხშირად მოხდებოდა, ორმ ზოგი უთვა-ლოდ ბრუნდებოდა სასლში, ზოგი უბა-ასკეული და ბერი გულ-ზე-ხელ დაკიდებული...

ერთ ღრმა მოხუცებულიაგან (გატუნა უნიასაგან საჯა-კახოში) გამიგონდა შემდეგი ამბავი. ორცა გურიელს გემსასუ-რებოდი, მაამბო მან, ახალი ჯვარ-დაწერილი ვიუავი და, ბა-ტონს თუმცა ბერი ვეხვეწე, მაგრამ ცოლობი წასკლის ნება არ მომცა. მოთმინებიდგნ გამოსული, ერთ ღამეს მოვახტი ჩემ ბაჩას და გაწიე შინასაკენ. მინტ შეაღამე შესრულდებოდა, არმოცი კერისი გავიარე და მიკედი სასლში. მავუალეოსე ჩემს ცოლი და გამოვწიე ისევ უკან. გათენებამდე ისებ ბატონისას გავჩნდი, მაგრამ ვიღაცამ მიმტერა და დამაბეზღა ბატონთან. ბატონი მლიერ გაწერა და გაცემა მომისინა და სრულიად მო-მისპო სასლში წასკლის იმედი... ერთ დღეს ბატონმა ჯირი-თობა გამართა და თვითონაც შამოგვერდა. მე წინააღმდეგ მხა-რეზე გავდექი და -დატრაპასებით არ ვიტევი ჯირითის სრო-

დაში ერთი ბიჭი კურ მაჯობებდა, — გამოვიდა ბატონი ჭირითის სასროლად თუ არა, მე უკან გაეგიდე, გაჯავრებით გესროლე ჭირითი და «ში კავალ» მარცხენა თვალში მოვარტული.. ბატონისა ღწოდა, რომ ჭავრი მშირდა იმისი, მაგრამ თამაშობა იყო და რატას მეტყოდა!

ეს მაგალითითც განმარტავს სხვათა შორის უწინდელის ჭირითის ხასათს. ჭირითობის შემდეგ სშირად იმართებოდა ბურთაობა.

როგორ ბურთაობდენ ცხენოსხები, ეს ზევით აწერე. ახლა კიტები ღრიოდე სიტყვას შევითი ხალხის ბურთაობაზე ქვეითი ხალხის ბურთაობა. ჭირითთან ბურთაობაც დაცულია იმერეთში. — მე საგნადა მაჭვეს აღებული ძველი თამაშობანი და მაშასადამე ახლანდელ თამაშობებზე ლაპარაკი მეტი უნდა იყოს აჭ... მაგრამ საჭმე ის არის, რომ ბურთაობა მკელადაც სცოდნით და ახლაც იციან. იდეა, როგორც ძველებურის ისე ეხლანდელის ბურთაობისა, ჩემის აზრით, ერთი და იგივე უნდა იყოს. ამისთვის ვგონებ მეტი არ იჭირსა ჩავურთო აჭე ახლანდელ ბურთაობის მოკლე აღწერა ლობა.

ბურთაობა იმართება დიდ დღესასწაულებში სასალხელ დღეობებისა და ქალაქობათა დროს. საბურთაო ადგილია შეძლებისა-და-გარანტი ინჩეკებ ტრიალ მინდონის, გრძელსა და ფართოს. მინდონის სიგრძეზე, თავში და ბოლოში, აღნიშნულია საზღვარი, სადამდინაც ბურთი უნდა მიიტანონ. ხალხი იყოფებო საწილად. გაუღოვა სსკა-და-სხვა ჩაირად მოსდება ხოლმე. ან იყოფიან ისე, რომ ცოდიანები ცალკე არიან და უცოდოები ცალკე, ან საბურთაო ადგილის მისედვით; ზემოურები ზეგოთგან და შემოურები შესვითგენ და სხვ.

საბურთაოდ გამზადებულ სალხით აივთ მინდოლი. ცოდნანი უცოლოს დასცინის და უცოლო ცოლიანს. დიდებიც არ ვაქნებით, თუ თქვენ სელი არ აგაღებინეთ თქვენს ცოლებზე!» ემასხარება უცოლო ცოლიანს. — «ისეთ საქმეს გზამზ, რომ თქვენს დღეში ქალი არ წამოგეყესთ!» უპასუხებს ცოლიანი...»

სამღვდელო თუ სხვა წარჩინებული პირი ცხენზე ზის დეკრითი სელში უწირავს. ეს იწევს სალხის საბურთაოდ. სალხი ხი როცა საკმარდ შეგროვდა, მოთაურმა რისიანის ხმით ერთ ხელ კიდევ მოიწვია ხალხი და მძლავრად შეაგდო მაღლა ბურთი და თვითონ კი განზე გადგა. ხალხმა იგრიალა და ათასი ხელი ერთად გაეშურა მაღლით მომავალ ბურთისეკნ. ბურთი ჩაუვარდა სელში ერთ ღონიერ უძაწვილს, შაგრამ იმან გარდა სროლაც კერ მოასწორ, ოცი კაცი ერთად ეცა. უძაწვილმა ჩაიგდო ბურთი მარცხენა მკლავსა და მკერდს შეა და მარჯვენა ხელით მტერს იგრებს. ცოლიანები ერთი მეორესა სცვლიან. მაგრამ მძლავრი მკლავები კერსა გზით კერ გაუხსნეს ღონიერ ასალ-გაზდეს. საჭმე გასჭირდა. ათიოდე უცოლო ბიჭებმა ერთმანეროს შიროსა მისცეს და შევიდენ სახლში, სადაც ბურთია. როგორც ვუღ მივიდენ ბურთის მქონესთან და ჩუმად აცნობეს თავისი განზრასვა. ბურთის მქონემ იცხო უცოლონი...»

არ გაუგლია სამ წამსაც, რომ ძახილი მოისმა: 『ბურთი გააპარეს, ბურთი გააპარესთა. მართლაც, ცოლიანები რომ ბურთი იმავ ადგილას ეგონათ, შირველ უცოლოს სელში, მეტრ უცოლო ბიჭეს გამოუჰარებია ბურთი და პოვმოგლეჭალი მიაბის 『ლელოსეკნ』. კვეუფი, უცხად დაიმალა და ახლა იმას გამოედევნენ უკან. მაგრამ ბურთიან უცოლოს ფეხებში დადი სიმარტე მტერობა: ბევრი ცოლიანი დადებნა, უკალა უკან დააგდო,

ბეჭრი ცოლიანი წინაც შეხვდს მას და ცდილობდა შემაგრებინა, მაგრამ ბეჭრს იშორებს თვითის თავის ლონიერ მარჯვენა ხელით. მასთან ერთად მიღიან რრი მარჯვე ბიჭები: ერთი მარჯვენა მსახში შედგომის და მეორე მარცხენაში ესენი შეადიან მას გაჭირვების დროს და უგერებენ დამხვდურებს... ამ სამშა ბიჭმა მაღე გაიმინდვრეს და მთელი ხალხი შორის დასტოგეს უგან. უცოლოებმა დასძასეს გამარჯვების ყიფინი და მძღავრად გასროლილი ბურთი გარდასცილდა დელოს.

ასეთი არის დღეს ბურთაობა ჩექნში, დაახლოებით, მაგრამ აქაც ის უნდა გავიმეორო, რასაც ჭირითზე ვამბობ. ახლანდელს ბურთაობას იმ ბურთაობის მესამედი სიცსოველეც არა აქვს, როგორიც ჭირნა ამ ოცი—ორმოცი წლის წინად. მანედ რომ თავის ნებით მრაისწრაფოდენ საბურთაოდ სამოვნებით და სიხარულით, დღეს დიდი ხვეწინითაც გაჭირდება. საბურთაოდ უმაწვილების შეგროვება: ზოგი მასას «წელი მტკიცა», ზოგს ეზარება, უმეტესი ნაწილი კი იძისთვის. არ იღებს მრაიაწილეობას, რომ თუ სცადიან. დიდებს თავი დავანებოთ, პატარა უმაწვილებსაც თითქო შესჯავოდათ თავისებური ბურთაობა.

დასასრულ, ბურთაობის აღწერილობის შესაკვებელად მოკიუპანთ ის სიტუაცია, რომლებსაც გაზ. «კავკაზში» კროულობთ მკედ ბურთაობის შესტებ:

ასლანდელ კერის ხიდის ახლოს, თბილისიდამ მცხეთში მიმავალ გზის მარცხნივ, გაშლილია მინდორი, რომელსაც საშუალოა ჭირობა გარდა გარდმოცემით ვიცით, რომ წინად ბურ-

რამდას, ორმეტიც აჭი იმართებოდა, ჭურნდა სამწედოს ვარჯიშობის ხასიათი. თვით საქართველოს მეფებიც კი იღებდენ მონაწილეობას ამ ვარჯიშობაში. ვანც გაიმარჯვებდა, მიართმევდენ ხოლო ძვირფას ვაშლს, ესე იგი მოოქროვებულ მეტადაღის ბურთს. საბერძნეთიდამ იყო ეს თამაშობა გადმოტანილი თუ შორე აღმოსავლეთიდამ შამოვიდა ჩვენში, არ ვიცით. სამწუხაოოდ, ამ სამეფო გართობის დაწერილებითმა ცნობებმა ჩვენამდის უკრ მოაღწიეს. აღმად ერკულე II-ს მეფეობის უკანასკნელ დროს, სხვათა შორის ეს თამაშობაც გადააგდეს და მიიღიწეუს. მძის დაქსძინოთ შემდეგი: აღმოსავლეთის სახლთა ზღაპრებში ხშირად შეხვდებით, ოთხ ბურთაობაში რქოს ვაშლის საშუალები. იმართება ხოლო თორთაბრძოლა (ეძ ზინიბორესტვი). სომებთ მწერლების თქმით ამ გართობას დიდი პატივსა სცემდენ არაბების ხალიფები და შემდეგ მაყმადიანთ მხრისხებელი²⁵.

საქართველოში დიდ პატივისცემაში იყო ჭირაობა და კრიმი. ამათში მხრივთა ჭირდალია მოაღწია დღევანდ-ლომდე.

ჭირაობა. ჭირაობა ერთი უძველესთაგანი გართობაა. ჭირაობას ქართველი ხალხი იხსენიებს ძველთაგან-ძველ ზღაპრებში, სადაც დეკიბი და სხვა-და-სხვა არა ჩვეულებრივი არსებონ მოქმედებენ. ხალხს გამოჰყავს ხოლო თავის. ზღაპრებში გმირად თავისი მსგასივე არსება, კაცი, და აჭიდავებს უზარმაზარ დეკიბი და მაინც კაცი საჭობნის ამ საშიშან ქმნილების. მოიქნია ბაყბაყ-დეკი ყარამანი და მუხლებამდის ჭირაობის ჩაფ-

ფლაო, მოიქნია ყარამანმა ბაჟბაჟ-დევი და წელამდი დამალაო, ბოლოს მოიქნია ბაჟბაჟ-დევი ყარამანმა, ოც ძალი და ღონებ ჭერნდა და უელამდი დამალაო, თაგა მოსკორა და ტანს მიწა წვეურაო: ასე აგვიწეს ჩვენი ხალხი დევებთან ჭიდაობას.

ჭიდაობა უფრო ძველი უნდა იყოს, კიდოუ «ორთაბრძოლა» ჭიდაობა და ორთაბრძოლა ერთმანეთისაგან იმით განირჩებან, ორშ «ორთაბრძოლაში» რარალით იბრძიან და ჭიდაობაში კი ურარალოდ, ღონით და სერით ექიშებან ერთმანერთს.

ომის «ორთაბრძოლაში» კი ერთ ერთს ფალავას უთურდ სიკედილი მოეფოდა, სიკედილი ფიზიკური და არა მსოფლიდ ზნეობრივი. ჭიდაობა კი იმართებოდა და იმართება ჩვენს ჭროშიაც მსოფლიდ ძალისა და სიმარჯვის გამოსაჩენად და სახელის მოსასკეპელად. ამ მხრით ბეგრ ფალავნებს გაუთქმამსო სახელი ხალხში. ჩვენი ხალხი ქებით და დიდებით იხსენიებს თავის საუკარელ ფალავნებს: ხიზამბარელს, ჩიტო გალატოზიაშვილს და მრავალს სხვებს.

უღელ განთქმულ ფალავასი თავისი მოწინააღმდეგე, მოქაშე უნდებოდა, და ერთი კი არა — რამდენიმე ერთად, სახელგანთქმული ფალავანი უთურდ უშიშრად უნდა გასულიყო თავის მოქიშესთან. ფალავასის ორმ უკან დასია, ხალხი უთურდ მშიშარად ჩასთვლიდა და პატივი მოაკლდებოდა.

როგორც ჩვენი დროში, ისე წინედაც ჭიდაობა იმართებოდა სახალხო დღესასწაულებზე ამ დღესასწაულებზე იკოიბებოდა აუარებელი ხალხი აღნიშნულ პდგილს. ხალხი მიზ უფრო მეტი შიდოდა, ორმ აჭ კეულებოდა სახელოვანი მოქიდავენი. მართლაც, მოქიდავენი საჭართველოს უღელ გუთხიდამ განგებ იკოიბოდენ. ამისთანავე დღესასწაულებზე დღეობას და

ძირიად გათავდებოდა, ორი ჭიდაობა ან გამართულიყო. ყალ-
კელ ფალავანს ჟავდა თავისი, მომსრუები, თავისი შატრონები
ანუ, ახლანდელი ენით რომ ვსოდეთ — თავისი შარტია. ეს შეა-
ტია ამხსევებდა თავის ფალავანს და უოველ-გეარ შემწეობას აძ-
ლევდა. ფართო მინდოოზე სალსძ შეკერებოდა დად წრედ.
ერთი რომელიმე შარტია გამოიყანდა თავის ფალავანს და წრე-
ში ჩააუენებდა. წრეში მდგრმი იწევდა მეორეს საჭიდაოდ. მეო-
რეც მაღე გადიოდა. ზურნა დაჭირავდა საჭიდაოს და იძართე-
ბოდა ჭიდაობა.

გამ. გავეაზის აღწერილობით მეორმოცე წლებში ჭიდაო-
ბა ჩექნში იმგრძელება ისატება, როგორც ჩექნ ესლა მოგვევა
ეს აღწერილობა; აი მოვდინ, სადაც ჭიდაობა უნდა გაი-
მართოს. ფართო წრეს იგროველი არტყაი, უკარტებელი ხალ-
ხი. სამიოდე ასოვანი გაუგაცი დადის წრეში და იცაქს წესირე-
ბას. ფეხშიშევდა და დამწელავებული მოჭიდავენი გამოიის-
მოდანზე. ზურნა გაცხარებით გაჭირის. ზურნის მსიარეულ
ხმას კე მოჭიდავენიც მსიარეულად, ცეკვით და თამაშით უკლიან
წრეს. ხშარად ეტანებან ერთმანეთს, აჭავრებენ და თოთქო
სცდიან ერთმანეთის ძალას და ღონებს. ამ ღრუსა ჯყა, მსწრაფ-
ლად, ელევაციით მისწვდა ერთი მათგანი და მოუსტა მექიშპეს.
ეს უქანასკნელი ცდილობს, როგორმე მარჯვე დრო აირჩიოს
და კარგს ალაგს ჩასჭიდოს მაგრად სელი. მაგრამ ჭიდავს,
რომ ცუდად არის საჭმე, და ისევ მარჯვდა და, სისწრავით
დაუსხლტა სელიდამ. ცოტა გაძთამაშა და კიდევ მიკარდა მშიერ-
გაფხვებავთ. ასლა კი მძლავრად დაჭირა ბუჭებზე და მარჯვედ
ჩასჭიდა სელები. ერთი თვალის დასამხამებაზე გადმოიღო მსრებ-
ზე, ფეხები მაღლა შეათამაშებანა და ზურგით მიწაზე გაშესლართა.
გამარჯვებული ფალავანს პატრიამ იგრიალა და აიტაცა ხელში

თავისი მოყიდავე და ისე გააცილა შემოს ერთი კაუინით და «ბარაქალას» ძახილით. გამარჯვებული აავსეს საჩუქარით. და მარცხებული ფალავანი და მისი პარტიავი — დიდად დაღონებული მოშორდა მოედანს.

მაგრამ ხშირად მოყიდავები მტრებად გაშორდებას ხოლმე ერთმანერობს. ხშირად წაჭუევის დროს გამარჯვებული ფალავანი სცემს დამარცხებულს! ამგვარი მოქმედება საზოგადოდ ამდღილების განთქმულ ფალავანის და მეორეც — პირ-და-პირ ეწინააღმდეგება ჭიდაობის წესდებასა და განონებს, რომელიც ხალხს ჩეულებად გარდაჭრება.

მასალები ნებას არ მაძლევენ დაწარტო სრულად ჭიდაობის წესდებულება. გარდმოცემით კი ვიცით, მაგ., ორმ მოყიდავე ფალავანის თავის მოპირდაპირესთვის უთუთდ ზურგი უნდა დაემცენებინა მიწაზე; უამისოდ სრულ ჯობნად არ ჩაეთვალისწილდა დამარცხება.

გრივი. ჭიდაობაზე არა ნავლებ ჰევარება ჩვენს ხალხს კრივი. ~~ეს გართობა გადავარდა მე-60 წელთ დასაწყისში.~~ კრივი გარგად აქვს აღწერილი თავ. დავ. ითსებისტებს ბებუთაშვილს თავის აკტობითგრაფიაში.

კრივი იყო თუ ნარი: მუშტის კრივი და სარდათის კრივი. მუშტის კრივს მართავდენ ზაფხულში, ქალაქის ქუჩებში, და სარდათის კრივს ზამთარში ქალაქს გარედ. განსაკუთრებით საყურადღებო ურთილა სარდათის კრივი. ბოძოლას იწყებდენ პატარა ბავშვები და ათავებდენ დიდები. როგორც ჭიდაობას, ისე კრივსაც ჰქონია თავისი წესდება, ხალხის ჩეულებაზე დამეურებული. კრივში წართმეული იარაღი, სარტყელი, შედეგ თუ ნაბადი — ითვლებოდა კანონიერ ნადავლად ანუ ალა-ფად.

«როცა კრივი ჭალაქში გამომართებოდა, ამბობს ჭუმლებს უნდა ნებული ტებულთოვი, მაუწერებლები, ჭალი და კაცი, ადიოდეს სახლების სახურავზე, აფსებდენ ბანებს და იქიდამ შესცემოდენ ამს და ამსნებებდენ გამბედავ მებრძოლოთ თანაგრძნობის აღმა-ჩენთა და როცა ჭალაქს გარედ იძრდოდენ შერდულებით და ხმლებით, მაუწერებლებს წინ-დაწინკე ჭჭონდათ დაკავებული გო-რები და მაღალი ადგილები. იქიდამ კარგად ხედავდენ უკელ-ზოს ქავით, ლელეში და ხეობაში, სადაც ჭჭებდა ბრძოლა...»

«კრივს განსაკუთრებით ახალ-გაზდობა, მისდევდა. ეს სა-კვირგელიც არ არის. ქართველ ჭალს ერთი-ათად უფრო ტურ-ოვად ეჩვენებოდა ის კაცი, რომელიც კრივში გაიმაჯოვებდა და სახელს გაითქვამდა. მოკრივენიც, რასაკვირებულია, რამოდენა-თაც სახელის შოვნას ცდილობდენ, იმდენათე სწადდათ და ცდი-ლობდენ თავის გამოჩენას თვალიანთ დორთავ თვალის სინათ-ლის, სასაძოვნოდ და სასიქადულოდ...»

«კრივს ჭჭონდა თავისი ჭე შემარიტად კარგი მხარე. ქართვე-ლი კაცი პატარაობიდამკე იწერთნებოდა სამსედრო ხერხებში, ავარჯიშებდა თავის საღ გონებას და გამჭერეტელობას, რომე-ლიც მას ბუნებით დაჭულია, კრჯიშობდა სიმარდეში, სისწა-ზეში—ერთი სიტყვით, კრივში ქართველი იძენდა უკელა იმ თვისკებათა, რომელიც ძვირფასნი არიან სამსედრო საჭმელა-თვის...»

«სარდათის კრივში ამს იწეუბდეს შერდულებით, რომელ-ბითაც ესრულდენ ქვებს თავის მოწინამდგრად, შერდულები პატა-რანი იყენებ, უფრო სათამაშობი, და პრა იმგვარნი, როგორც-თაც სმართობდენ სამორავდ მაგალ. ძებული ხალხის მართვა-თავის მუშაობები თოვებდნენ მსაგაუსად მოახ-დენდენ ცოტაოდენ არეულობას მტრის რაზმებში, მერმე მესწა-

ლენი დაწინაურდებოდენ და სელდასელ დაუკოდენ. ამათ ეხმარებოდენ მეშერდულენი, რომელიც ისე ახლო მიწურდებოდენ მათ, რომ უშერდულოდ სელით გაისროდენ ქვებს. ამ შემთხვევაში ქვებისგან საიურად ჭირდათ ნაძღები.

«კრის, სხვათა შორის, ესწრებოდენ აგრეთვე წარჩინებული შირი და რუსის მხედართ-მთავარი: მაგალი. თავ. ცი-კიანოვი, ერმოლოვი, თავ. ვარანტოვი და სხვა»...²⁴⁾

დავით ბებუთოვს თავის დღიურში მოჭებუს ერთი დღის სარდათის კრიზის აღწერილობა. მით უფრო საინტერესოა ჩვენთვის ეს აღწერილობა, რომ ბებუთოვს თვითონ მიუღია მოხა-წილეობა ამ კრიზის და ჭკელაშეს დაწვრილებით მოგვითხრობს. ამ რასა სწერს ბებუთოვი:

«უმთავრესი სარდათის-კრიზის იმართებოდენ უპელიერში და თავდებოდენ ჭიდ-მარხვის ბირველ დღეს. ამ დღეს აქვს თა-ვისა ისტორიული სახელწოდება — უენობა ანუ უენების აჯან-ება».

უენობა. უენაურის თრშებათს დიღა ადრიანად ქალაქის ართავე საწილებში²⁵⁾ აირჩევდეს თითო უენს, მოჭრთავდენ იმათ მდიდრულად და დასკამდენ ტასტზე გამოჩენილ ადგილს, სადმე ჯვარედის გზაზე. აქედამ ეს კითომ უენები ადგილად სედავ-დენ უენა გამკლელს და გამომკლელს. თითოეულ უენის-თვი სცალებ მდიდრულად მორთული ცხენი ეჭირათ ქუჩაში.

“) Военный сборникъ 1876 г. кн. 3 и 4: Автобіогр. Да-вида Осповиця кн. Бебутова.

²⁵⁾ სიონის სობორი ვულფა ქალაქს ორ დიდ ნაწილად: ჩრდი-ლოეთით მდებარეობდა ერთი ნაწილი ქალაქისა და სამხრეთი— მეორე.

ჰემ ახლოს იყნენ უენის ჭარის რაზმები, რომელთაც ქუჩების სახელები ერქვათ. თამთოეულ რაზმის წინაუმღვდელი სახელგანთქმული მოვალეები. უენის ბრძანებით უღველს გამკლელს, რომელიც მათ უბანს არ ეკუთვნოდა. ახდევინებდენ სარგს. მეტადარღვე და რამდენიმე მისი თანაშემწენი მიღწოდენ იმ გამკლელისაკენ, რომელსაც უენი უჩენებდა. მეტართაღვე გარდაუღაბდავდა გზას გამკლელს, დაურწოდდა წინ ბარიატს. და მეტად უენის სახელით ითხოვდა მისგან სარგს. უარსაც არა ეგბენებდა და ამღვდა ფულს საშუალების-და-გვარად შამომწირებულს გზას უთმობდენ, ტრიუმფით. აცილებდენ და შმამაღლდა აღვარებდენ მისს სახელს და შამოსაწირის. რაღდენიმდეს უენის საზინადარი სწერდა დავთარში. შამომწირველის სახელს და შამოწირებდა ფულებს. ეს ვრძელდებოდა სადაღობაძირის ჩა-სადიღებს უენები დასეურულიბდენ ქუჩებში, თავის სამჯლობელოში. მოწინააღმდეგენ თუ ქეხვებოდენ კურთმანერთს, პატარა შეტაქება მოხდებოდა, მაგრამ მარტო უნცროსება შეარას.

საზოგადო ბრძოლის დღეთ იმულ ამორჩეულო უღველეთის დიდ-მარხვის შირველი. კვირის არქიმაბათო. კველის რო შეათვალიშვილებული შეაბათაძე, ამ დრის ჩათვლით, დიდ მაფია საზინა გროვდებოდა სოლმე.

კვირას, დილით გაიძართებოდა, მოლაპარაკება წინააღმდეგ მხარეთა შორის. გზავნდენ დეპარტების წევ მუციქულებს, რომელ დებიც უენის ბრძანებით მოითხოვდენ. წინააღმდეგ მხარესაგან სარკა ან დამორჩილებას. ამ შემთხვევაში თუ იყენება მხარენა ხმა როდენ სახა-და, სახა-და, სახა-და, ცირკებსა და სორებსა; ცდილობდენ რომ დასამეტაზმის მოსუიდვას ან თავისენ გადატეულებას. ორგულობრივ გაცემა მოხდებოდა, მაგრამ ძვირად. ფულის გაუთვის დროს

თუ დარჩებოდა უკმაყოფილოდ რომელიმე, ქუჩის რაზმი. ის ან, უმტკუნებდა უკუნის და ან სულ თავს ანებებდა ბრძოლას.

«კი ირას ნაშეადლებს უკინები, ერთი ზედა-უბნიდამ, და მეორე ქედა უბნიდამ, ურთი დიდი. ამბოთ გაჭიდენ ქალაქს გარედა; ერთიც და მეორეც გაიმართა თავ-თავის ალაგს ციხისა-კარების მოშორებით,

«იმ დღეს, რომელზედაც მე კლაპარაკობ, ბრძოლას და-ნიშნული აურ სოლოლაკმეთ. ჩვენა უკინი წინ მადიოდა, ცხე-ნით: იმსა გარშემორტებული ჰყავდა თავისი წარჩინებული პი-რები და მის წინ მიწერნდათ ბაირალები, უოკელ ქუჩიდამ თით-თო. რაზმების თავში მიდიოდენ საზანდარი და უკრავდენ ზურნაზე, დაფ-დაფზე, ბობლანებზე და დიდ-უშეკელზე გამა-ურუბელ საუკირზე ღორისტორიზე. მომღერლები საკაჯთა ხმაზე, მღეროდენ სამხედრო სიმღერებს. მოშაარენიც ხმას აუთლებდენ. წინწილებს და მოუთხრობდენ ხალხს წასულ დროის გმირების ღვაწლსა და სიმამაცესა. უკელაზე წინ მიდიოდენ მხტუნავი მოთამაშენი, ბერებები დამასხარა ბიჭები. ჭარი მიჰუ-უებოდა უკინს და თან მიჭერნდა სურსათი და სასმელები.

«როგორ გამოვიდოდენ ქალაქს გარედ, მებრძოლი იჭერ-დენ იმ სტრატეგიულ ჰუნკრებს, საიდამაც ფიქრობდენ მეორე დღეს ამის დაწებას. ორივე მტრული მხარეები დაესახებო-დენ ერთმხრის ჰითის-შირ და მთელ დღეს და მთელ ამ ღა-მეს ქეთობაში არარებდენ. მაგრამ ამავე დროს არ ივიწებდენ არც სამხედრო თაობდროს და თავდარიგს: წრჩეკდენ თავ-შესავ-ფარს ან თავს-დასასხმელს აღვიდებს, ცდილობდენ შეეტკორ-ჭაშუშების. შემწეობით მტრის განკარგულება. რადგანაც გან-მეგრიცა სახელებზე უკედამი ცცოლება ამისთვის ძლიერ

საჭირო იყო ცნობების შეკრება, ორმ სცოდნოდათ—ვისთვის
რამდენი ჯარი ჩატარებინათ და ვინ სათვენ გაეგზავნათ.

აღმოჩათს ისევ გამძეოოს ერთმანეთში მოლაპარაკება
დესპანებისა და პარლამენტერების შემწეობით. მოლაპარაკება
გააგრძელეს დიდის თერთმეტ საათამდის, იმ აზრით, რომ
მაუურებელ ხალხისთვის მიეცათ დრო გამოსულიყო ქალაქს გა-
რედ და დაუჭირა ადგილები.

«კაცის თვალის მიმზიდველს და არაც უჩვეულებრივი
გრძესხვაებულ სურათს წარმოადგენდეს ქალები, რომლებიც წე-
როებსავით მიემწოდიებოდენ გორების წევრებზე. ეს პოუტური
მწკრივი ქალებისა ამსნევებდა მოკრიკებს და თოთოულეს მათ-
განმი აღმრავდა სურვილს, ორმ დაენახვებინა თავისი გაუგაცორ
ბა იმ თვალებისთვის, რომელიც იმას შესცემოდენ.

თერთმეტ საათზე თავ. ციციანოვი მოვიდა თავის აჩა-
ლით და ზედა-უბნის სხვა მაუურებელთ შორის ისიც გადმო-
დგა სოლოლაკის. მთაზე. უველა დარწმუნებული იყო, ორმ
გაცხარებული ომი მოხდებოდა. ისიც დაჭერებით სწამდათ,
რომ გამარჯვება დამჩებოდათ ზედა-უბნელების, რომლებისკენაც
იყო თვით შეედართ-მთავარი. უველა მოუთმენელად ელოდა
ომის დაწუების ნიშანს.

«მოლაპარაკება გათავდა. ზურნამ დაუკრა ძველებური. სა-
ომარი სიმღერა ზღაპრულ გმირზე, ქართლულიზე. დამარჯუ-
ბელმა ლოროტორის დრიალმა აცნობა უველას ომის დაწუება.

ძრმოლა დავიწყეთ ჩვენ, ძველა-უბნის ბაჟებმა. მე გა-
დავსტი წინ და სხვებთან ერთად დავიწყე შერდულით ქვების
სოლა. ქამარზე მევიდა ხის ხრმალი და მარცხენა მხარზედ
საფარად ხაბადი მჭონდა. ახლო ტომ მივედით, მოწინააღმდე-
ბენი ხმალში იწვევდენ ერთმანეთს. ერთი გამბედავი უმაწვილი

დასტურდა ჩემ წინ და იფარავდა თავს ჩემი შერდებულისაგან-
უცრად მოვარდა ის ჩემთან. ჩვენ შევიტავენით და დავუწევთ
ცემა ერთმანეთს სრულებით. ჩემი მოქიმებები დავჭირო, მაგრამ
მეც გამიპო-იმან წარბივ ამ დროს უცრად მოვარდა მამა-ჩემი,
რომელიც აქვთ შეურებელებში იდგა და რომელსაც შეკემნიდა
ბრძოლაში. ჩვენ, ახალ სასწავლებლის²⁶⁾ შაგირდებს, აკრძა-
ლული გაქონდა კრიგში გარევა, და ამისთვის, ჩემდა ფრიად
სამწუხაროდ, მამამ გამომიყვანა და უნდოდა სახლში გავეგზა-
ნე. მე დავიწეუ ტირილი და ბევრი ხევწის შემდეგ, როგორც
იქნა, დამტოვა მაურებელთ შორის. მაშინ მამა-ჩემმა მომსანა
სისხლი და თავის სედასახლებით შემივრა გახეთქილი წარბია.
მერმე ჩამოაგდო ბიჭი ცენიდამ და მიბანა შევდომა და მას-
თან დარჩენა. მე არ მოვშორებივარ ბრძოლის ადგილს გათა-
ვებამდის, თუმცა ძლიერ მაწუხებდა გახეთქილის წარბის ტუკო-
ფიანი

« ქართული სრული და სეღ-ჩართული. გრძელდებოდა როგორც
წინედ, ისე რომ დაძლევა და ჯობნა არც ერთ მხარეს არ ეტეო-
ბოდა. როგორც სხანდა, რაღაცასი ეშინოდათ და რაღაცა სეჭო-
დენ. უცრად, ნამუადლევის პირველ საათზე, ჩემმა მტრებ-
მა შექმნა ერთი ხოჩეოლი და ალაძეოთი მათი რაზმები
წავიდ-წამოვიდნენ აქედ-იქით. მთას წერზე დამწერვებული
მაურებები გარდავიდენ მეორე მხარეს. ჩვენები მოემზადენ
ერთად თავ-დასაცემად და დაიკავეს უცელა მისავალი ადგილები
და ბილიკები, რომებიც სოლოლაკის წერზე ადიოდენ. ამას
მაზუზი უკავებდებოდა ჩემმა უინმა ჩემია შეაღამისას გადა-

²⁶⁾ კეთილშობილთა ანსიონი, რომელიც გაიხსნა თბილისში შე-
30 წლებში.

ზავნა კრთი რაზმი სოლოლაკის გარშემოსავლებად, ბარე ეჭვი
ჰერსზე, სოფელს ტაბასმელას. ამ რაზმს ჰქონდა ნაბრძნები
გასულიყო თორმეტი საათზე გარდმოშვე-
ბოდა სოლოლაკის მთას და მცხვილოდა მტერს. ამასთანავე
მთაზე, აქრთუანთიდამ დაწეუბული, ამ რაზმს უნდა დაეუენებია
ჭუკვეთესო მეშერდულები, რომ მტრისთვის ზურგში დაწეულია
სოლოლა.

«გარშემოზღუდულ რაზმის მოწიგვე გაცემი გამოჩნდენ
მტრის გვერდზე თუ არა, იმ წამსკე უფროსმა მსედლებმა და-
იჭირეს უნცროსების ადგილი და იერიშით წავიდენ მთასაგენ. •
თრივე მხრიდამ გამოვიდენ მეშერდულენი ათასობით და სეტ-
უკასავით მიაუარეს ქვები ერთმანეთს. დაჭრილები რაკე ანებებდენ
ბრძოლის ველს და იმათ ადგილს იქრდენ სულ უფროს უფროს
მხედრები. ყოვლგნით გაცხარებული შეტაგება იუ: მომხდერებს
როცა წაჟუედენ, ცდილობდენ მთადამ გადმოგდებას. მაგრამ
ამსანაგები ეშველებოდენ და ამი ისევ გათანასწორდებოდა სოლ-
ბე. ბრძოლა გაგრძელდა თითქმის ერთ საათს და შემდა უბ-
ნელებმა კი მოახერხეს მაინც ნახევარი მთის დაკავება და
თავს იჯარავდენ ქვებისგან, ორმეტნიც ზუგიდამ ზუზუნით
მოჭროდენ. ამ დროს გარშემომკლელი რაზმი, მთის წვერ-
წერ გაუღლებით მივიდა მტერთან და შეტაგა ჭარის ერთ
ფრთას. ზედაუბნელებს, რალა გზა ჰქონდათ, ამ რაზმის წი-
ნალმდეგ უნდა გამოუვანათ თავისი საუკეთესო მოკრივე და ამ
გვარად თავისი ძალა უნდა შესუსტებინათ.

«უცრად მთისმა საშინელი უვირილი. განთქმულ მე-
ბრძოლება სახელი ელგასავით მოეფინა მთელ სალსს და უკეთა
მეომრებს რაღაც ელგურონულმა ნაბერწერმა გაურბინა ძარ-
ლვებში. ზურნისა და საუკირების გამაურუებული ლრდალი მაუ-

ფინა შოთს მთელ აჯ-მარქს. ომი ცეცხლები აენთო. იძრძო-
დენ მსოლოდ ხმლებით, ჭების აღარ ხმარობდენ: კრიკის წე-
სით ხმალ-და-ხმალ შეტაცებაში ჭების სროლა მხდალობად ით-
ვლებოდა.

«ზედა-უბნელები შესუსტდენ და უკუ-ღვევენ. ქვედა-უბნის
მებრძოლთ დაიწიორეს მთა და მტერი გაიჭირ სოლოლაკის ხე-
ობისაკენ.

«შეოდეულის ქებმა მიაწიეს თავ. ციციანოვამდისაც და
მაშინ კი უკან დაიწია. უკან-დევნა საერთო შეიჭნა. გაქცეულს
მტერს გამოეკიდენ უკან ხეობაში და მისდიეს თვით მთავარ-
სარდალის სასახლემდის, ორმელიც ვქ იდგა, სადაც ეხლა
არის, მაგრამ მაშინ ქალაქს გარედ იყო და გარშემო ერტყა-
ბალები და ტრიალი მინდვრები. ქალაქის უკელა კარგი დაკე-
ტეს, ორმ გაქცეულები ქალაქში. არ შეცვინულიყენენ.

«თავ. ციციანოვმა თავისი ამაღით და წარჩინებულ თავა-
დებით ერთად მააჭენეს ცხენები სასახლესთან, ციციანოვით ჩა-
მოსტა ცხენიდამ და ავიდ პარმაღზე (ბალვანზე) და უცდიდა-
ბრძოლის გათავებას. ციციანოვს აცხობეს, ორმ მარცხის მი-
ზეზი ურთილიერ თვით ზედა-უბნის უენი, ამას არ მიეცა თა-
ვის სასელოვან მოკრივესთვის, საატოსთვის, იმდენი ფული,
ორმდენსაც ეს უკანასკნელი თხოულობდა, და ამით შეურაცხულ-
ოვა მიეუნებინა მისთვის. გულ-ნაკლულმა საატომ, და მასთან
ერთად ორმოცხმა თუ ლომოც-და-ათმა საუკეთესო მეომრებმა,
გარდასწუვიტეს არ მიეღოთ. ომში არავითარი მონაწილეობა:

«— აიგერა ის — უბნებოდენ ი. ციციანოვს — ზის აიქ, მთა-
წმიდის (წმ. დავითის მთის) ძირში და დასცინის უეინს. »

«თ. ციციანოვმა უბრძანა მოკეუანათ საატო. ორდესაც
უკანასკნელი გამოცხადდა, მთავარ-სარდალმა ჭკითხ: «შეგიძლდა

აშშა ისევ განაახლო, განდევნო მტკიცო და ამით ისევ
აღადგინო ზედა-უბნის სახელი? ა საატომ დაიდო ჩელი
გულზედ, ოროლოც არის ჩემულება აღმოსავლეთში, და
მოასხენა: ლომერმა დღეგრძელება მოგანიჭოს, ჩემო ჟელმწი-
ფებ! თუმცა უენმა ძაწებინა მეც და ჩემს ამხანაგებსაც, მაგრამ
სხლა შენ ხარ ჩენი მთავარი და წინამძღვანი, და შენი სიტ-
ებით ჭიშმარიტია ჩენთვის. მე შენ გემორჩილები. მართალია,
სედა-უბნიდამ ჩემთვის მეტობების გაწევა შეეძლო მხოლოდ
მერმაზანს, ორმელსაც მე პატივს უცემ, მაგრამ მე შევიტევ,
რომ ისა და ბევრი სხეუბიც დაჭრილი ყოფილან, თუ დაღლილ-
დაქანცულები, ჩენ კი, ბარე ორმოც-და-ათი ჭაცი, ჭერ სუ-
ჭაც არ შევსულვართ ღმმდ. მე მგონა, რომ თუ უკულანია
როგორად და მონდომებით დაკუცემით, გამარჯვებული ჩენ
ერ გაგიძლებენ. მე გთხოვ მხოლოდ ერთი მეოთხედი საათი
დამაცადოთ, ორმ გარდავსცე ჩემს ამხანაგებს თქვენი ბრძნება. »

«საატომ მიიღო თ. ციციანოვისაგან ერთი ქისა ლერო.
დაბლა რო ჩავიდა, გამოუცხადა ამხანაგებს შეედართ-მთავარის
სურვილი და უთხრა: «თქვენ ღლონდ მარჯვნივ და მარცხნივ
დამიტარეთო, და მოწინავებთან ბრძოლა კი მე მომანდებთ,
ნუ გეშინიანთო!»

«ზურნამ დაუკრა გამარჯვების სიმურა, ექოროლდია..
დოროზოლოც ღრიალმა გვაცნობა ღმის დაწება. ხალხმა
ერთ-ხმად შესძიხა: «საატო მოდის, საატო!..» აქა საატოც!
კეთხვესაკით მივარდება იგი ხან ერთს და ხან მეორეს და სცემს
სარდასტით. ჭედა-უბნის მომსრუება უკირდან და უძახან შერ-
მაზანს, ორმ მოუშევლოს და შეაჩეროს საატო, მაგრამ შერმა-
ზანი ასადა სჩანს. ჭედა-უბნის ჭარმა კელა გაუძლო და გა-
ძცა. საატო დაუდევნა მათ და თითქმის, ასული იურ სოლო-

დაკის მოხუცე, საიდნმაც ის ფრთხობდა გარდაეუარა მეტოქები ხლამში. ამავე წამის ვიღაც მეშურდულებ მოახევდოა იმას ჭა მარჯვენა თეატრში საატო წაიქცა. შეიქნა ერთი გამწარებული და შეტაკება და არეულობა: ერთ მხარეს უნდღდა: გაეკვანა თავისი წინამძღოლი, მეორე მხარე თუ აძლევდა ნების და იყო შეუპოვარი ბრძოლა.

ათავ. ციციანოვი მივიღა ცხენთ ბრძოლის ადგილის. იმ წამისგვე გაგზავნა თავისი ამაღლ და მოსურნი თავისი და უბრძანა. მოქამდოთ ომი და მოქმებათ ის მეშურდულე, რომელმაც დაარღვება კოივის კონანი და ხმლებით ბრძოლის დროს ჭირო თვალი გამოსთხარ საატოს.

თოში მოსპეს, საატო გადარჩა ცოცხალი, მაგრამ მარკ კვენა თვალი ჩაგარდა: მეხთალი მეშურდულე კერ დორონეს ამ დღეს სიკვდილით არავინ მომკვდარა, რადგან ბრძოლაში დაიცვეს კრივის წესი, იმ ერთი შემთხვევის გარდა, რომელიც ასეთ მოვიუგანეთ. ესეც კი უნდა ვსოდეთ, რომ თავგახეთქილები, თვალწავარდნილები და ცხვის-პირ დამტკრეულები ცოტანი არ უოფელან. სამოვარიც კარგა ძალი დარჩათ. »

ამით კათავებ ბაჩს გართობათა შესახებ. ჰამდენათაც მასალებმა ნება მომცეს, ვეცადე დაწერდებით გამომეხატა თათოვეული თამაშობა. თუ წერილობითი მასალები მის მეტი არ დაგრინენია, ააც მე მოვიუგანე, იმ შემთხვევაში დახმარების ამარჩენა შეუძლიანთ მხოლოდ ძველ კაცებს, მოხუცებულების. ბევრს ამათვანს ახსოვს სხვა-და-სხვა თამაშობანი თავის ცხოვრებიდამ და ბევრი მაკ აციან, თავიანთ მამა-პაპების გადმოცემით. საჭიროა ეს ცნობანი შეიკრიბოს და ამგვარად შეიგულს ნაკლება-

კანება ამ წერილისა. ახლა მივმართავ იმათ, ვისი კალიც არის
შრაკტიკულად განხორციელება ჩვენს ხალხში სხვა-და-სხვა სა-
კარჯიშო გართობა. თამაშობათა, თითქმის უკულა ჩვენი დასწავლ-
ნია იმას ცდილობენ, რომ ხალხს «სწავლულად» ეჩვენონ! და რა
არის მათი «სწავლულობა»? — ას რომ ხალხის მხარეულების და
ქეთვის დროს ჩუმად ისხდებ და გართობასა და თამაშობაში არავ-
თარი შრომისადაც არამართონ, და მდგრენ, ჩვენზე ხელ-გულ და
კრეფით. . . გრწამდეთ და გვერდეთ, რომელიცამ, მართა-
ლია, ძროშონებულ გვერდებს არ არის და სიმჟიდეს დროში უშედა ამის.
შიაწერს თქვენს საწავლას მაგრამ ცდილეთ, რომ თქვენ ამ-
გვარ მდგრამარებით ხალხს გულს უწელულებთ და მხარეულე-
ბის ხალისს ართმევთ. მაშე კეცადოთ, რომ ხალხს არ გათქმუ-
კინოთ ჩვენზე ცარიელი სიტყვებზე ცეს ნასწავლი გაციარა! კ-
ეცადოთ რომ ხალხმა ასე სოჭვას ჩვენზე: დარში მოვირნებ
და ფსინში შოლხინეთ.

თუ ნასწავლი არ მოკრიდებიან ხალხს არც ჭირში და
არც ფსინში, თუ ნასწავლი ჭირშიცა და ფსინშიც დაეხმა-
რებიან, ხალხი არა იქნება გულ-ძვირად და შეიძლება მოვის-
სენოთ მაშინ პოეტის სიტყვებიც, რომელიც ამბობს:

ჟამთხ დროთ კრა შესცვალეს მის გული ანდამარისა!

იგივ მხნე, იგივ მღერალი, მოყვარე თავის მიწისა!

პეტერბურგელი სტუდენტი.

ქ. პეტერბურგი.

იანვარი 1883 წ.

ქართული თეატრი

შემონის სეზონი, საზოგადოების უურადღების მიეცევა. ანტრეპრიზა, ყაყანი, მისი უსაფუძვლობა და უსარგებლობა განხილვა კერძოობითი: 1, მოთავეობა და მართვა სცენისა. 2, აქციონები და აქტრისები. 3, რეპერტუარი. 4, პებლიკა.—დრამატულის საზოგადოების მომავალი საზრუნველი საქმე.

წელს ზამთრის სეზონის ქართული წარმოდგენები დაიწყო ენებისათვის და თებერვალის სამამდე ერთ-გვარის მდინარეობით გათვალისწინებული მადლი ღმერთსა, რომ შეარმანდების მრთელის წლის მიუტჩების შემდეგ თეტრმა სიცოცხლე გამოიჩინა, მიძინებულმა გამოიღვიძა, და იმედიანათ შევიხდეთ მისს დარბაზში; მოგვაგონდა ქართული თეატრის უკათესი დღეები, ამ სამი-ოთხი წლის წინად ნახული. გული შეგიძლია, გრძნობა გაგვიახლდა. საზოგადოებამ ნელ-ნელა დაიწყო სიარული, თითქოს უკან იხედებოდეს და ფეხის უკუჭცევას აპირებდესთ. საერთოდ ამ ორიოდ წელს უფლების გამო არამც თუ ქართული წარმოდგენები, რესულიც, სომხურიც და სხვა კონცერტები ანუ ღუმციფრიც ტფილისის საზოგადოებისაგან საჭმოდ მიგდებული შეიქნა. საერთო მაზრი უფლებობა უგებასფერს დაუტყოც ცხოვრებაში და უგებაზე მომატებულად თეატრს.

მაგრამ მაინცა და მაინც ესტეტიკური სიტყბოება კაცის

უკეთეს მოთხოვნილებაა და გაჭირებულს დროსაც საზოგადოებაში მოიპოვება რაოდენიმე ნაწილი, რომელსაც კერძო გაუძლია უთეატროდ; რაც უნდა შეჭირებული იყოს, ხანდახნ შესვენება, გართობა, დროს გატარება უნდა, და ამად სთვლის თეატრისა. ჩეენში ღღეს ასე კხედავთ. წელს შარშანდელზე მომატებულად დაიწყო საზოგადოებამ თეატრში სარული, მომატებული უურადლება მიაქცია; მწერლობაც თვალ-უურს ადეკნებდა, მეტადრე რუსული.

მიზეზი ამ უურადლების მიქცივისა და სარულისა ის იყო, რომ ჩეენს სცენაზე გამოვიდნენ ჩეენი ნიჭირი მოთამაშენი, რომელიც წელიწადი მეტი იყო არ გვენახა; შეიკრიბა დრამატიული დასრ, საკმაოდ დიდი და შეუწეველებად, კვირაში რაჭურ, იმართებოდა სპექტაკლები. ეს უკეთა იმის უნდა მიყაწეროთ, რომ გამოჩნდა ერთი კაცი, რომელმაც ივისრა ანტრეპრიზა ქართულის თეატრისა. წინათ მართალია რამდენჯერმე სხვა-და-სხვა შირებმა ივისრეს ანტრეპრენიორობა, მაგრამ მათი მოთავსობა არ გვასსოვს, რომ მრთელ ზამრთის სეზონს, კეთი დღი ენენისთვიდამ თებერვლის გაგრძელებულიყოს. თითო-ორთვეს იქნებოდა და მერე აქტიორების ამსახურია მუშაობდა. ანტრეპრენიორს ფული უნდა, რომ თავი დაუჭიროს აქტიორებს, გაუძლეს ხარჯს, თორემ მოთამაშენი უცდებიან, იმდება დასი და რასაკვირველია, თვით ანტრეპრიზაც. ამისთანა დაშლის შემდეგ აქტიორები ან ამსახურიას მართვენ, ან სრულიად იმდებან და თეატრი იგატება. ესეთი შემთხვევა რამდენჯერმე ვნახეთ. წელს ბატ. ნებიერიძემ დაიწყო და ბოლო გაატანა მრთელს სეზონსა.

ამ შემთხვევამ საკმაოდ დაგვანახვა, რა მნიშვნელობა აქვს ანტრეპრიზას თეატრისათვის. როგორცცა კსტერით, მისის დახმა-

რებით შეიცნია წელს დორმატიული დასი, მასი ნიჭიერი წევ-
რები და საზოგადოება მიიზიდა. მაგრამ სწორედ იმ დროს,
როდესაც სალხმა ცოტათ მოუხშირა სთარულსა, იმ დროს
ერთი ნიჭიერი აქტირისა პ. საფაროვისა ცენტე აღარ გამოჩხნდა.
ამ გარემოებამ ააყადა ზოგიერთი, და ასე ეგონათ ეს არის
თეატრი დაიღუპაო, თმოთქოს ამისთანა შემთხვევა იშვიათი
ტბავა იყოს, რომ ცენტრიდამ ან ერთი აქტირი გავა, ან მეტ-
ო და თეატრი თეატრად დატება.

რაც იყო ზოგიერთებში, საზოგადოება მაინც ამას შესა-
მჩნევად უკრადდებას არ აქცივდა და დადორდა; მართლადაც, ნამდვი-
ლად საზოგადოებას არ შეუძლია თავი დანებოს თეატრს, თუ კი
მას ჰყავს რამდენადმე რიგითი დასი და ამ დასში რამდენიმე
ნიჭიერი მოთამაშე. ეს ცხადად გასაგებია: კსოვებათ ადგანან. მუ-
შავნა ერთ რომელსამე საქმეს; ჩვენ გვინდა მიათო მუშაობა
განახოთ, იმათვი ნამოქმედარი, ნასაჭმარი: არის თეატრი, გვინ-
და წარმოდგენა გვაჩვენონ იმისმა მუშავებმა, აქტიორებმა. მაუკ-
რებელნი ზოგჯერ არ კმაყოფილდებიან იმათის ნაწარმოების
ნახვითა, უნდათ თვით მათი კინაობა გაიცნონ, ცდილობენ
დაახლოებას, ბეკრჭელ წვრილმანი მათი ცხოვრების უოულის
კითარება უნდათ შეიტუონ.

რა საჭიროა ეს? იმისთვისაც, რომ უფრო ჭარება ვთ-
ოვდეთ კინაობა. დიალ კანგია, თუ მასის ნიჭის. და ნაშრომის
დაიყსებისთვის ექვება მას, თუ საქმეს იჭერთ მასთან. თუ არა
და, რა საჭიროა, თუ საფაროარავა მასალათ გინდათ?

სალაპარავო მასალა, ჭარი უოულ საქმეზე, უოულ კაც-
ზე უაჭერელია, როდესაც საქმე ან კაცი საჯაროდ, საქმეუნო
ასპარეზზედ გამოდის. მაგრამ ჩვენ ერთი უბედულება გვემს ტე-
ბა. ჩვენი საზოგადოება პატარაა, მალიან ახლოსა კართ ერთ-

მასერთთან, თეატრი და მისი მაურებელზეც დაკავშირდება ურთიერთობას. ეს გარემოება ასდენს საქმეს. ერთი ღონისძიებაა ამ შემთხვევაში რომ უკეთესმა და გონიერა-გახსნილმა, ნასწაკლმა საზოგადოებაში უკრი მოიყრეოს და კულისებსა და შებლივების შეა კედლად აეგოს, არ გადმოიტანოს კულისების და აქტიორების ცხოვრება საზოგადოებაში. რა ხდება კულისების, აქტიორ-აქტრისებს შეა და ანტრეპრენიორსა და დასს შეა, რად გვინდა კაცოდეთ? დარჩეს იმათში. რას დავეძებთ რომლისამე საქმის გამკეთებლის შინაგანს ცხოვრებას ცოლ-შვილთან ანუ მოჯამავრე-ამხანაგებთან. ამ ლაპარაკით რომ საქმეს კულტურულებთ სამდვილის საქმით და არა ლაპარაკით, მაღან კარგი იქნებოდა. მაგრამ აქ მარტო მიღება-მოთქმაა, საზოგადოებაში უსაგნო ლაპარაკის უინის გაღვენდება და კულის წახდენაა. თეატრში იმიტომ მივდივართ, რომ დავტებეთ, წარმოდგენა კნახოთ და არა იმიტომ, რომ ერთი აქტიორი მოვიწონოთ და მეორე დავიწენოთ. ერთის სიტყვით ჩვენ, მაურებლებს, სელი არ უნდა გვერდეს; თეატრის ფარდა რო დაშეკვება, იმის შემდეგ არც აქტიორებთან, არც ანტრეპრენიორთან — რას შვრებიან, როგორ მოქმედებენ; რა ერთობა აქვთ ერთმანეთიში, როგორ ცხოვრობენ და სხვა.

ჩეხის თეატრის მაურებელმა საზოგადოებაში საემალდ გამოიხინა სიონიზმი და არ დასდია იმ უაყანს, რომელსაც ზოგნი რაღაც დიდ მნიშვნელობას აძლევდნენ.

რაც შეხება წარსულ სეზონს, საჭირო იქნება რამდენიმე მას დაგავირდეთ და გამოვარევით დღევანდელი მდგრადიერია ჩვენის თეატრისა. მისი გამორკვევა და ცოდნა გვერდება, და რამდენადაც დაწერილებით გამოვარევეთ, იმდენად იქნება უფრო მეტი ღონისძიება მოუპოვოთ სცენის გაუმჯობესობის საქმეს.

ჩვენ მხოლოდ წარმოგადგენთ იმას, რაც იყო; მის ას სწავლა, მის ნაკლებევანების მიზეზებს არ შევეხებთ.

როგორც მოვიხსენეთ, წელს ანტიტრიზმა გამოუჩნდა ჩვენს თეატრს და შექვერია დასი. უამისობით შესაძლებელი იყო დასი სუსტი უოფილიყო, როგორც შარშან. სამწუხაოდ ანტიტრიზმენითობას მარტო ფული არ ეუღია თეატრის საჭმისათვის მას ეჭირება რევისტორობა. რომელის თანამდებობას ასრულებს და ბ. გ. უათაბანი. ჩვენში ჭერ აქამომდე თეატრს არ გამოუჩნდა ნამდვილი რევისტორი, რომელსაც შეეძლოს ჰიესების ამორჩება და დადგენა. ეს მეტად შესამჩნევი იყო მით, რომ თუმცა ბეკრი ჰიესა საქმაოდ მოწყობით იდგმებოდა, მაგრავ თვით ჰიესებში ზოგი ისეთები ეროდა, რომელიც მხოლოდ საყმაწვილო კარჭიშობად ჩაითვლება. აგრეთვე შესამჩნევი იყო უანსამბლობა. ზოგს მშვენიერად მოთამაშეს, მშვენიერად ალმარტულებელს როლისას გვერდს უდიგა მოუხერხებელი მოთამაშებელს აქტიორთაგანს რამდენსამე არ ეტუობოდა წერთხა, ცოტაოდენი წარმატება. ზოგჭერ გადონებდათ სხაბა-სხუპით დაპარაგს, ან უხეიროდ ხელების ხმარებას და სხვას, რომელიც მცირედის გაწვრთნით შეიძლებოდა გასწორებულიყო.

ამას საუკედურად არ ჩავუთვლით ანტიტრიზმით ან ეხლანდელ რევისტორს. ვიცით, რომ მათ სურდათ თურმე უკათესი რევისტორი, მაგრამ ვერ იმოვეს. მოვიხსენეთ მხოლოდ ადამიანიშვნელად, რაც იყო.

აქტიორებს თუ თვალი გადაკვლეთ, წლევანდელი დასი საგმაოდ სრული იყო. მონაწილეობა ჭრილდათ ამ დასში ბერ ნაცნობთა და ახალთა: უათაბანს, აწყურელს, ტუვალველს, გუნდას, თვით ანტიტრიზმით, ნებიერიძეს, და აქტიორებს: გაბუნდას, აგალიმვილისას, გორისთლისას, მმინარევისას, ანდრო-

ნივაშვილისას. ამათთან ხანდისხან მონაწილეობას იღებდნენ გარეშე ჰირნიცა. საზოგადოდ ამ დასტე რომ გადაწყვეტილი აზრი წარმოვთქმათ რამე, მნელია. შესამჩნევი იყო ისა, რომ წელს დასი უკეთესი გვევანდა შარმანდელზე. მაგრამ ცალ-ცალკე რომ გავსინჭოთ აქტიორების თამაშება, მასზედ კი კატეგორი—უკეთესად დახელოვნდნენო, ეტეობათ წინ-სკლაოზ უმეტესი ნაწილი ისევ ისეთის მეტყველების ხელოვნებით დარჩენილა, სევ ისეთის შახურა-მრახურით, ისეთის ნაკლულევნებით და ისეთისაც ლირსებით. დასიდამ შეგვიძლია თახა აღვნიშნოთ, რომელთაც ეტეობათ წარმატება. ბირევლინი ამათში არიან აწყურელი და ტევიაველი, რომელთაც ემჩნეოდათ ნიჭით მეცა-დინება. თუ შრომას უმატეს, შეუძლიათ კარგი ადგილი და-იჭიორონ დასში; ერთი ფეხი გაიმაგრა კიდეც აწყურელმა. ბბ. გუნიას და გამრეველს ეტეობათ ნიჭი, ჯერ ახლად გამოსული არიან, ხელოვნების შრომა წინ უძევსთ და თუ დასძლიერება შრომა, შეუძლიათ სასცენო ძალად შეიქნენ.

საზოგადოდ ნაკლულევანება მოთამაშეთა ბეკრად წარმო-სდგებოდა, კვლებთ, იმისგან რომ რეპერიციები ცოტა ჭრი-დათ, რადგანაც გვირაში თრჭელ იმართებოდა წარმოდგენა, და ერთხი და იგივე აქტიორები თამაშობდნენ. შეორვ მიზეზი ზე-მოთ მოვიასენეთ, ესე იგი ურუქისსორობა. ნაკლულევანებას-თან ცოდვა იქნება ღირსებაც არ კახსენოთ. ღირსებას შეჲდა-გნდა ისა, რომ სცენას ემჩნეოდა უმეტესი მოწყობა, აქტიო-რებს მომატებული ხალისი; ჰიესებს საკმაოდ ცოცხლად თამა-შობდნენ და როლებიც თარქმის უფრო გაგეთილი ჭრი-დათ, კიდრე წინათ გვინახავს. ზემოდ მოვიასენეთ უანსაშილობა, ეს შეხება ზოგიერთს ჰიესებს და არა საზოგადოდ უკელას. ზო-გი ჰიესები, შაგალითად სუნდუკიანცისა და ცაგარლისა კარგის

ანსამბლით ითამაშებოდა. საერთოდ წარმოდგენების შემდეგ ჩა-
უდებელს ხშირად არ შეხვედრია შემთხვევა ეთქვას, ორმ ზიესა
ცედათ აასრულესთ.

შესამჩნევი და საგრძნობელი ნაკლულებანება შეტად დაე-
ტეო ქართულს რეპერტუასა. უმეტესი ნაწილი შიესებისა ძვე-
ლი დაწერილები და რამდენჯერმე ნათამაშები წარმოადგინეს.
ეს ნაკლულებანება წინა წლებზე მომატებით წელს გამოჩნდა და
რასაცირკელია, ორმ საზოგადოების, ორმედსაც ბევრფელ ნი-
ხულია აქვს, კერ მიიზიდაფდა. ზოგი ზიესა კი ინებთ მემკვედ
ოუ მეშვიდეთ ცემ დადგმული, ორდენიაც ორმ მისი ღირსება
შეათანად ჩაითვლება. ახალ ზიესებშით ბარეული ჩდგილი ბ. ავ-
ტენტი ცაგარლის, «ხანუმას» ეყუთვნის, ორმედმც საზოგა-
დოება დაკამატოდა და წარმოდგენილ იქმნა კარგათაც. მეო-
რე ზიესა «ძეითხავი» გადმოკეთებული ჭარხია ილ. ჭავჭა-
ძის «ვაცია—ადამიანიდამ», —სუსტი გამოდგა, თუმცა ქირ-
თველი მკითხავი დედა-კაცის სურათს დამატათ გვიჩატავს.
დანარჩენმა ახალმა ნაწერებმა სრულებით შეუმჩნეველად ჩაიარა,
რადგანაც მათ საყმაწვილო კარგი შრობა უნდა უწადოთ; სკობ-
და რომ ორიგინალურ ზიესების წერის ნაცვლად, ოუსულიდამ
ან სხვა უნებელამ გადმოკეთებინათ ჩვენის ცხოვრების სახამისო
თხზულებანი. წერა ორიგინალურის სასტენო თხზულებებისა სა-
სურველია, მაგრამ მას კუიტება უპირველესად ხიჭი და მასთან
უმტკლად წერაში დახელოვნება, ცოდნა, შრომა, ღრული რო-
დესაც უკედა ესები ერთად მნელი მოსაპოებელია, არა სკო-
ბია, ორმ ზიესები გადმოკეთდეს ან კადმიოთარგმნოს. სხვა
ენებიდამ? ეს საჭმე პირველად ჩვენის მწერლების საზოგანგელია
და მათთან აქტიორებისაც. უკედგან აქტიორები საკმაოდ შრო-
მას ეწევთან სასტენო ზიესების წერაში, ან თარგმნა-გადმოკეთე-

ჰანმა; არც ჩვენს აქტიონებს დაუკლიათ ეს შრომა, მაგრამ უფრო ასეთა არის სასურველი ზრუნვა, ამაზე, რადგანაც, ორგონო ზემოთ მოვიხსენეთ, ჩვენი რეპერტუარი სულ დაიძერტეს. მომავალ სეზონებისთვის უკუკლად საჭიროა მომზადება ახალის ბიესებისა, და ნამდვილებს თუ უცადეთ, მალიან გაჭირება დაგვადგება. ერთი ღონისძიება აქ: ან გადმოკეთება ან თარგმნა.

ზემოსსენებულნი ნაკლულებანებანა არიან შეტენი, რომ ჰამდენადაც სასურველია და შესაძლებია, იმდენად კერ იზიდავს თეატრი ჩვენს პუბლიკას. წინათა ვსოდით, საზოგადოებამ უურადლება მიაქცია წელს ჩვენს თეატრსათ, ამ სიტუაცით ის კი არ გვინდოდა გვეთქა, რომ მრთელი საზოგადოება მიერიდნოს. ჩვენი თეატრის მაურებული პუბლიკა, მეტად ჭრელი საზოგადოებაა. აქ ხედავთ იმისთვის კაცებს, რომელთაც პარიჟის და პეტერბურღის თეატრები მოუკლიათ, უნჩხავთ დრამატიული სცენები, ოპერები, აქეუ არიან ტფილისის იტალიურ აპერებზე და რუსულ დრამატიულს წარმოდგენებზე აღზრდილი ნაწილი; აქეუ ხედავთ გარდა შესამჩნევ ნაწილს მაურებულთა, რომელთარ ჯერ არა თეატრში, არა ცირკში არ უკადათ, რომელთაც დაზუსტები შესკლა-გარებულა და კლომიც ფრთ ეხებსებათ, რომელნიც სცენტრალის დროს ხმაურობენ, კისკადებენ ხან-კრძალივ და თადარიგებათ მოტახიდებს გვეს ან ჩურჩხელას ღვერნ, ხელში მუმუ-მწოვარა უმაწვილი უკირავთ. ეს განსხვავება მაურებულთა, მართალია ამბიმებს თეატრის მუშავთა შრომას, მაგრამ ისე არა, როგორც კერძობის შეუძლია წარმოიდგინოს. ეს გარემოება ერთის მხრით კიდეც უადვილებს სცენას თავის განზრახვის აღსაღულებას იმით, რომ კარგად ნათამა შევი ბიქსა მოლიერისა ანუ შექსპირისა, შილდერისა ანუ სხვა დიდის პრეტებისა სრულიად არ ეუწოვება ამ ჭრელს საზოგადოებას.

შეგვიძლია გადაწყვეტით კსოვეათ, რომ ამ ეჭისის წლის განმავალობაში ქართულის თეატრის არსებობამ ძლიერი მოქმედება იქნია არა ერთს და ორს კაცზე, რომელიც დაბალ საზოგადოებას ეკუთვნის. თეატრის შესავალთან თუ დაჭვირვებისართ, ნახავდით ხოლმე ჯგუფებ ქალაქის სელოსნებს, ანუ პატარა მოვაჭრებს, რომელთაც ბაასი ჭრიათ: თეატრში წაკიდეთ, თუ მიყიტანხანაშია, და ნახავდით ერთ ნაწილს, რომელიც ძალაშე იღება, თეატრში წაკიდეთ, დროსაც გავატარებოთ და ჭკეასაც ვისწავლითოთ. ამ დღიურად მუშათაგან ან მოვაჭრეთაგან ვინ იცის თეატრის წყალობით რამდენი ამაღლებულა სულით და გონებით იქამდის, რომ კარგი და ღირსეული შეიძიო შექნილა რჭახისა, გარე-გარე სიარულის და ათას-გვარ გარევნილებას გადარჩენილა. ამ მუშა-სელოსანთაგან უთვილა შემთხვევა არა ერთ, რომ თეატრისთვის თავ-გამოდებული ურთილა, როგორც ადრე მუშტი-კრიკისათვის და ღვინის სმა-სათვის.

ნუგეშად და მომავალის შრომის გასამხნევებლად, კირნებთ, საკმაო იყოს ეს გარემოება. მაგრამ ნურც იმ მოთხოვნილებას დავივიწებთ, რომელიც უკაველად საჭიროა ნამდვილის სელოებისათვის და რომელსაც მოითხოვს გონება-გახსნილი საზოგადოება. მწერლების და აქტიორების შერომელობას, თეატრის გამძღვლებს ჭმართებთ მეცადინება; და შეძლებით კი შესაძლებელია ამ როგორის მაულებლის დაგმაურთველებება.

მომავალი გაზაფხულის ანუ ზამთრის სეზონი მართლა საზრუნველია. ბ. ნებიერიძე, როგორც ამბობენ, აფარ აპტორებს ანტრეპრენიორობას. სხვაგნით ჯერ-ვერობით არსაიდამა სჩანს რაიმე თქმულობა, რომ ვისტე სურდეს. მაშასადამე, ადგილი

მოსალოდნელია, ორმ შარშანდლისთანა ამბავი დაქმართოს ქართულ თეატრსა, ესე იგი, მიუკედეს და მიიძინოს. ამისათვის თადარიგის დაჭერა მოუნდება დრამატიულ საზოგადოებასა.

წელს დრამატიულის საზოგადოების მოღვაწეობა მხოლოდ ის იყო, ორმ ანტრეპრენიორს ათხოვა თვისი ტანისამოსი, ომელიც ნახევრად წამხდარი გამომდგარა და მოუკლელობით მაღე იქნება სრულიადაც განაცრდეს. დრამატიულ საზოგადოებას წინათ ჭრისა ბიბლიოთეკა და რეპერტუარი; ესდა ამბობენ, ესეებიც ცუდს მდგომარეობაშია, ასე ორმ მომავალში შესაძლებელია ხელ-ხაწერი რეპერტუარი კედარც კი მოიპოვოს სადმე, ვინც შემდეგში მოისურკვებს სპექტაკლების მართვასა. არ იშოვება არსად ერთად შეკრებილი. ხელ-ხაწერი რეპერტუარი, გავანტულია აქა-ექ სხვა-და-სხვა გაცის ხელში. ამას შეკრება უნდა და ხსენებულის საზოგადოების მოვა-ღეობაა.

დრამატიულ საზოგადოებას ღონისძიება არა აქვსო. დიალაცი, მართალია. მაგრამ კვონებთ ამის შეულა შედლებოდეს. დარწმუნებული კართ, ორმ. არიოდჯურ «კეფხეის-ტეატრის» სურათები არმ დაიდგას საზაფხულო თეატრში ბატ. ზიჩის ესკოზებით, დიდ-მაღალ ხალხს მიიზიდავს. ორგორც უური მოგვი-ვრავს, გნეინა ბ. ბარათოვისა, ორმლის მეცადინეობითაც დადგმული იქნა ცხოველი სურათები ზიჩის დროს, და ორმელიც ხშირად ქველ-მოქმედების საქმისათვის მოღვაწედ გვინახვავს, აპირებს დრამატიულის საზოგადოებისთვის ამ დიდ-მარახვას ზიჩის ესკოზებით ცხოველ სურათების. გამართვასათვის დედი უნდა ვიქონიოთ, ორმ ამ ფრიად პატივ-საცემ განზრანვას ჩვენი უმაღლესი, საზოგადოება სერიალის გულ-გუთილო-

ზთ მიიღებს. მონაწილეობას, ოფელოც პირებულად მიიღო. ხარჯი და იმოდენი კავია არ მოუნდება, ოფელოც ადრე, ოდგანაც მაშანდელი სამჩადისი დამატიულ საზოგადოებასა აქვს შენახული. ამ სურათებს გარდა ნააღდგომებზე ერთო-ორი სპექტაკლი რომ გაემართათ ჩექნის უმაღლეს საზოგადოების შეერებს, დარწმუნებული უნდა ვიყოთ, კარგა ბლომად შეიკრი- ფებოდა ფული, ორმედიც შეძლებოდა მომავალის ზემთობის ანტრეპრიზისათვის შესწევრად დაენიშნათ; რეპერტუალის, გარ- დებობის შესანახად და სხვა საჭიროებასათვის მოეხმარებინათ. დამატიული საზოგადოების დახმარება უპეველად მომავალში საჭირო იქნება და დარწმუნებული უნდა ვიყოთ, ორმე შის დაუხმარებოდა თვატრი დაგვეკეტება, ან ს ყლ ვაებთ იჩინჩა- ლებს. ანტრეპრენიორის აღმოჩენის იმედი თითქმის არ უნდა გვქონდეს. წლევასდელი შემთხვევა, შემთხვევა იუ და ამისთვ- ნა გარემოებას ძნელად თუ კნახავთ. აშობენ, რომ წელს ან- ტრეპრიზას ზიანი მიეცათ.

ვიცით რომ თქატრის უდევლოდის მომატებული ფული კვირება. იმზე, რაც შემოსავათ აქვს. ამ მომატებულის შოუ- ნა დრამატულ საზოგადოებას საზოგადოებას და შეუძლია კუ- ლტურული მაღალი, მაგალითად იმ კვართს ღრანისძიებით, ოფელოც ზემოთ მოქაბესენეთ. წელიწადში არას-სამართ თუმნი რამელ- სამე საზოგადოებას არ გაუკირდება შექვრიბოს, თუ მისი მო- თვენი შრომის გასწეუნ. ტფილისში რამდენიმე საზოგადოე- ბას, უკელანი ახერხებენ ღრანისძიებას მოშობებას, შრომის, — ასაღა მარტო დრამატიული საზოგადოება დაბადა ასე უილ- ჭო და დავრდომილი? ამისთანა ცსოველი, ნაურუერი, მშვე- ნიერი საგანი წინ უძევს. მრთელი ტფილისის უმაღლესს და უმდაბლესს. საზოგადოებას ჟუატრზე აქვს მიქცევული უკრალ-

ღება, მას უჭირავს ძლიერი ადგილი ჩემს ცხოვრებაში; აქ
ერთად იურებან მწერალი და მაუურებელი, მსოფლიო გენიო-
სების ნიჭი აქ ეშვებან სულით მშიერ-მწყურვალეს და და-
რბას, დღიურს მუშავს; აქ ქართული ხელოვნება იზრდება და
უნდა აღგვიჩარდოს გემოუნება, გრძნობა, სიკეთე, გეთადის
სიუკარული, გონება უნდა გაგვიწმინდოს, აღგვამაღლოს მუდამ
დღიურის მწიგოლოვანის ცხოვრებისაგან, — უჯ ხელოვნების ტა-
ძარი, ეს სცენა, ეს თეატრი, ქართული თეატრი, აე შეუწი-
ნელად თავ-მინებებული უნდა დარჩეს? ნუ თუ სიცოცხლის
ძარღვი მართლა შეწედა და გულმა შეკრა შეაუენა?!

მიხრავილი.

მიხრნილი ცეცხლთან მიმჯდარა, არ მოსდის მოხუცს ძილა,
მისერებაა ნაკვერჩხლებს, როგორც რომ ციცა ფრთხილა;
სულ ამოუწედა ცოლ-შვილი, არ შენია შვილის-შვილია;
ძლიერ-და ილოლნის ფაფასა, არ უდგას ერთი კბილა!...
სიკვდილსა ნატრობს მუდამა, საყდარში დაბრება,
მასთან არავინ არ დადის, არც სხვას ის მიეკარება,
მუდამ წელს ორჯერ, მარხვაში, უთუოდ ეზიარება,
კერ კერ ელიოტსა სიკვდილსა, —ლმერთი თუ მოქმედრება!...

თ. რატ. ერისთავი.

უარაჩულელი ლოთი

ვუძღვნი «პეპოს» აკტორს

მე ორმ კლოთობ, შენ რას გიშედი, მმობილო?
ბატონებო, ან შენ, კეთილშობილო?!

მე ქოისტე ღმერთს გაუჩენივაც,
დღიურია ჩვენა წესი, ადგილი...
მითომ რათ! თქვენისთანა ვაუები
ბიჭიბაში არ მეყოფა არც ათ!

მე ორმ კლოთობ, კის რას გიშედით, მმობილო?
ბატონებო, ან შენ, კეთილშობილო?!

აა მკადრულობთ და დაცინვით მიუურებო,
თთქო მე ღმერთს მეტი გაუჩენივაც!...
მე ზოგსავით არც მმასა ვკლავ, არც ვპარავ
და დარიბი ლუკმისა მომთმენი გაც.

მე ორმ კლოთობ, ვის რას გიშედით, მმობილო?
ბატონებო, ან შენ, კეთილშობილო?!

კაფა-ტანჭვით ალალ ღუქმას ვშოულობ,
მთელი გვირა თვილს სულ ასე ვიწურავ;
გვირა დღეს კი გამოვდივა მმაზიჭვი,
ყარაჩოლულ ღურჯ ქუდს გერლზე ვიხურავ;

კვირას კლოთობ, ვის რას გიშლით, მმობილო?
ბატონებო, ან შენ, გეთილ შობილო?!

კისუბობ, კუვირი, მუშტის ტრიალიც მიუვარა;
უსამართლოს არ ვის ჩამოურჩები!...
მარტო დალატის მმაზიჭვის მე არ გავუწივ
და იმისთვის ციხეშიაც დავდობი!

მე რომ კლოთობ, ვის რას გიშლით, მმობილო?
ბატონებო, ან შენ, გეთილ შობილო?!

ჩენი. ბიჭი ჩიტივით იბადება:
დღეს ვიშლვი, დღეს ვჭამ, ვარ ბედნიერი...
ოჟი! რა კუთხრი იმ მილიონის შატრონს,
უკოში ფულს ჭერის, თითონ კვდება მშიერი!

მე რომ კლოთობ, ჭის რას გიშლით, მმობილო?
ბატონებო, ან შენ, გეთილ შობილო?!

მუნწი კაცი ქვეუანაზედ არ ცხოვრობს!
ოჟი!.. გაუწედეს მდიდარ-მუნწებსა ქოქი!..
მე რომ მოგებდე, გაპელოებით, მმებო-ჯან,
დამახალოთ ზედ თავზედ საკე დოქი!

ପ୍ରେରଣାରୁ ପ୍ରତିକାଳ, ମେନ କାହିଁ ଗଠିଲା, ମମଳିଙ୍ଗରୁ?
 ଫଳତିବିଷ୍ଟିର କଥା କାହିଁ ନାହିଁ ଚାହିଁ?...
 ମେଣ୍ଡ ପାଇଁ ପାଇଁ, କାରିବି କରିବି ମିଳିବି?—
 ମେଣ୍ଡ ମେଣ୍ଡାଙ୍କୁ ତାଙ୍କୁଙ୍କୁ ନାମ୍ବିଲାଇ କହିଲା!

୧. ବାଗାର୍ଜୁଲା.

23 ଅନ୍ତରିକ୍ଷରେ

პიმლიობრაფის.

«Ізвѣстія Кавк. Общ. Истор. и Археол.», №. I,
Мѣнѣнїе гаімпрума. 1884 №.

თბილისში იძექდება სამეცნიერო ჟურნალი: 1) «Ізвѣстія Кавк. Общ. Исторіи и Археологіи» №. ۱. ბაქრაძის რედაქტორობით; 2) «Записки» №. ۱. «Ізвѣстія Кавк. Импер. Геогр. Общества» №. ۳. ზაგურსკის რედაქტორით. ამ ჟურნალში შეგხვდებით მრავალს საინტერესო მასალას ჩვენი ქვეყნის ისტორიისა, გეოგრაფიისა, ეთნოგრაფიისა, ეთნოლოგიისათვის და სხვ. შეძლებისა-მებრ, გეცდებით დორ. გამოშევებით გავაცნოთ მკითხველებს შინაარსი ზოგიერთის სტატიებისა, რომელნიც უფრო საუკრადლებონი იქმნებიან. დღეს ჩვენ გვსურს წარვედგინოთ მკითხველს ანგარიში «Ізвѣстія Кавк. Общ. Исторіи и Археологіи»-ის პირველ ტომის მეორე გამოცემის შესახებ.

ამ ტომში დაბეჭდილია: ა) გათხრა «რედკინ ლაგერის» სასაფლაოსათვის —გეგმითა და ნახატებითა ნ. ი. შილოსანისა; ბ) «სჭრიდენ თუ არა საქართველოში რქოს ფულს?» ა. კ. კომაროვისა; გ) «ახლად პოვნილ «ნაწევეტზე» წყაროთაგან ვახუშტისა საქართველოს ისტორიისათვის» №. ۱. ბაქრაძისა და გადევ რთხი სხვა წერილი, რომელთაგან ერთი მოკლე განხილვა საქართველოს მხედრობისა 1082—1222 თ. თა-

თარ ყან დადიშველიანისა უკვე დაბუძდილი იყო «იურიის» 1883 წლის № 10-ში. მკითხველების უკრადღებას მივაჭრეთ ამ ჟამად მეორე და მესამე წერილებს, რომელიც უფრო საუკრადღებონი არაან საზოგადოებისათვის.

აკტორი წერილისა დაქრიდენ თუ არა საქართველოში აქტოს ფულს? ა. ვ. კომაროვი დიდი სანი იმულფებოდა (ასეთ ა. ვ. კომაროვი დახალ-თემესა უფროსად არის.) და სწავლობდა ჩენის ქვეყნას. რამდენსამე წელიწადს იგი იყო დასამთო სამმართველოსა უფროსად და ამ დროს ხშირი მისკლა-მოსკლა-მოსკლა ქვთნდა ჩენი ქვეყნის მივიწუებულ მხარეებში და ამ მოგზაურობის დროს იგი, თვისის პირდაპირის მოვალეობის გარდა, მეცნიერებასაც ემსახურებოდა: აკტოვებდა ცნობებს სალხის ზენ-ჩეულებაზე, ისტორიაზე, იძენდა ძველს ფულებს, ძველს სახსოვართა და ნაშთებს და სხვ. და სხვ. ამ გეარად მან შეიძინა დიდი კოლექცია ძველ სახსოვართა და ნაშთთა და მრავალი ცნობანი ჩენის ქვეყნის ისტორიისა და ეთნოგრა-ფიდან; ეს იყო მიზეზი, რომ იგი დაინიშნა თბილისას პრ-სეროვიურის კრების დოსამზადებულის კომიტეტის თავმჯდომარედ და ეს თანამდებობა მან შეასრულა ვირად სი-ნიდისიერად და გულ-მოდეინედ. მართალია, ბევრი არ უწერა ა. კომაროვს, მაგრამ რაც უწერა, იმითაც სჩენის, რომ მას კარგად გაუცვნია ჩენი ქვეყნა.

ზემოსსენებულს წერილში კომაროვი ამინის: დაქამდის ნუმიზმატებმა იციან მხოლოდ ორი ქართული აქტოს ფული. თრივე მოკრილია მეზე ერეკლე მეორის დროს. ფულის ერთს მხარეზე ერთ-ოავანი არწივია, რომელსაც მარჯვენა ხელში უჭირავს სამეფო ბურთი, მარცხენაში გვერთხის; მეორე მსაკე-ზე კი არაბული წარწერაა: და, თვით-მშერობელო! მოკრილია

თბილისშია. წელიწადი ერთზე აზის 1203 (1788), მეორეზე 1211 (1796). ერთი ამაგანი კუთვნის გრაფ ტოლოტოვის, მეორე აზის საიმპერატორო აკადემიის სამეცნიერო მუზეუმს. თუმცა ზოგიერთნი ამტკიცებენ, რომ ჭავჭასიაში გვინახავს რესუდანის და თამარის ოქროს ფულით, მაგრამ აქამდის თვისი აზრის დასამტკიცებელი საბუთები არ წარმოუდგენიათ. ეს პირი შეცდომაში შეტყუშის რესუდანის იმ ფულებსა, რომელთაც სანდისსან ჭირულობენ ყარსის მხარეს. ხდეთ ეს ფული აქროსი არ არის (ლანგლუა).

მელებურის სასაფლაოებში კი ჭირულობენ ქართული აქროს ფულებია, რომელიც მიემსგავსება ლიზიძისას, ანტიოქებისა და სირიის. მეტების ფულისა. ამ ფულების ერთს პირზე გამოჰქონდა პირის-სახე თავ-საკრავით, მეორე მხარეს კი დახატულია მჯდომარე ღუპიტერი ანუ მინერვა. თუმცა არცებობენ ამ ნაირი ფულები, მაგრამ ჭერ არაფრით არ არის დამტკიცებულია, რომ იგინი ქართული არიან. ჭერ-ჭერობით გვმაულა ფილდებით ჩამოთაც, რომ იგინი საქართველოში არიან მოჭრილია.

ისტორიამ დღევანდვამდე იცის შემდეგი ქართული ფული:

1) ოქროსი—ღრაპეანი, *) რომელიც ხმარებაში შემოგვიდა ვახტანგ გორგასლანის დორდამ (446—499 წ. ქრ. აქტ). შემდეგში სახელ-წოდება ამ ფულისა გარდაიქცა ფლუ-

*) „ღრაპეანი, ფული ჭელებური; წონა 24 კერატისა ან 96 კრითილის (ჭელ-ფუსლის ქერის) მარცვლისა (ას. ვისტამინი; გვ. 462. ლუქსევიციში).

რად, ომელიც ღირებულობით ქდრებოდა სომხეოს ტავეგანს და არაბულს ღინარს (ღანგლუ). *)

2) ქართული ფული X—XII საუკუნეებდე სრულიად მიემსგავსება. ბიზანტიის ფულსა, უკულა მაშინდედი ფული — თქოსი, კერცხლისა და სპილენძისა ცხობილი იყო საფასედ და ერქვათ საზოგადო სასელი ფული. ამსა გარდა X—XII საუკუნეების თქოს ფულს ერქვა: დუკატი და ბოჭანიატი. ამ ხანით სასელ-წოდება დაუძება კოსტანტინე დეკას (**). (1059—1067) ფულებისა, გავრცელებულსა საქართველოში და გრეთე ნივითორ ბოტანიატისას (1078—1081 წ.) ესრეთხა სასელ-წოდებანი ისმარქებიან. მწერლობაშიაც და წარწერაბზედაც (ღანგლუ).

3) არაბთა მწერალი უზვიანი (XIII საუკუნისა) თავის გეოგრაფიაში თბილისის აღწერილობაში, ამბობს აამ ქალაქში ხახამთ ღინარსა, ომელსაც ჭევიან ჰერერა. ეს კარგი ფულია, სიციულის წარწერით და კერპების გამოსასულობით. უოკელი დინარი იწონს ერთს მისსალსა. თქოთ მაღალი ღირსებისაა. შეუცდომელად შეგვიძლიან ვსოვათ, რომ ეს ფული იქრება აფსატია ქვეუნის მეფეთაგნენ.

*) Essai de classification de suites monétaires de la Géorgie par M. Victor Langlois. pl. VI № 3.

* ესეთი აზრი ა. კომაროვისა მით უფრო შესაწყინარებელია, რომ ერაცტანტინე დეკის მოადგილეს მიხეილ VII დეკას (1071—1078) ცოლად ჰქვანდა ასელი ქართველო: მეფის ბაგრატ IV-ისა მარიამ. ამათ დროს საბერძნეთში იშრებოდა ფული და ამ ფულებზედ გამოსახულნი იყვნენ მარიამი. და ქმარი მისა იმპერატორი მიხეილ VII დეკა.

ამას დანგლუა დასძინებს, რომ აქ დაპარაკია ბიზანტიის ფულზედ და ოვით სახელ-წოდება — პეტერაც ბერძნულიათ.

დ) შერიფ-ედინი თავის ისტორიაში ამბობს: «საქართველოს მეფემ გიორგი V (1395—1407) მონგოლების თბილისიდამ მოსამართებლად თემურლენგს გაუგზავნა 1,000 ოქტოს ფული, რომლებზედაც ეწერა სახელი ამ ქვეყნის დამპურობელისა. მართლაც ამ საჩუქარმა იმოქმედა: მონგოლთ დასტოეს საქართველო და მიემართნენ ბელაქნისკენ (ლანგლუა).

ე) მე XV ს. ნახევრიდამ მე-XVIII საუკ. დასაწყისამდის საქართველოში ჭართული ფული აღარ ღვირებოდა*. მაშინ ჩენ ქვენაში გაკრცელებულიყო კეცხლის აპრილი ტრაპიზონის კომენძისა, სახელწოდებით ჭ. კირმანეული (წოდებული სახელისაბრ იმპერატორის მანუილისა). შემდეგში, როდესაც ჟაჭ-აბასის მოადგილებმა თბილისში დაარსეს ზარაფხანა, კი მანეული გავიდა ხმარებიდამ და შემოვიდა სპარსული ფული, რომლის ნიმუშებს ეხლაც შეხვდებით. მათგან უუმკელესზე აწერია 1060 წ. გიორგისა (1650), უახლესზე 1160 წ. (1748). ამ უკანასკნელ საუკუნეში (მე-XVIII) ოსმალონიც სკრიფტი ფულისა თბილისში. სულთნის აქმედ III ფულებზედ აწერია: 1115 (1703), 1135 (1722), სულთნის მაქმედ I-ის ფულზედ 1148 გიორგისა (1735 წ.) ამავე საუკუნეებში. ჭართული ფულის სახელ-წოდებანი იცვლებიან სპარსულებად: აბაზი, შაუ-

* გამოჩენილი და შეუდარებელი ნუმიზმატიკოსი თ. მიხეილ ბარათავი თავის თხზულებაში «Нумизматические факты грузинского царства» ამბობს, რომ ფულის ჭრა შეჩერდა XIV საუკუნის დასაწყისს (გვ. 16) და ფულის ჭრა ხელ-ახლა დაიწყეს. მეფის ვაზტანგ მე-VI-ის ძის ბაქარისაგან (1716—1719 წლ.).

რი, თუმანი. თუმანი პირველად ხმარებულია გიორგი წIII გუჯარში (1460) წ., რომლითაც მეფე აფასებს სისხლსა ჭკენი ფერების (ქსნის ერთგების) წარმომადგენელებისას. ამ გუჯარში სწერია: «ვინც მოჰკლავს წევლსა ამგვარისასა, იგი გადიხდის გვარს სასარგებლოდ 70,000 კიომანეულსა, რომელთაგან უღველი ფასობს ორს შაურის და სულ შეადგენს 4,000 თუმანსა ქართულის კეცხლის ფულითა (ლანგლუა).

3) პატენა რობელიანის მატიანეში სწერია: «შავ სულთან იბრაჟიმმა გამოგზავნა თბილისში ფულის მჭრელი და მოსჭრეს: სამ-ააზიანი, შაურიანი და ოქროს ფული თითო 30 შაურიანი (ბრასე).

4) ქართული ღეროს ფულის სიმცირე, მეფის მის თეამურაზის აზრით, აისსნება იმით, რომ, რაც ღერო იმოვებოდა საქართველოს მაღნებში, უკელა იხმარებოდა მეფეთ სასახლის სამეცნიერო და დანაშთენი კი ისეიდებოდა, რადგან ფულის ჭრაზე ისე გასუიდვა უფრო სასარგებლო იყო (Journal Asiat. p. 14).

5) მეფის ვახტანგის დასტურებულამში (§ 61) ჩამოთვლილია ქართული ფული: თუმანი, ციქილა, მარჩილი, მინალთუნი, აბაზი, შაური და ბისტი.

თ) ვახტანგის ვანონთ კრებულში მოხსენებულია: «მეფის გარდა უღველი კაცი, რომელიც მოსჭრის ფლურსა ანუ სპილენძის ფულისა, მაღალსა ანუ დაბალ ფასიანსა დაისჭება ორისე სელის მოჭრით. ერთი სელი მოჭრება იმას, რომელიც ახმარებს ამ ნაის ფულსა».

6) პატენა რობელიანი ამბობს: «ჩვენ მეფებმა (თეიმურაზ II და ერუვლებ II) ჩეცხლის და ოქროს ჭურჭლისაგან

მოსკოვეს ფლუნდი და გეცხლის ფული, ორმ ჯარისათვის მიკრათ ჯამაგირი, კს იურ 1752 წ. (ბროსე).

ქ) ზაალ არბელიანისაგან გამოჩენილის მოგზაურის ფულ-შემუშავდამ მიწერილი წერილიდამ (1772 წ.) სჩანს, რომ ამ დროს საქართველოში ისმარებოდა ერეკლე II ოქროს ფული (ბროსე Nist. de la Georgie T. p. 385):

ღ) გუჯარი ერეკლე II-ისა, 1778 წ. «ვწირავ სინაის მთის წმ. ეგვიპტის მთნასტერს, ადგილს, საცა დმიტრი ჭუხილითა და ქვემთა, ცეცხლითა და მიწის ძერითა გამოუცხადა მოსესა, 50 უკრუშა (35 მ. 50 კმ.). და აგრეთვე წმიდა სინაიზე მისასხინებლად იმ ქრისტიანებისა, რომელნიც აკანისხითაგან ამოხოცალ იქმნეს აგრისში და განჯაში, გწირავ ასტრალის კუცხლ-ოქროს მადნიდამ 200 უკრუშა (150 მ.)—პ. ითსე-ლიანი «Опис. Тифл.» გვ. 18).

მ) მანების უფროსის თავ. სოლომონ მელიქიშვილის ბენ.-ლეინ. კნორინგისადმი 29 მაისს 1801 წელს მოსსენება-ზი მოუკანილია უმდეგი ცნობანი: მთის მანებზე მუშაობის 200 ბერძენი, რომელიც დაბარებულნი არიან გუმბათ-ხანიდამ (ცნობით მანების მსარეშია). მადანნი იჯარით გაცემულნი არიან. სპილენძი 12,000 მანეთად, ოქრო სულ მოლად მეფეს კუთვნის; ერთ ფურთ კუცხლზე კი მეოქარადრეთ უნდა ამლიონ მეფეს 150 მანეთი (იხ. აქტ. археограф. ком. Т. 1. გვ. 516); როგორც სჩანს ბურგოვის ჩვენებიდამ (ტ. II, გვ. 188) ახტალიდამ მეფის საზინაში შემოდიოდა უკველ-წლიდე 100,000 მანეთამდე*.

* ამ წერილით ვათავებთ ლაპარაკა ქართულის ფულზედ, მეორე წერილით ჩვენ ვრცელად მოვილაპარაკებთ ქართული. ფულის ისტორია-ზედ. გ. ჯ.

მეორე საუკუნადღებო წერილი, ოთვორც ზევითაც კსოვებთ,
არის ბ. დ. ზ. ბაქრაძისა.

ასევე იწყობს თავის წერილს ბაქრაძე: შემდეგ კახტანგის
«ქართლის-ცხოვრებისა», საქართველოს წარსულის შესასწავლად
სრულ სახელმძღვანელოდ ითვლება შრომა კახტანგის შვილის
კახუშტისა, ომელიც გარდაიცვალა მოსკოვში 1772 წელს. ეს
შრომა დაიძებდა აკადემიისაგან ფრანსიულის თარგმანით.
იგი შეიცავს ქართველთ ისტორიას. 1744 წლამდე; კახუშტი
ადგა შემდეგ სისტემას: ჯერ საქართველოს აღწერს გეოგრა-
ფიულად ცალკ-ცალკე სეობებად და შემდეგ მოჟყავს ისტორია
ხმავე შემუნისა, ომელიც გეოგრაფიულად აღწერა. ბროსემ კა-
ხეოგრაფიული ნაწილი განაცალკევა და ცალკე დაბეჭდა ამ სა-
თაურით: Description geographique de la Geogrie, ამასვე
დაურსაო რეკანი კახუშტისა.

თუმცა კახუშტი, განაცნობს ბაქრაძე ჩვენ დროზედ ახ-
აო სცხოვრებდა და ისიც მოსკოვში, სადაც იგი სწერდა ისტო-
რიას, მაგრამ, ჩვენდა მოუღოდნელად, მისი წყარონი, ომელიც
მას ხელთა ჭირნდა თავის შრომის შედგენის დროს, კერც ბრო-
სეს—კახუშტის მოღვაწეობაზე ცნობათა შემაგროვებულს— და
კერც ჩვერ აქამდის კერ გვიპოვნია. თვითონ კახუშტივე ამბობს,
რომ მას ჭირნია შემდეგი წყარონი: 1, ძველი გარიგების წიგნი
იმერთა გელათიდამ; 2, მესხური დავითიდ ხუთ ნაწილად, 3,
ძიღის-ზორი ანუ ორმასი ეტრატზე დაწერილი იმერეთიდამ; 4,
ჭრონოლოგიურნი წყარონი, შედგენილნი ტლაშაძესაგან; 5,
ბუჭარნი ბართაშვილებისა ბეთანიდამ, გუჭარნი. თუმანიშვი-
ლებისა და სხ.

მე სრულად არ მაკვირებს ის გარემოებათ, ამბობს ბაქ-
რაძე, რომ ქართველი ისტორიული წყარონი მნელი. საპოვ-

ნელნი არანო: ეს აიხსნება მით, ორმ იგინი უუურადღებოდ არან და შთენილნი და ლპებიან კურმო სახლებში და მონასტრების ბიბლიოთებშით, არამედ მე ის მაკვირვებს, ორმ კახუშტის წეარონი, ორმელნიც შემდეგ მისის საკუდილისა, ეჭვი ას არას, დაშოა მის მემკვიდრეთა, კელარ გვიზოუნია და შესაძლებელიც არას, ორმ იგინი უქმად ჟერან სადმე და იქნება გიდეც დაუწვევთ, ორგორც მეტი ბარგით.

ზემოხსენებული 『ნაწყვეტი』, ორმელიც უპტელად არას კახუშტის წეართს 『მესხურის დავითნის』, ნაწილი, ვიზოვნებ, განაგრძობს ბაქრაძე, განსცენებულის ისტორიკოსის პ. იოსელიანის ბიბლიოთეკაშით. კახუშტი მესხურს იმიტომ ეძახის, ორმ მასში მოიპოვებან მოთხოვიბანი სამესხოს ანუ სამცხე-საათაბაგოს ათაბაგებზეთ, ორმელთ მფლობელობას შეადგენდა მტკვრის ზემო ნაწილი და ჭოროხის მთელი ხეობა.

ეს 『ნაწყვეტი』 დაწერილია სქელ ქალალდზე, შესდგება მხოლოდ 32 გვერდ. და იყოფება ორ ნაწილად: პირველი ნაწილის მეოთხე გვერდზე არას შემდეგი საინტერესო წარწერა გიორგი მთაწმინდელისა: უწესებულ არს უოველთათვის, ამზობილ გიორგი მთაწმინდელი, ორმელ თხოვნისამებრ წმიდათა მამათა ჩემთა, მე ულიოსმან. მღვდელ-მონაზონმან გიორგი დადია ურამით ხელ-ახლა გადმოვიდე ბერძნულიდან ქართულად დაკოთნი და შევასწორე იგი თანახმად მრავალთა ფსალმუნთა განმარტებათა, აწ ვთქოვ უკელას კინც მას გადასწერს, არავითარ ცელილება არ შემოიღოს, არც დააკლოს, არც მოუმატოს ჯამ, ოადგან რაც საჭირო იყო დასამატებელი ან დასაკლები ეჭვლა ჩეენ დაუმატეთ და დაგეტათ თანახმად ქართულის ენის კანონთა. ჩემი სიტყვების სიჭიროების დაამტკიცებს მოელი.

საბერძნეთი და უკალა დავითნი, თუკი ვისმეს მოუნდა აზლად გადათარგმნა — ღმერთმა აკურისოს მისი შრომა. ხოლოდ ჩვენს თარგმანზე კი თავს ნე შეიტყორვებს და წმ. მამა ეკთია მეს ნე მოიყვანს მოწმად, რადგან თუმცა ამან სთარგმნა დავითი, მაგრამ გადამწერმა სრულიად გაურევნა და უსარგებლო ჰქო სახმარებლად, მეორედ კი ეკთიამეს აღარ გადუთარგმნია იგი (დავითი).

ეკთია და გროვგი მთა-წმინდელი (პირელი აღსრულა 1026 წ., მეორე 1065 წ.) ითვლებან ათონის ივერიის მონასტრის ამშენებლთა შრომის. ამ პირთ მთელი თვისი სიცოცხლე განატარეს ათონზე. იგინი უკალაზე უკეთესია მთარგმნელია იუგნენ სამღვთო და საეკლესიო წიგნებისა ბერძნულიდან ქართულს ენაზე. სკათა შორის, ეკთიამეს მიეწერება თარგმანი დავითის განმარტებისა, გროვგის კი დავითისა.

მეორე ნაწილი, გინა განუოფილება «მესხურის დავითის ნაწევეტისა» ისტორიულია და შეიცავს ცნობებს 26 წლისას — 1561 წ. 1587 წლამდე. ეს დრო იყო უკანასკნელი წა- მები იმ დიდის დრამისა, რომელიც დაიწყო ომშალთა მოძარაობიდამ (XIV საუკუნიდამ) და დასრულდა, სხვათა შორის საქართველოს სამფლობელოს — საათაბაგოს დაპურობით. და მთელი ჩვენი ქვეუნის დაძაბუნებით. სპარსენი და ლიმანი იძარბებან საქართველოს დაპურობისთვის, ბრძოლის მოედანზე ჩვენ ჯერ კსედაკთ შაჟს თამაზს, მერმე ხედაბანდს, სულთანს სულეიმან დიდს, მერე სელიმ II და მურად III მისის შესა- ხიშნავის სარდლოთ ლალა-ფაშით. «ნაწევეტია თავდება აბას დადის შემოსკლის წლით, აღნიშნულ დროს საათაბაგოში მოქ- მედებენ: ქაიხოსრო II, უკარუკარე V, მანუჩარი II და იმის შემდეგ მისი შეიღი მანუჩარი III. ეს მანუჩარი მოსწომდა მის-

შა ბიძამ, ქაიხოსრო II-ის შვილმა, ბექამ, ორმედიც მაჭმალიანობა მიიღო და 1625 წელს დანიშნულ იქნა ფაშად საათა-ბაგოსი (დაურევა საფარ-ფაშა). ამ დროდგან იწყობა ფაშობა ამ პეტანიში.

ამ პირებს შეესება ბაქრაძის «ნაწევეტი», ორმედიც წარმოგვიდგენს ცნობებს ქაიხოსრო II ოჯახის გენეალოგიაზე და აგრეთვე გვიჩვენებს ისტორიულ ასპარეზზე მოქმედებას მისის ოჯახის წევრებისას. ამ «ნაწევეტის» გენეალოგიური ცნობანი ისრე სრულია არან, ორმ აჭარბებულ აკადემიკოსის ბრასესაგან შეგროვილ წყაროების შინაარსა, ორმედიც მოთხოვთ მის წიგნში Tables geneolog. et statist. des dynast georgiennes. მაგალ. ამ წიგნში ქაიხოსროს ძე იანგო არ არის ნაჩვენები; თამარი კი საკრისალ არის მოხსენებული. Tables-ში მზე-ჭაბუკი, ცოლი როდამი მოხსენებულია მსულად გიორგი II გურიელისა, თუმცა «საწევეტი» გვაუწებებს ორმ იგი უოფილა გურიელის ოსტომის ასული. ამას გარდა «ნაწევეტში» ვთვავებთ შემდეგ ცნობებს: ცერონიიკონს 252 (1564), აგვისტოს 12, შაბათს, ლამის ორ საათს, მე-6 დღეს მოვარის თვისას ციხის ძაბულნენ კასილი და ბექა (შემდეგში საფარ-ფაშა), მაშასადამე კასილი და ბექა ტუშებია უფლისან. სხვა ადგილის არის თქმული: «22 წლის მზე-ჭაბუკის კვარი დაიწერა გურიელის ოსტომის ასულს როდამზე, ორმედთანაც იცხოვოს ერთი წელიწადი და 2 თვე; 11 ანგას, პარასკევებს, 9 საათზე დღისა, ჭორონიკონს 260 (1572) დღისის რისხვა მოეკლინს მის მშობელისა, ოადგან მზე-ჭაბუკი გარდა ესახლა ამ ჭეუნიდამ სოფელსა მართალთასა 23 წლისა; სალმთო საკაკობამდი (ცერკონიი სოვერშენოლქტი) ადგა 2 თვე. იგი იყო სრული ზნითა, აღზრდილი სარწმუნოე-

ბაკა ზედა ქრისტესა, ღვთის-ნიური, მშენიერი მწიგნობარი, მგალობელი და მცენრ მეტეული; ტებილი მოუბარი, მღვდელთ სასულიერო შირთადი თავაზიანი; იღვდა კითხვა და ლაპარაკი გი სპარსულებრ, ლაპარაკობდა არაბულადაც და თათრულადაც, მეუდარებელი მსროლელი და მეჯირითე იუო. ქვეანას კურეთ არ უნაჩავს მსგავსი მისებრია.

ამნაირივე დაწერილებითი ცირიბანი მოჟეავს «ნაწევეტს» შესახებ პოლიტიკურის ამბებისა საათაბაგოში. ოსმალონი იპ. ერობენ ჩილდირს. განაასლებენ ყარსია. ჭრობის ხეობა კი მთლად მათ კუთვნილებაში შედის. ამას ბაქრაძე დასძინებს, რომ ეს ცნობანი, ორგორც ქრონილოგიურის, ისე ფაქტიკურის მხრით თითქმის არ განსხვავდებიან გამმერისაგან მოყვა- ნილ ცნობებისაგან მის Hist. de l'Empire Ottomané. შ.

«მესხური დავითისი», რომელსაც ჩვენი «ნაწევეტი» ეპუ- თვნის, ამბობს ბაქრაძე, მით უფრო შესანაშნავა, რომ იგი ფსალმუნთა შირი კი არის, არამედ შირკელ. თარგმნილი დედანია და ამის გამო დიდად სამწუხაროა, რომ იგი სრულად არა გვაძეს ნაშოვნი. როდის დაიწერა ეს «ნაწევეტი», ამზედ ცნობებს ვმოვლოთ 10—13 გვერდზე ამავე მანესკრიპტში, საცა მოუკანილია სინოდივი ანუ მოსახსენებელი ფურცელი ბა- გრატიდების შთამომავლობასა, რომელთაც ნათესაობა ჭრონდათ ათაბაგების შთამომავლობასთან; აი როგორ; შირ- ელი მუხრანის მფლობელის ბაგრატის ასელი — დედის-იმედი იუო მეუღლე ქახთსრო II და დედა მანუსარ II, უკარევარე V, ბექა II (საფარ-ფაშა), მზე-ჭაბუკისა, კასილისა, თვალ-შენიე- რისა, იანერის და თამარისა. მმანი დედის-იმედისნი — არჩილი და ერეკლე შესამნენებად მოქმედობენ საათაბაგოს იატორიაში. ეს სინოდივნი ასრულებენ ბროსეს Tables genealogiques-ს

შხალის სახელებითა და გვაჩქენებან ახალს ჰირის: ბაგრატის ცოლის ელენეს და მათ შვილებს ორნათანს და თევდორეს, არჩილის ასულს ელენეს; დახოცილებად გვიჩვენებან: ბაგრატის ცოლის ელენეს, და მათ შვილებს ერეკლეს, ორნათანს და თევდორეს. ამათგან ბაგრატი აღსრულდა 1539 წ., არჩილი 25 ნოემბერს 1582 წ. ამ სანს ეკუთხის დრო «ნაწყვეტის» დაწერისათ ამბობს ბ. ბაქრაძე.

თავის დასკვნას ბაქრაძე აფეშნებს, სსვათა შორის, აა რა საფუძველ ზედ: «დამწერი ამ მოთხოვობათა არის თანა-მედოვე დაწერილის აშებისა, ამბობს ბაქრაძე, რადგან დამწერი შიგა და შიგ თავის-თავს იხსენიებს პირველ პირად. მაგ. ეჭო-ორნივონს 299 (1571), 4 აგვისტოს ბატონი პარჩილი მობრძანდა აწყურს და ჩვენ, დადი სსის ერთმანერთის უნახებელი, შეკიფარებით ერთად » («ნაწყვეტის» 29 გვ.); მეორე ადგილას: ეჭო-ორნივონს 260 (1572), 17 ოკტომბერს, ლონგშაბათს ასალცისიდამ ჩვენ გავეძგზავრენით გასაცილებლად თვალ-შეკნიერისა უაზმინში. 30 ოკტომბერს, ოთხშაბათს გაიედით წეაროსთავიდამ; პარასკევს ჩვენ, მმანი და დანი, ერთმანერთის გამოვემშვიდობეთ ჭალაში. 11 ნოემბერს, კვირას, ჩვენ, მმანი და დედა ვანაზში გავეუარეთ ჭარსა. თვითონ თვალ-შეკნიერი ამ დღეს იყო გორს, ჩვენ კი მიკედიო ჭამასში. როგორც შეგიტყეთ, თვალ-შეკნიერი 20 ნოემბერს წავიდა ერებისიდამ. რაც ამის შემდეგ მოხდება — დამოკიდებულია უფლის ნებაზედ («ნაწყვეტის» 11—12 გვ.) «ნაწყვეტის» შემდეგი ნაამბობიდამ სჩანს, რომ თვალ-შეკნიერი დად-ხანს შეუპყრიათ სპარსეთში და 1 ნოემბერს 1579 წ. კი იგი დაუმწუვდევიათ აღამუტის ციხეში და მსოლოდ 1582 წელს გაუნთავისუფლებდათ.

ამის შემდეგ ბ. ბაქრაძე ამბობს, რომ ამ «ნაწყვეტიდამაშუსარგებლიათ რამდენსამე პირსათ. კახუშტის — თვის ისტორიის

შესადგენად, ბროსეს—შესადგენად *Chronique georgienne* (1373—1703 წ.) და იმასევ შესადგენად *Swite des annales* (1472—1624). ეს უგანასკენელი ბროსეს ფრანსიულად გადა-
თარგმნაა იმ ამესხურის დავითნისთ. პირიდამ, ოთმელიც 1761
წელს ვიღაც დექანოზის ზაქარიას გადუდა დელინდამ. ცალკე
წარწერილობაში წიგნის ბოლოს ზაქარია ამბობს: «მე მინა-
ხავს სამი პირი ამ ქრონიკისა, ოთმელიც არაფერდ ეწერა
იმის მეტი, რაც ამ პირშია.

ბროსეს მრავალი შეცდომები შექმნარება თვის: *Chronique georgienne*-შით და კისარი მით სარგებლობა უნდა, დიდის.
სიცოროსილით უნდა სარგებლობდეს ამ მასალითათ. მაგალი-
თად მოჟეავს ზოგიერთი ადგილები «ნაწევრიდამ» და ბრო-
სეს *Chron. georg.-ნიდამ.*

Chron. georg.-ნიდამ.

«ნაწევრიდამ».

გვ. 14 ქავის ციხე დაუჭირა.

— გურგაქ შემოგეორიგდა.

— ელჩი გავგავავნეთ ყაენთან

გვ. 17 ბატონიშვილი შეებნეს უ-
რუმთა

18 იმ წამს გამოჭვარეს დ
ხასულები სასან ჭახთდ მი-
სცეს.

— თეში აღარ ამოსწუკიდა

— თვალ-შვენიერი დაიწყიორეს
შირვანის ციხე აა შენეს.

გვ. 18 ქავის ციხე უკმოუჭირა:

— გურგაქ შემოგემწულ.

— ელჩი გაუშვით ყაენთანა.

22 ბატონიში შეებნეს ურუმთა

22 იმ წამს გამოჭვარეს, ცი-
ხები გამოართვეს და ხა-
ხული სასან ჭახთოთ მისცეს.

23 თეში აღარ ამოსწუკიდა.

— ყაენმა თვალ-შვენიერს გა-
ცება გაუგზავნა, სადგომი
დაგდებისა და უორჩიბაში
მიაბარეს; დაიჭირეს შირ-
ვანი, ციხე აა შენეს.

- ქართლის მეფე შატრონ — ქართლის მეფე შატრონი
ნი სკიმონ ყანმიშვა ხუ- სკიმონ ტუკიდ იუ. ყან-
დაბანდამ გამოუშვა. მა გამოუშვა.
- მოვიდა ლალათაშა ქარ- 25 ლალათაშა ქართლსკე იდ-
თლსკე, მოვიდეს სომ- გა, მოვიდეს სომხითს და
სითს და ლაპარაკობდეს ლაპარაკობდეს.
- 22 შარვანს შეიძნეს, ამო- 26 შარვანს შეიძნეს, ამოს-
სწუკიდეს, ციხე დაწეს. წუკიდეს ლაშქარნი, ციხე დაწეს.
- 11 ბეჭანის შეილი იასონ 15 შედანის შეილი იასონ.
- აცნობა ოლობის ქვაბიდამ 15 აცნობა ოლობის ქვაბიდამა.
- 13 კარნულის ციხეს უდა- 17 კარნულის ციხეს უდალა-
ლატეს
- ფოსას სიხლი დაწეს
- 15 უელს მოადგეს; უელი წა-
ვართვით; უელს შეიუარა
- 17 სკანთქრის ლაშქარი და-
ლალათაშა მგელ ციხეს მოადგეს.
- 26 დასამიძემ ედია შემო-
დას ციხეს საკალინ შეი-
ლი სალალატოთ. შეუუნა
- 14 გავილაშქრეთ ენგუნისთვეს
ბ-სა.
- 15 ამასკე იანვარს ე თოს-
შაბათს თმოგვი წაარ-
- 25 ლალათაშა ქართლსკე იდ-
გა, მოვიდეს სომხითს და
ლაპარაკობდეს.
- 26 შარვანს შეიძნეს, ამოს-
სწუკიდეს ლაშქარნი, ციხე დაწეს.
- ფოსას სიხლი დაწეს.
- 19 უელს მოადგეს; უელი წა-
ვართვით; უელს შეიუარა
- 21 სკანთქრის ლაშქარი ლა-
ლათაშა მგელ-ციხის ცი-
ხეს მაადგეს.
- 30 დასამიძემ ედია დემოთის
ციხეს, საკალინ შეილი სა-
ლალატოდ შეუუნა.
- 18 გავილაშქრეთ ენგუნისთვე
ნასეკარ და ქაჯის ციხეს.
მოვადეჭით ღვინობისთვეს
არსა.
- 19 ამასკე იანვარს ც თოს-
შაბათს თმოგვი წაარგეს

თვეს და აქეთ იმავე დღეს და აქეთ იმავ დღეს უგალა
უელი წავართვით.

24 ქორონიკონსა სხე მუხ-
რანთ ბატონის ბაგრატის
შვილი მუხრან ბატონი
გახტანგ მიიცუალა იყა-
ნობის თვეს დაძღებსა.

26 ახალციხე და გორი ააშე-
ნეს ურუმთა აგვისტოს
ზარაბამითვან წელთა შვი-
ლი ათას ოთხმოცდა
თორმეტსა (7092—1584)

28 და პატრონი მანუჩარ თან
წაეტანა ივანობის თვეს
დაძღებსა, ქორონიკონსა
სხეს პატრონის გახტან-
გისაგან ღმერთი გარის-
ხდა.

29 ახალციხე და გორი ააშე-
ნეს ურუმთა აგვისტოს
ზარაბამითვან წელთა შვილი
ათას ოთხმოცდა თორმე-
ტსა—7094 (1586).

დასასრულ ჩენ ვიდევ ვიტყვით, რომ იქნად საჭიროა
დაასდეს ჩენში საისტონო წრე. უამისოდ საფუძვლიანად
შესწავლა საქართველოს ისტორიისა შეუძლებელია. უცხო პირ-
ნი ჩენს ისტორიას ისე კერ შეისწავლიან, როგორც ქართუ-
ლი წრე. იმ უცხო პირთა გამოკვლეული, თუნდ ეს პირნი
იყვნენ ისეთი მცოდნენი საქართველოსა, როგორიც იურ გან-
სკენებული ბროსე, უცველთვის იქნება ანაქრონიზმები, უნებ-
ლივი შეცდომანი და სხვ. წარმოიდგინეთ, თუ ბროსეს კრ
შეუგნია მნიშვნელობა შემდეგთა ფრაზათა: «პატრონმან მანუ-
ჩარ გვირგვინი იყურთხა», დღედის-იმედი უფლის დებორა»
და იგი უთარგმნია ამ ნაირად: «პატრონმან მანუჩარ კვარდ-
დაიწერა და დღედის-იმედი, აწინდელი დებორა» (ისილე ზე-
მოცე ჩენებული ბაქრაძის წერილი გვ. 22); ვიდევ ვიმეორებთ,
თუ შესანიშნავმა გრუზინოლოგმა ბროსემ ამისთანა უბრალო რა-
მები სინამდვი ლითვერგადასთარგმნა, მაშ რას უნდა მოუკლოდეთ

მს მრავალთა უცხოელთაგან, ომელნიც ბევრით დაბლა დგანას ბროსეზედ თავიანთის ცოდნით კავკასიაზედ საზოგადოდ
და საქართველოზედ კერძოდ! და აი ამიტომ, ჰიმეორებთ,
დოროა საქართველომ ისილოს ქართული ისტორიული წრე
ჩვენთა წინა-პართა წარსულის საფუძვლიანად შესასწავლად და
გამოსარკვევლად.

მოსე ჭანაშეილი.

ქურნალი «ნობათი»-ს გამოცემა 1885 წელში.
(წელიწადი მეორე)

საყოველთვე ყრმათა საკითხები სურათებიანი ქურნალი

„ნობათი“

შედაგოგიურის ნაწილის დამატებით — მშობელთა და აღმზრდელ-
თათვის — მომავალს 1885 წელში გამოვა იმავე პროგრამით,
მიმართულებითა და სივრცით, როგორადაც 1884 წ.

ქურნალზე ხელის-მოწერა. წლიური ფასი ქურნა-
ლი «ნობათი»-სა — ქალაქში დარიგებით და გარეშე გაგზავნით,
დარჩა იგივე, ე. ი. ოთხი მან. მარტი ნახევარი წლის სელის-
მოწერა არ მიიღება. ცალკე ნომერი დარს ათი შაური.

სოფლის მასწავლებელთ შეუძლიანთ გამოგზავნონ: თავ-
და-შირველად როი მან. და დანარჩენი თრი მანაორი — მაისში;
რომელთაც ამ რიგად ხელის-მოწერა ჰქონდა, პირ-და-პირ რე-
დაჭრიას უნდა მიმართონ.

ხელის-მოწერა მიიღება: თბილისში — ქურნალ „ხა-
ბათი“-ს რედაქტორში, აღქსანდრევის ბაღთან, ხაზინის გვერ-
დით, თემანიშვილების სახლში № 7. და შავერდოვის წიგნის
სააგენტოში. ქუთაისში — მმ. ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში.
გორში — ე. ფურცელაძესთან. და თელავში — ი. რასტომა-
შვილთან.

თოსტის აღრესი: თიფლის, въ редакцію грузин-
скаго педагогическаго журнала «Нобати».

რედაქტორ-გამოცემელი ა. ს. ლელაძე.

„ЮРИДИЧЕСКОЕ ОБОЗРЕНІЕ“
 (годъ пятый)

Журналъ, какъ и прежде, будетъ выходить въ 1885 г. по чествергамъ, въ размѣрѣ отъ 1 до 2 печатныхъ листовъ, по ирежней программѣ, при содѣйствіи многихъ прежнихъ и нѣкоторыхъ новыхъ сотрудниковъ, въ томъ числѣ: К. Д. Анициферова, А. Я. Ашеберга, С. М. Арцруни, Ф. К. Бакало, Д. З. Бакрадзе, Ф. А. Быкова, Г. О. Івиніева, А. А. Гребенщикова, Я. И. Гурлянда, К. В. Долгова, И. Я. Долголенко, Г. А. Джаншіева, Д. И. Кипшиц, Д. В. Квиркеліа, П. М. Лебединскаго, А. Е. Носа, П. А. Опочинина, Я. И. Рашета, М. А. Селитренникова, Н. П. Смиттена, В. Д. Спасовича, А. Т. Тимановскаго, Я. Г. Терь-Іоаннисяна, В. А. Хлѣбникова, Н. И. Чижевскаго и др.

Независимо статей общаго юридического характера по вопросамъ гражданскаго и уголовнаго права и судопроизводства, межевымъ, потаріальнымъ, судебно-военнымъ и пр., а также о внутренней жизни Кавказскихъ судовъ и о вопросахъ дня,—въ 1885 г. будуть помѣщены: грузинскіе законы царя Вахтанга, съ необходимыми предисловіемъ и примѣчаніями, и продолжены изслѣдованія законовъ: армянскихъ—по Мхитару Гошу, еврейскихъ—по Маймониду, мусульманскихъ, собственно Кавказскихъ народностей; ихъ адаты и пр.—Кромѣ того, Ст. I. Гулишамбаровъ, Н. А. Шавровъ и др. обѣщали статьи по вопросамъ Финансовымъ и экономическимъ; П. И. Коваленскій, З. А. Блюмъ, Г. И. Еджубовъ, А. А. Павловскій и др.—по судебнно-медицинскимъ.

Пріемъ подписки,, объявленій и розничная продажа: Тифлісъ, Сололакская ул., д. кн. меликова и въ Центральной Книжной торговлѣ.

Подписаная цѣна на журналъ съ доставкою и пересылкою: на годъ—10 р., на 6 мѣс.—6 р., на 3 мѣс.—3 р. 20 к., на мѣс.—1 р. 25 к.

Рассрочка въ платежѣ денегъ допускается—для годовыхъ и полугодовыхъ подписчиковъ.

Желающіе пріобрѣсти журналъ за прежніе годы уплачиваютъ: за 1881 г.—8 р. 20 к. и за всѣ послѣдующіе по 10 руб.

Иногородные подписчики «Юрид. Обозр.» имѣютъ право на полученіе, чрезъ редакцію, свѣдѣній о положеніи ихъ дѣль въ Тиф. судебн. учрежд.—въ текстѣ журнала безвозмездно, письменныя и телеграфныя—по соглашенію съ редакціею журнала.

Редакторъ-издатель А. С. ФРЕНКЕЛЬ.

н 383
1885

განცხადება.

აპა 1885 წელს შურინალს «ივერიაზე» ხელის მოწე-
რა მიიღება მხოლოდ მთელის წლით.

ფასი მთელის წლისა შვიდი მახათი.

ხელის-მოწერა მიიღება, ოთვორტ 『ივერიისა』 აგრძელება
«დროების» რედაქციებში. პირველი იმუროვება მიხედოვას
შეჩაზედ, გ. ჭართველი შვილის სახლებში, (მისაკალი ეზოდამ),
ხოლო მეორე სასახლის შეჩაზედ, სახლი დ. სარაჯიშვილისა.

შუთაის ში, ჭილაძის მარაზიაში.

ბათუმში, წერა-გითხვის საქოგადოების სკოლის მას-
წავლებელ მ. ნიკაძესთან..

ოლავში ვანო როსტომაშვილთან.

ჭალაქ გარეშე ხელის-მომწერთ წერილი პ ფული შემ-
დეგის აღრესით უნდა გამოგზავნონ:

Въ Тифлис

Въ Редакцио журнала «ИВЕРИЯ», аნ «ДРОЭДА».

მსურველთ შეუძლიან ერთის წერილით დაიბაროს გაზეთი
«დროება» და უურნალი 『ვერია』 «დროების», ადრესთ.

კისაც უურნალი თავის დროზედ არ მიუკიდეს; კოხოვთ,
მაღე აცნობოს რედაქციას.